# საერთო გაზეთი

№35 (164) ● 07.09-13.09, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი




## მამა ბასილი:

## mTavrobam da sapatriarqom erTobliad SeimuSaves gegma raTa meufe iobi daepatimrebinaT...

„მე მოძღვარი ვარ და როცა ვხედავ, რომ ხელიდან გვეცლება ყოველივე, უფლება არა მაქვს პირში წყალი ჩავიგუბო და არხეინად ვუყურო, როგორ იღუპება ერი“

## გიორგი მარგველაშვილი:

## ar SeiZleba qarTuli saxelmwifo saakaSvilis esTetikiT Sendebodes



## saakaSvilma da misma beClamaza mouravma varSalomiZem aWara aaoxres!

## rogor `daayaCaRa~ 172-e skolis direqtorma eliso dolakiZem 12 pedagogi?

## qarTulma xelisuflebam qarTuli simindi amerikulad gaasaRa da orjer Zvirad gayida

## სკანდალური ინტერვიუ არჩილ ლუდუშაურთან



„მე, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდე ქართველი ვარ და ჩემი ქართული ღმერთი მინდა დავიბრუნო, ქართველებისგან დავიწყებული და მიტოვებული ღმერთი.“

* * *

„შუშანიკის წამება“ დაწერა ოსეფამ, ავთანდილის შვილმა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში შესულია იოსებ თბილელის სახელით და ცნობილია, როგორც ლიტერატურული აფერისტი. ოსეფამ პაპას, გევორქა სააკიანს (გიორგი სააკაძე) მიუძღვნა „დიდმოურავიანი“, პაპის დას კი, „შუშანიკის წამება“.

* * *

„სრული ათეიზმის პერიოდში დაიხატებოდა თუ არა ცკ-ის პირველი მდივნის ცოლ-შვილი ღვთისმშობლისა და ჩვილი ქრისტეს სახით? ეს ხომ ჩემი მოგონილი არ არის, მიბრძანდით და ნახეთ საკურთხევლის თაღზე, ნანული და პაატა შევარდნაძეებია დახატული...“

* * *

„საქართველოში მცხოვრებო უცხოურად მლოცველო ქართველებო და უცხოელებო, გთხოვთ, დააბრუნეთ ქართველების კუთვნილი, თქვენს მიერ მიტაცებული მიწა-წყალი, ტაძრები, სალოცავები, ხატები, წმინდანები, რომლებსაც აღნიშნავთ უცხოური ნიშნებით: ჯვრით, მთვარით, ვარსკვლავით და ა. შ.

დიდება და ქება ქართველთა სამყაროს შემქმნელს — „მორიგეს“!



## damibruneT Cemi qarTuli RmerTi!



## მინდია გულუა:

## me marTali Tvalebi maqvs da SegiZliaT mendoT!

## sikvdili gaZvirda, jarima 50 laridan iwyeba da yoveldRe emateba



# მ ი მ ა რ თ ვ ა

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისადმი, საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, ჟურნალისტებისადმი, უფლებათა დამცველებისადმი, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებისადმი, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისადმი, კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი საქართველოში ხელისუფლების ლეგიტიმურობის, ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის შესახებ**

*„გაღმა გასვლისა მსურველთა*
*უკუღმა მიგვყავს ბორანი.“*
*ვაჟა-ფშაველა*

1989 წლის 9 აპრილის მიტინგის მონაწილეთა თავგანწირვამ, საქართველოს თავისუფლება მოუტანა. მათი ხსოვნის აღსანიშნავად სწორედ რომ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

1990 წლის 14 – 15 ნოემბერს, პარლამენტის შენობაში გაიმართა საქართველოს ისტორიაში, პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც გამოაცხადა 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგები. საქართველოს მოსახლეობის 57%-მა აირჩია ეროვნული ხელისუფლება. ფაქტობრივად, 1990 წლის 14 ნოემბრიდან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება.

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრის ჩათვლით, საქართველოში სახელმწიფო – კრიმინალური გადატრიალება განხორციელდა. ამერიკისა და რუსეთის იმდროინდელი მთავრობების (რომლებიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელსა და ეროვნულს) დახმარებით, ძალადობით მოსულ დიქტატორ ე. შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას, სამშობლოს თავისუფლებისა და კანონიერების დამცველთა, რამდენიმე ათასი პატრიოტი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. 1992 წლიდან, სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნული პოზიციის გამო, საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის სისხლიანი ტერორი, დახვრეტები, წამება, დარბევა – აწიოკება, სამსახურიდან დათხოვნები და სხვ. ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში ჩამოიხსნა და გადაყარეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სურათები. განადგურდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში და რაიონში არსებული, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ამსახველი მემორიალები, ობელისკები, სტენდები, სკოლებში და ორგანიზაციებში მოწყობილი გამოფენები. 1994 წელს „9 აპრილის" მუზეუმში ტერაქტი განხორციელდა, რის შედეგადაც ტყვიებით დაილეწა 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ექსპონატები (მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას და პროკურატურას ©„ხელის გულზე" დაუდეთ მამხილებელი დოკუმენტები, ეს საქმე დღემდე გაუხსნელია...). 2000 წლის 26 სექტემბერს შუაღამისას მოხდა „9 აპრილის" მუზეუმის კარების გატეხვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი, უნიკალური ექსპოზიციის დარბევა – დატაცება, ხოლო შემდეგ, დაკავებული ფართიდან მუზეუმის ძალადობით ქუჩაში გაძევება. ამ პერიოდში, პუტჩის შედეგად მილიონზე მეტმა ქართველმა დატოვა სამშობლო.

არალეგიტიმურ ე.წ. პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს და მის ხელისუფლებას, საზღვარგარეთიდან თავსმოხვეული და დაფინანსებული „ვარდების რევოლუციით" გათამაშებული ხელისუფლება ჩაენაცვლა. ე. შევარდნაძემ აღიარა - „სააკაშვილს ლანგარით მივართვი ხელისუფლებაო". ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ე. შევარდნაძეს, როცა იხსენებდა 1990-იანი წლების პერიოდს, რამდენჯერმე გაეპარა ინფორმაცია შესახებ იმისა, რომ ბეიკერი და შულცი მას, როგორც სამხედრო საბჭოს (შემდეგ სახელმწიფო საბჭოს) თავმჯდომარეს, **ურჩევდნენ ლეგიტიმურობის მოპოვებას, ანუ არჩევნების ჩატარებას, რათა საქართველოში არჩევნების მეოხებით გამხდარიყო პრეზიდენტი, ანუ არჩევნები ჩოხასავით მოერგო და ამ გზით მოეპოვებინა არჩეული პრეზიდენტის სტატუსი.** ცნობისათვის, რამდენი წელიც უნდა გავიდეს, საქართველოში რამდენი არჩევნებიც უნდა ჩატარდეს, კანონითა და საერთაშორისო სამართლით, ე. შევარდნაძის ხელისუფლება (და მისი ნებისმიერი მემკვიდრე) ყოველთვის იქნება არალეგიტიმური, რადგან მხოლოდ კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლებაა ლეგიტიმური. შეგახსენებთ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების გზით მოსული ხელისუფლება არ გადამდგარა, ის დღესაც დევნილობაში იმყოფება. სწორედ კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს არჩევნები და არა ე. შევარდნაძის, ან მისმა მემკვიდრე რომელიმე ხელისუფლებამ, რეკლამირებულ ოპოზიციასთან ერთად.



1991-93 წლებში, საქართველოში განხორციელებული შეიარაღებული სახელმწიფო – კრიმინალური გადატრიალებითა და კონსტიტუციური წყობილების დამხობით, დასრულდა ტრაგიკული პერიოდი, რასაც შედეგად მოჰყვა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის განდევნა და კანონიერი პრეზიდენტის ლიკვიდაცია, დასაბამი მიეცა დაუსრულებელ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების მოშლას. ტრადიციად დამკვიდრდა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, ხოლო მისი ლეგიტიმაციის საკითხი დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

2010 წლის 14 ნოემბერს „9 აპრილის" საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბდნენ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ და გამოხატეს პატივისცემა ოცი წლის დროინდელი ისტორიული თარიღისადმი. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ყველა მათგანს, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის დაიღუპა. იმ დღეს, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების მონაწილეებისა და საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ინიციატივით დაფუძნდა **ახალი ეროვნული მოძრაობა** „სამშობლო". ამ მოძრაობის იდეა გამოხატულია **დევიზში „ილიას გზით!"** მისი მიზანია: **საქართველოში ეროვნული ერთიანობის აღდგენა; ქვეყანაში კანონიერების აღდგენა და ადამიანის უფლებების დაცვა. ზრუნვის საგანია (პრიორიტეტია): საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების მოგვარება; აფხაზ და ოს ხალხთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა; მეზობელი ქვეყნების ხალხებთან, პირველ რიგში რუსეთთან, კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დალაგება, საქართველოში რუსულ ენასთან, ლიტერატურასა და კულტურასთან სიახლოვისადმი ხელისშეწყობა. იარაღია მხილება და კეთილი ნება. არ გამოვიყენებთ ძალადობას სამართლიანობის აღსადგენად. მოქმედებას მივმართავთ არა რომელიმე პუტჩისტის, ან სხვა მოძალადის წინააღმდეგ, არამედ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლნი ეს ადამიანები არიან. ძალადობას არ ვუპასუხებთ ძალადობით და არ ვიფიქრებთ შურისძიებაზე. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში წესრიგი უნდა ემყარებოდეს სამათლიანობას, ეს კი მომავლის იმედს იძლევა.**

1991-92 და შემდეგი წლების სახელმწიფო დონის დანაშაულთან დაკავშირებით ყველანი ვდუმვართ, არ **ვაძლევთ ამ ყველაფერს სამართლებრივ შეფასებას. სხვას ველოდებით, მოვა და ჩვენს ქვეყანას დაალაგებს, ააყვავებს, სამართლიანობას აღადგენს...** ამ ლოდინში გადის წლები, ქვეყანა და ხალხი კი იღუპება! ასე აღარ უნდა გაგრძელდეს, მიდგომა, ანუ ხედვა უნდა შეიცვალოს. ქვეყნის გადარჩენისათვის საჭიროა მართვის არსებული სისტემის ახლით შეცვლა, რაც ახალ პირობებში ახალი წარმატებული ქვეყნის აშენების საფუძველს მოგვცემდა. კოსმეტიკური ცვლილებები (საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტოთი შეცვლა, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, „რვიანი" ან „ექვსიანი" და სხვ.) რასაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად (ხან ცალ-ცალკე) აკეთებს, ვერ გადაწყვეტენ ქვეყნისა და ხალხის გადარჩენისა და წინსვლის საკითხებს. ეს ფაქტობრივად არის ისევ და ისევ პიარი, ანუ ხალხის ყურადღების გადატანა ე.წ. აქტუალურ საკითხებზე, უცხოეთის ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასანახად; საბაბის შექმნა მორიგი დამკვირვებლების საქართველოში ჩამოყვანისათვის, რომლებმაც უნდა დააფიქსირონ, რომ არჩევნები წინანდელზე უფრო დემოკრატიულად ჩატარდა, ანუ ვიშ, რა წარმატებულია ქვეყანა, რომელიც დემოკრატიისა და რეფორმების ჩატარების გზით ვითარდება!..

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნ. ბურჯანაძე (და მისთანანი), მნიშვნელობა არ აქვს გვერდით ცნობილ მოჭიდავეს, მოჭადრაკეს თუ მწერალს დაიყენებენ, ისინი ისევ ისეთები არიან და იქნებიან როგორებიც იყვნენ 1992-2003 წლებში, ან თუნდაც 2-3 წლის წინ, ძნელია – სავლე იქცეს პავლედ, ქართველმა კი იცის, რომ **„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა"...**

შეგნებული მოსახლეობის უფროს თაობას გაშიფრული ჰყავს „ვაიპატრიოტები"; ახალგაზრდებს კი ვურჩევთ იცოდნენ **ვინ ვინ არის**. ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის გზა **სამართლიანობის აღდგენასა და ეროვნულ ერთიანობაზე გადის!**

დროა დასკვნების გაკეთებისა და რეალური მოქმედებისა. ვაცნობიერებთ რა შექმნილ უმძიმეს ვითარებას, ვურჩევთ 1990 – ანი წლების ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს უარი თქვან წარსულში ჩვენს შორის არსებულ პოლიტიკური დაპირისპირების გაგრძელებაზე და სახელმწიფოს გადასარჩენად გადავდგათ პირველი ნაბიჯები ეროვნული მოძრაობის „ახალი ტალღის" დაწყებით, რაც თავის თავში გულისხმობს 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგების აღმოფხვრას; რისთვისაც ეროვნულმა მოძრაობამ, პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უნდა ეცადოს მშვიდობიანად აღუდგინოს უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზნით, – რომ უზენაესმა საბჭომ იმდროინდელი საარჩევნო კანონის ძალით დანიშნოს და ჩაატაროს ლეგიტიმური არჩევნები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს რეალურად თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ჩვენს ქვეყანაში და, შედეგად, ლეგიტიმური ხელისუფლების მშვიდობიანად დაბრუნებას; წერტილს დაუსვამს რევანშიზმის საფრთხეს და აღადგენს ნდობას პოლიტიკურ ძალებს შორის, ხოლო აღდგენილი ლეგიტიმური კონსტიტუცია უპირატესობას მიანიჭებს ახალ ხელისუფლებას, სეპარატისტულ რეგიონებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევის საქმეში.

მოვითხოვთ, – საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ (პრეზიდენტი, პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა) **ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს,** საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს (მათ შორის პრემიერ – მინისტრ ბ. გუგუშვილს), რათა მათ საშუალება მიეცეთ საქართველოში დაბრუნებისა და კანონით გათვალისწინებული მშვიდებიანი საქმიანობისა.

მიგვაჩნია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს **მრგვალი მაგიდა „სამშობლო"**, რომელშიც ნებაყოფლობით გაერთიანდებიან 1990-იანი წლების ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ორიენტაციის ახალი პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

1990-იანი წლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს (მათ შორის დეპუტატებს, ვინც 1991 წელს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს), **ვისაც ხელი არ გაუსვრია მოძმეთა სისხლით**, ვთხოვთ 2011 წლის 15 (ან 22) სექტემბერს 15 საათზე, მობრძანდნენ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, „9 აპრილის" მემორიალთან, ერთმანეთს ძველებურად გაუწოდონ მეგობრობის ხელი.

**„9 აპრილის" საზოგადოებისა**
**და ახალი ეროვნული მოძრაობა**
**„სამშობლოს" სახელით,**
**მაკა ბაშალეიშვილი**
**(1989 წლის 9 აპრილს**
**დაღუპული ნათია**
**ბაშალეიშვილის დედა)**
**ზაურ ბედია,** მფრინავი
**როინ ლიპარტელიანი,**
იურისტი
**თამაზ ბიბილური,**
ჟურნალისტი
და კინორეჟისორი
საკონტაქტო
ტელ.: **591 24 28 10.**
ელ ფოსტა: **mamia@mail.ru**
*31.08.2011 წ.*

**P.S.** **თბილისში მცხოვრებ კეთილი ნების ადამიანებს, ბიზნესმენებს ვთხოვთ, ვისაც გაქვთ საშუალება შეუძინოთ ან დროებით გამოყოთ ფართი (თუნდაც ერთი ოთახი), რათა მერიასა და თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოში გამეფებული კორუფციისა და ძალადობის შედეგად, დევნილობაში მყოფ „9 აპრილის" მუზეუმს მიეცეს შესაძლებლობა უნიკალური სახელმწიფო მნიშვნელობის ექსპონატების განთავსებისა და გადარჩენისათვის.**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

# ar SeiZleba qarTuli saxelmwifo saakaSvilis esTetikiT Sendebodes



***გვესაუბრება პოლიტოლოგი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპას) რექტორი გიორგი მარგველაშვილი:***

**— ბატონო გიორგი, ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ სასტუმროების, გზების, ხიდების მშენებლობით სახელმწიფოს აშენებს. რა ხდება რეალურად?**

— როდესაც შენდება გზები, ეს არ არის სახელმწიფოებრიობის ნაწილი, თუმცა გზების მშენებლობა, კომუნიკაციების გაძლიერება და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოს პლუსია, ამ თვალსაზრისით ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები პოზიტიურია. რაც შეეხება სასტუმროებს, შადრევნებს და ა.შ. ეს სხვა ტიპის ქმედებებია. არ უნდა შეგვეშალოს ერთმანეთში საზოგადოებრივი სიკეთე და სხვა ტიპის სიკეთეები, რომელსაც ხშირად თავისთვის ქმნის ხელისუფლება.

**— ახლახან კიდევ ერთი ქალაქი ანაკლია შეგვემატა, სადაც პრეზიდენტმა თავი მოიწონა ევროპაში ყველაზე გრძელი ხიდის მშენებლობით. ჩქაროსნული წესით გაიხსნა ბათუმის ოპერის**



**თეატრი, სადაც ისევე წვიმს, როგორც გარეთ. ფასადური სილამაზის მიღმა სახელმწიფო ინგრევა.**

— ამას სახელმწიფოებრიობას ნამდვილად ვერ დავუკავშირებთ, ეს არის ნაწილი იმ მმართველობითი სისტემის, რაც სააკაშვილს აქვს აგებული. ის ფაქტი, რომ სააკაშვილის გემოვნება — შადრევნებთან, ხიდებთან, „კარუსელებთან" დაკავშირებით ემთხვევა ან არ ემთხვევა ვიღაცის გემოვნებას, ეს არ არის მთავარი. სირთულე იმაში კი არ არის, თუ რა გემოვნება აქვს პრეზიდენტს. მას გაუდის გემოვნება რომ ჰქონდეს მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობა უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა? ეს არ არის კავშირში ერთმანეთთან. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში სააკაშვილის გადასაწყვეტია რა ფერის იქნება სახლი, როგორი ფორმის იქნება ხიდი და რამდენი შადრევანი გვექნება — აქ ინსტიტუციური პრობლემაა. საქმე ისაა, რომ სააკაშვილმა შექმნა კლასიკური სქემა, რომელიც ჩვენთვის აბსოლუტურად არაა უცხო, ზუსტად ასე ასლან აბაშიძე ბათუმის თეატრში მონაწილეობას იღებდა კოსტიუმების შეკერვაში, მსახიობების არჩევაში, პიესის დადგმაში. ეს კლასიკური სქემაა მმართველის, რომელსაც ყველაზე კარგი გემოვნება აქვს, ყველაზე კარგად ესმის მუსიკა, არქიტექტურა. ეს პრობლემაა არა იმდენად, რამდენადაც ამ კაცს ცუდი გემოვნება აქვს თუ კარგი. კარგი გემოვნება რომც ჰქონდეს ეს მაინც პრობლემა იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სისტემასთან, რომელიც არ ფუნქციონირებს თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტებით, არამედ ეს არის ძალიან გაძლიერებული ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც უკვე გააჩნია ტირანიის, ერთმმართველობის მანკიერი, შესახედად საცოდავი გამოვლინება. იმიტომ, რომ როდესაც იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც ეკონომიკური პრობლემები აქვს, დაპყრობილია, ხალხი შიმშილობს, აღელვებს არა ეს პრობლემები, არამედ ესთეტიკა, სწორედ ესაა პრობლემა, როდესაც პრეზიდენტს ესთეტიკის პრობლემებისთვის სცალია. და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი შიმშილობს, უმუშევრობაა. კიდევ ერთხელ ვამბობ, მხატვრობაში ლეონარდოს გემოვნება რომ ჰქონდეს, გაუდის არქიტექტურაში და ბეთჰოვენის მუსიკაში, მაინც არავის არ სჭირდება ასეთი პრეზიდენტი. ხალხს, ქვეყანას სჭირდება მმართველი, რომელიც მოუვლის სულ სხვა რისკ-პრობლემებს. შესაბამისად, აქ არის ინსტიტუციური, სახელმწიფოებრივი პრობლემა, ის მდგომარეობს იმაში, რომ სააკაშვილს საკუთარი თავი მიაჩნია არა აღმასრულებელი ხელისუფლების მსახურად, რომელიც იგი უკვე დიდი ხანია აღარ არის, არამედ მას თავი მიაჩნია აბსლუგიების კარის მონარქად, რომელმაც ამა თუ იმ ხელოვნების დარგი უნდა ააყვაოს. პრობლემურია ის, რომ გარემოცვასაც ასე მიაჩნია და იწყებენ მისი გემოვნების კრიტიკას. არც ერთია მნიშვნელოვანი და არც მეორე. მნიშვნელოვანია ის, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ არის, ის არის პატარა მონარქი. არა! ის არის პატარა, პატარა შახი, რომელსაც თავისი გემოვნების გამოვლენა სურს. სწორედ ეს არის ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი პრობლემა.

შენობების შეფერილობაზე უნდა ისაუბროს კომპეტენტურმა პირმა და არა პრეზიდენტმა, იგი არ არის ამ სფეროში კომპეტენტური. ესთეტიკის დარგში არცერთ პრეზიდენტს არ ირჩევენ. აშშ-ში დეტალურად სწავლობენ პრეზიდენტის ჯანმრთელობას — რამდენს ვარჯიშობს დილით და როგორი ოჯახური მდგომარეობა აქვს, მის ესთეტიკურ გემოვნებაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას. ჩვენ რატომღაც წამოწეული გვაქვს სააკაშვილის ესთეტიკა. ეს ხდება ავტორიტარულ და ტირანულ ქვეყნებში, როდესაც მნიშვნელოვანია ტირანის ესთეტიკა, ჩვეულებრივ, ნორმალურ ქვეყნებში ამას მნიშვნელობა არ აქვს.

**— დაპყრობილია ქვეყანა და ამ დროს პრეზიდენტს რა ფერის იქნება შენობები ეს აღელვებს — ამ სავალალო ვითარებაზე უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ რას მოიაზრებთ დაპყრობილში, მხოლოდ რუსულ ტანკებს ჩვენს ტერიტორიაზე?**

— რეალურად საქართველოს დამოუკიდებლობა არ გააჩნია, მისი ხარისხი ძალიან დაბალია, ანუ გადაწყვეტილების მიღების დონე, ფაქტობრივად, მიზერულია, ტანკების აქ ყოფნა ერთია, მაგრამ მეორეა ჩვენი რეალური უნარი ამა თუ იმ სფეროში მივიღოთ გადაწყვეტილებები. ამ თვალსაზრისით, სულ უფრო ნაკლებ სფეროს ვხედავ, სადაც ნამდვილად ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესები იქნება წარმოდგენილი მტკიცედ და შეუვალად. ეს ნათელჰყო, თუნდაც ამ ზაფხულს წარმოქმნილმა პრობლემებმა რელიგიასთან დაკავშირებით, ეს ჩანს ეკონომიკის სფეროშიც და ა.შ. დამოუკიდებლობის ხარისხი ამ ქვეყნის ლიდერთა, ესთეტ-ლიდერთა, ძალიან დაბალია, თუნდაც სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. დაპყრობილი ერთმნიშვნელოვნად რუსეთის მიერ ვართ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თურქეთს აქვს მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები დიდი ხნის წინ, აგრეთვე, ჩვენ, იდეაში შეიძლება ტერიტორიული პრეტენზიები გვქონდეს მეზობელ სომხებთან და აზერბაიჯანთანაც. თუ დავაკვირდებით ჩვენი ტერიტორიების ნაწილი მიტაცებული აქვს სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთთან გვაქვს ტერიტორიული პრობლემები. ამასთან ერთად რამდენად მაღალია დამოუკიდებლობის ხარისხი, ძნელი სათქმელია. პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხი კლებულობს იმის ხარჯზე, რომ სააკაშვილი უარს ამბობს, ზურგს აქცევს დემოკრატიას.

**— თქვენ ადრე საქართველო სუპერმარკეტს შეადარეთ. ნორმალურ ქვეყანაში რას ნიშნავს სახელმწიფოს შენება?**

— ყველა სახელმწიფო თუ ეს არ არის სუპერ-სახელმწიფო, რომლებიც გარკვეულწილად დამოკიდებულნი არიან სხვა მეზობელ ან პარტნიორ სახელმწიფოებზე, ჩვენი ტიპის ნორმალურ ქვეყანაში ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენ წინ გარკვეული ძალაა, ეს ძალა, ყოველთვის მომდინარეობს შიგნიდან იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები მივიღოთ და გავატაროთ თუნდაც ჩვენს პარტნიორებთან, მეზობლებთან, გარკვეულ ოპონენტებთან მიმართებაში. ეს ძალა, როგორც ასეთი ფიზიკურად რომ წარმოვიდგინოთ სადღაც უნდა წარმოიქმნას. იმისთვის, რომ სააკაშვილს ჰქონდეს უნარი თუნდაც საერთაშორისო მოლაპარაკებებზე რაღაც თქვას, ამისთვის მას სჭირდება გარკვეული ძალის ვექტორი. ეს ვექტორი შეიძლება რამდენიმე წერტილიდან მომდინარეობდეს: პირველი — გარკვეულად გარეშე ძალა, რომელიც ასეთი ტიპის მხარდაჭერაში ყოველთვის რაღაც გარიგებას ითხოვს, მეორე — შეიძლება მომდინარეობდეს შენივე ქვეყნიდან. როდესაც ძალის ვექტორი მომდინარეობს შენი ქვეყნიდან, შენივე ხალხის მხარდაჭერით, ამას დემოკრატია ჰქვია, რაც ნიშნავს, რომ შენი ხალხი გვერდს გიმაგრებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებაში. ასეთი ძალის ვექტორი ყველაზე ჯანმრთელი, ბუნებრივია და აძლიერებს ქვეყნის ლიდერს. ის, სადღაც გარეთ კი არ ეძებს გარიგებას, არამედ თავის ხალხს ეფუძნება. ასეთი ძალის ვექტორი სააკაშვილს ჰქონდა 2004-2005 და ალბათ 2007 წლამდე. ამ შემთხვევაში ის იყო ლიდერი, რომლის ნათქვამის უკან იდგა მოსახლეობა, თანდათანობით ესთეტიკური, ტირანული, ავტორიტარული მიდრეკილებებით მან გაფლანგა ამ ძალის ვექტორი შიგნით და ნელ-ნელა ამ ძალას ვექტორის გარეთ ძიება დაიწყო, ამა თუ იმ გარიგებებში მთავრობამ იპოვა პარტნიორები, რომელთაც ევაჭრებიან და ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მისაღებად მხარდაჭერას იღებენ. ეს მხარდაჭერა, ხშირად, ისეთი ქმედებებით გამოიხატება, როგორც 26 მაისის დარბევის შემდეგ იყო — საერთაშორისო თანამეგობრობის სრული იგნორირება. ფაქტობრივად, ცენტრალურ ქუჩაზე მკვლელობები მოხდა, ამ იგნორირებას თავისი ფასი აქვს, სააკაშვილი ამ ფასს გადაიხდის ასეთი მხარდაჭერისთვის, რომელიც მას გაუწიეს ვიღაცებმა, მათ ხმა არ ამოიღეს. ამ ფასს გადაიხდის სააკაშვილი, ასევე ქვეყანა. ანუ როდესაც რაღაცას იღებ, ყოველთვის საფასურს იხდი. ერთადერთი რამ, რომელშიც არ იხდი ასე უშუალოდ, პოლიტიკურად — ეს არის დემოკრატიული მმართველობის სისტემა, როცა შენი



4 gv.

3 gv.

ხალხი გიმაგრებს მხარს. დღეს საქართველოს მთავრობამ ეს დაკარგა, იგი ძალას ეძებს გარეთ, გარეთ ძალის ძებნა კი ნიშნავს გარიგებებში ძალის ძებნას. მოსახლეობა სააკაშვილს მხარს აღარ უჭერს. ამ ვითარებაში ფორმა გვაქვს მიღებული გარკვეული სუპერმარკეტის, რომელშიც ვიღაც შემოვა და იტყვის ამა თუ იმისთვის რა გადავიხადო, რა გინდათ გავაკეთო კონკრეტული ქმედებისთვის. მთავრობაც ამ როლს თამაშობს. ხალხი, ამ შემთხვევაში, მოტოვებულია გარეთ, მთავრობა სუსტია.

**— რეალურად პრობლემაა, ალბათ, ის, რომ ამ სუპერმარკეტის ტიპის სახელმწიფოში თანდათანობით ინგრევა, ნადგურდება ღირებული ფასეულობები სულიერება, რელიგია, ტრადიციები, ეროვნულობა და ა.შ.**

— სულიერ ფასეულობებს არ ქმნის მთავრობა, არამედ საზოგადოება და თუ სულიერებაში პრობლემა გაქვს ეს საზოგადოების ბრალია. მთავრობამ ამას შეიძლება ან შეუწყოს ხელი ან შეუშალოს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილის მიერ განხორციელებული ქმედებები ამ მიმართულებით შემდეგნაირია, რაც ესმის იმას აკეთებს. სააკაშვილის ხედვა საქართველოზე — ეს არის ევროპულად თანამედროვე სტილში ორგანიზებული აზიური ქვეყანა, რომელშიც დიქტატურაა, მაგრამ ამავე დროს საბანკო გადარიცხვების მაღალი ხარისხია. სულიერებასთან ამას ნაკლები კავშირი აქვს. სააკაშვილს არ უნდა მოვთხოვოთ არც მაღალი ესთეტიკის დონე და არც სულიერების მაღალი დონე. ვიმეორებ, სულიერებასთან დაკავშირებული პრობლემები სააკაშვილის კი არა, საზოგადოებისაა. თუ საზოგადოებას არ გააჩნია უნარი სულიერი ცხოვრებით იცხოვროს, სააკაშვილს არ უნდა დავაბრალოთ ეს. ეროვნული ფასეულობების შემთხვევაშიც იგივეა — ეროვნულ ფასეულობებს საზოგადობა ახვევს ხოლმე პოლიტიკოსებს. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ, რომ დიდი იდეოლოგიური ბუმია ქართულ პოლიტიკურ ელიტაში. ბოლო ერთი წლის მანძილზე მახსოვს სუბარის განცხადება ქართული სულიერი ფასეულობების შესახებ — ამ განცხადებით დაიწყო და დამთავრდა. რეალურად, ქართულ პოლიტიკურ ელიტას არ შეუქმნია ხედვა თანამეროვე, პროგრესული საქართველოსი. რასაც ვუსმენ სულირებაზე, ეროვნულობაზე პოლიტიოსთა განცხადებებს — ეს ან არის მე-9-ე, მე-13-ე საუკუნეებზე ან 20 წლის წინანდელ საქართველოზე საუბარი. როცა ხატავენ იდეალურ საქართველოს სულ სსრ მახსენდება, რომელსაც აქვს ტერიტორიული მთლიანობა, გაზი, შუქი და შეუძლიათ ფილმების გადაღება. ამაზე მეტი, ფაქტობრივად, დღეისათვის, ქართული საზოგადოებისთვის არცერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუთავაზებია. ის, რომ გადასახადები მაღალია, ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, საგანმანათლებლო სისტემა მოშლილია — ეს ყველაფერი რომ იყოს ეს იქნება 20-30 წლის წინანდელ საქართველოს სსრ, მეტი არაფერი. რაიმე განსხვავებულ მოდელს გვთავაზობენ?! აფხაზეთის და ოსეთის ტერიტორია რომ ჩვენთან უნდა იყოს, ეს არის 20-30 წლის წინანდელი საქართველო. თანამედროვე, დღევანდელი საქართველო რაში მდგომარეობს, რა შეიძლება იყოს ოცნება ქართველის, გარდა იმისა, რომ დაბრუნდეს 30 წლისწინანდელ ან შუა საუკუნეობრივ საქართველოში, მე არ მომისმენია. უცნაურია, როდესაც ქვეყნის პოლიტიკოსები, რომელთაც დღეს მართვა არ ევალებათ, ვერ ოცნებობენ-როგორი შეიძლება იყოს საქართველო. ასეთ ოცნებებს, როგორი აბსურდულიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად სააკაშვილი ახმოვანებს — ხან დუბაი უნდა რომ იყოს, ხან სინგაპური და ხან რა. ეს კაცი ოცნებობს მაინც, სხვების ოცნება არ მომისმენია. თუნდაც სიგიჟე, მაგრამ რომ თქვან, ვთქვათ საქართველო არის განათლების, ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანა, ეს არავისგან მომისმენია. რაში მდგომარეობს ქართული ღირებულებები, რა არის ქართველი 21-ე საუკუნეში, ასეთი მსჯელობა არ მომისმენია. ანუ რა ტიპაა ქართველი — ჩოხით დადის, ფრაკი აცვია, ხმლით დადის თუ ტვინში ჩიპი აქვს ჩამაგრებული, ვინ არის იგი. სააკაშვილს დავაბრალო, რომ ნაკლებობაა ოცნების. რაზეც ისინი გველაპარაკებიან, ამაში უკვე მიცხოვრია და ვიცი რაც არის 30 წლის წინანდელი საქართველო სსრ და რომ აფხაზთში დავდიოდით და ცხელი წყალი მოდიოდა ეს ყველაფერი ვიცით.

# ar SeiZleba qarTuli saxelmwifo saakaSvilis esTetikiT Sendebodes



**— ქართული ღირებულებების ნგრევაზე როცა ვსაუბრობთ, განმსაზღვრელია ენა, რომელიც ქვეყნის ბურჯია. დღეს შექმნილი ვითარებით ქართული ენა უკვე საქართველოში ქართველებსაც აღარ სჭირდება და მითუმეტეს არ სჭირდება აქ მაცხოვრებელ სხვადასხვა ერებს. გამოდის, რომ თავად ვამბობთ სახელმწიფოებრიობაზე უარს? განა პარლამენტმა არ მიიღო კანონი ფილმების ტიტრებით გაშვებაზე?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს აბსურდია. ის ფილმები, რომელსაც მე ინგლისურის კარგად მცოდნეც კი ვეღარ ვუყურებ, ეს არის ერთ-ერთი აბსურდთაგანი, რასაც სააკაშვილი აკეთებს თავისი მდარე გემოვნებით. ეს არის კიდევ ერთი ძალადობა, სააკაშვილის გადატრიალებული ტვინი, დარწმუნებული ვარ თვითონაც არ ესმის ეს ფილმები ინგლისურად იმიტომ, რომ ძალიან რთული გასაგებია, ბევრი სლენგზეა 80-90-იანი წლების ფილმებიდან ვერაფერს გაარკვევ, თუ იქ არ ცხოვრობ.



**— ენის ნგრევა მხოლოდ ამით როდი გამოიხატება. ჩვენი ხელიასუფლება სომხებს, აზერბაიჯანლებს მასიურად უფინანსებს სკოლებს. ანუ, რა გამოდის, ჩვენ მათ სახელმწიფოებრიობას ვუფინანსებთ?**

— თუ სომხური ან აზერბაიჯანული სკოლების მასიური დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფოდან, ეს სიგიჟეა. ზოგადად, უნდა განვასხვავოთ ურბანული და მონოეთნიკური საშიში ტიპის დასახლებები, როგორიცაა სასაზღვრო რეგიონები. რა თქმა უნდა სასაზღვრო რეგიონებში, სოფლის ტიპის დასახლებებში ეთნიკური თემის დაფინანსება, უბრალოდ საშიშია. იქ პირიქით, უნდა შეეცადო ინტეგრაცია მოახდინო იმ მოსახლეობისა შენს ძირითად ეთნოსში. ამის მიმართ უნდა განხორციელდეს მიზანმიმართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ამისთვის ქართულმა სახელმწიფომ სპეციფიკურად უნდა აფინანსოს ქართული ენის სწავლება. მახსოვს, ამის მცდელობა იყო 2004-2005 წლებში, მაგრამ ჩავარდა ეს პროგრამა. ანუ როდესაც ეთნიკურად სომეხი ცხოვრობს სომხეთის საზღვარზე სოფლის პირობებში კომპაქტურად ეს სულ სხვა რიგის საკითხია, ხოლო თბილისელი და ქუთაისელი სომეხი სულ სხვა ტიპის საკითხია, ეს პრინციპულად განსხვავებული თემებია. მაგრამ თბილისში, სადაც უკვე ინტეგრაცია მომხდარია მათი ეთნიკური ნიშნების შენარჩუნება ეს იქნება თეატრი თუ სკოლა, ჩვენი სახელმწიფოებრივი პრიორიტეტია. კიდევ ერთხელ განვასხვავოთ — როდესაც ვერ ახორციელებ ინტეგრაციულ პოლიტიკას, აქ ეკონომიკური საკთხებია, პირველ რიგში, პრიორიტეტული იმიტომ, რომ სად ყიდის ის სომეხი კარტოფილს, ან აზერბაიჯანელი ლობიოს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას სჭირდებოდეს თბილისში ჩამოსვლა. ეს ორი სხვადასხვა რამაა.

**— სომხური თუ აზერბაიჯანული სკოლების დაფინანსებაში პრეზიდენტის მიერ გარანტირებული საარჩევნო ხმების მოზიდვა ხომ არ არის გათვლილი?**

— ბუნებრივია. საქართველოს პრეზიდენტი ვიღაცას რომ ჰგონია მართლა იმის გარდა რამეს წყვეტს თუ რა ფერად შეღებოს სახლი, ეს ასე როდია. სააკაშვილი ყოველთვის არის დამოკიდებული ძალიან სერიოზულად, როგორც ერევანზე, ასევე ბაქოზე, იმიტომ, რომ ამდენი ამომრჩევლის ხმა მისი არადემოკრატიული პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენთან ვერ ექნება. უფრო მეტად გადაწყვეტილების მიღება ხდება ბაქოში და ერევანში.

**— ოპოზიციის გააქტიურების სეზონი შემოდგომა დადგა. რისი დროა ახლა მიტინგების თუ შეხვედრების?**

— ოპოზიციას აღარაფრის დრო აღარ აქვს, მორჩა, რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ? ოპოზიციამ უნდა აჩვენოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რომ გააჩნია გარკვეული იდეოლოგია, უნარი განსხვავებული აზროვნების. სამწუხაროდ, ოპოზიციის პრობლემა ამ წლების მანძილზე მდგომარეობს იმაში, რომ მათთვის იდეალი არის სააკაშვილი. რამდენად კომიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, სააკაშვილი არის ლიდერი, რომელსაც მუდმივად აქვს წარუმატებლობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, მან დაკარგა ქვეყნის შიგნით ნდობა, გაფლანგა დემოკრატია, ღირებულებები, წააგო ტერიტორიები, ეკონომიკა ჩავარდნილია, ამ ოპოზიციისთვის მაინც არის ლიდერი. მათთვის მიზანი გახდა ის, რომ სააკაშვილები უნდათ გახდნენ. რატომ ედრებიან სააკაშვილს ვერ ვხვდები? სულ უნდათ, რომ მიშა იყვნენ, არადა ეს მიშა უკვე არის და ბარემ იყოს, რაღატომ უნდა გამოვცვალოთ მიშა გრიშათი ვერ ვხვდები. შეიძლება გრიშას უკეთესი გემოვნება აქვს და შადრევანს გააკეთებს სხვანაირს, მაგრამ ადამიანს, რომელიც მიშაობაზე ოცნებობს, რა შანი აქვს მოსვლის?!

**— თანაც ეს ოპოზიციონერები გაიძახიან მიშა მოღალატეა, კრიმინალი, მტერი, კალვერააო, ამ დროს კი მასთან ერთად არჩევნებისთვის იწყებენ მზადებას. კრიმინალთან ერთად როგორ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას?**

— საქართველოში არჩევნები არ ჩატარებულა არცერთ ეტაპზე სამართლიანად და არც ჩატარდება. თუ რაიმე ტიპის კონსოლიდაცია იქნება, შესაძლებელია არჩევნების იმიტაცია მოხდეს, მაგრამ უცხოელი დამკვირვებლებიდან დაწყებული ადგილობრივი საარჩევნო კომისიით დამთავრბული, ყველას ყველაფერი კარგად გვესმის. სააკაშვილი არ ჩაატარებს არჩევნებს, თუ მისი გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ რა იდეოლოგიით გადის ოპოზიცია არჩევნებზე ეს ცალკე თემაა. ასეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს ქვეყანაა, იდეოლგიის, ნათელი წერტილის გარეშე არჩევნებში გასვლა აბსურდია.

**— ოპოზიციას იდეოლოგია რომ არ აქვს გასაკვირი არცაა, მაგრამ რა ტიპის იდეოლოგიის დამკვიდრებას ცდილობს თავად ხელისუფლება — დასავლური, ლიბერალური მოთხოვნების შესაბამისს თუ საბჭოური მორჩილების პრინციპზე აგებულს?**

— ხელისუფლება ვერავითარ იდეოლოგიას ვერ დაამკვიდრებს, რაც შეეძლოთ თავისი მოკლე განათლებით, უკვე გააკეთეს. ხელისუფლება მიდის მარტივი მენეჯმენტით, ადამიანების ცოტა შეშინებით, ცოტა მიპრესვით, ეს საბჭოური არა, მაგრამ ტირანული, ავტოკრატიულია. ეს მსოფლიოში ბევრად უფრო გავრცელებული მმართველობის ფორმაა, ვიდრე დემოკრატია. ეს არ არის ხელისუფლების იდეოლოგია, არამედ მმართველობის ტიპია. ლიბერალიზმს რომ გაიძახიან — ლიბერალიზმის გაგნებაში არ არიან, შეიძლება თვითმფრინავში ვინმემ დახეული ბროშურა მისცა და ამ დონეზე წაუკითხავთ და ბოლომდე არ იციან რას კითხულობენ. ეს არ უნდა შეგვეშალოს იმ მართვად ფუნდამენტურ ღირებულებებთან, რასაც ლიბერალიზმი, ადამიანის თავისუფლება ჰქვია. რასაც სააკაშვილი აკეთებს ეს ლიბრალიზმთან ისე შორს დგას, როგორც კომბოსტო და შათლი. როდესაც მართავ, ამ ფორმას რაღაც უნდა დაარქვა. ფორმა, რომელსაც ისინი აპიარებენ, ეს უბრალოდ მოსახლეობის ეფექტური მენეჯმენტი, იდეოლოგიასთან კავშირი არ აქვს. ეს გამოჩნდა რელიგიის და ქსენოფობიის თემებიდან, რაც ასე სამარცხვინოდ გადაწყვიტა ჩვენმა სახელმწიფომ. ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენთან სახელმწიფოებრივი აზროვნება საერთოდ არ არის, ქართული იდეოლოგია ტვინში ჩანასახის დონეზეც კი არ არსებობს.

**თამარ შველიძე**

# sikvdili gaZvirda, jarima 50 laridan iwyeba da yoveldRe emateba

ჭირიანობა საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო, მაგრამ ახლა უკვე ჭირისუფლების დაწიოკებაც დაიწყეს. ისედაც ცოცხალ-მკვდარი მოსახლეობა კიდევ უფრო დაშინდა სიკვდილით, რადგან სიკვდილიც გაძვირდა და თუ 3 დღეზე მეტი გაგრძელდა სიკვდილის შემდეგ მიცვალებულის გაჩერება, მაშინ იციცხლეთ, მერიამ ახალი სარფიანი შემოსავალი იშოვა. არც მკვდრების მოერიდებათ და არც ცოცხლების, მოვლენ და ფულს აგახევენ. რეკეტი სიკვდილზე მერიის რომელიღაც ნაციონალ–უცოდინარის ტვინში მოიხარშა და პრაქტიკაში დანერგვა დაიწყო. არადა, რამდენ ფულს იშოვიან ისედაც დაავადებულ და სიკვდილის ზღვარზე მიყვანილი მოსახლეობისაგან? ამას ჰქვია სწორედ „შავი ჭირი“, რომელიც ჩვენს ქვეყანას დღითიდღე განადგურებით ემუქრება.

ვინ არის განმკითხავი? მუსიკასაც თავად უკვეთავენ და თავად ცეკვავენ. ნაციონალური უბედურება ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება. რამ დააჩიავა და დაადამბლავა პოლიტიკური ოპოზიცია, რატომ ჩაიძირა პოლიტიკურ წუმპეში? იქნებ მწვანე დოლარებმა და კეთილმოწყობილმა ცხოვრებამ, რომელიც ნაციონალების წყალობით მოიპოვეს?. „კობა დავითაშვილის არ იყოს ხელისუფლება ხომ ვალდებულია პარტიები დააფინანსოს? დააფინანსა კიდევაც, ამიტომაც არიან საეჭვოდ გაჩუმებული და სიკვდილივით დადუმებული. მაპატიეთ და გაიმპოტენტებული ოპოზიცია ხმას არც გადასახადების მომატებაზე, ტრანსპორტის გაძვირებაზე, დენზე მიბმულ ნაგვის გადასახადზე თუ სიკვდილის გადასახადზე იღებს. ხოლო მოსახლეობას პანიკური შიში აქვს და არ იცის, რა ქნას, ადამიანები სასოწარკვეთაში არიან და გამოსავალს ვერ ხედავენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. პროტესტის გრძნობა დაიკარგა და ისეთი დუმილია, როგორც სასაფლაოზე.

საკვირველია, რამ გაგაჩუმათ, ხალხო, ისეთი დღე უნდა დაგვეყარა ხელისუფლებისთვის ამ კანონის მიღების გამო, რომ მკვდრებსაც კი გასცინებოდა, ჩვენ კი ოლიმპიური სიმშვიდით ვიტანთ ხელისუფლების ყოველგვარ თავგასულობას, რატომ?

მიცვალებულზე ტარიფის დაწესებამ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც აღაშფოთა, როგორღა მოასწრებენ ისინი საქართველოში ჩამოსვლას? ახლახან ერთმა ახლობელმა დამირეკა ისრაელიდან და სასოწარკვეთილი მელაპარაკებოდა, მისი თქმით, ხელისუფლებამ 2 მილიონამდე ქართველი ემიგრანტი გასწირა ამ კანონის მიღებით, ღმერთმა დაგვიფაროს და სიკვდილის შემდეგ ქართული მიწა სანატრელი გაგვიხდება, საქართველოში დამარხვას ვერ ველისრებითო... ან როგორღა შეძლებენ საზღვარგარეთ წასული შვილები ჩამოსვლას და მშობლების დატირებას, მათ უკანასკნელ გზაზე გაცილებას?

ჩემო მკითხველო, ალბათ, მიხვდებით, როგორ გაამწარა ადამიანები ამ ხელისუფლებამ, რომ სიკვდილსაც კი ველარ ნატრობენ უკვე. ზოგჯერ სიცოცხლისაგან დაღლილი და გაწამებული ადამიანები გამოსავალს სიკვდილში ხედავენ, მოვკვდები და დავისვენებო, ვინ დაგასვენა, თუ სიკვდილს აპირებ, მაშინ დაკრძალვისათვის საჭირო თანხაც უნდა მოიმარაგო, თორემ მერე ნახე ჭირისუფლების დაწიოკება.

არადა ვინ შეაწუხებდა ჭირისუფალს, როგორი მტერიც არ უნდა ყოფილიყო, პირიქით, სწორედ მაშინ ანუგეშებდნენ.

მართალია, ძალიან გამიჭირდა ჭირისუფლებთან საუბარი, მაგრამ რამდენიმე მათგანის აზრი რომ გამეგო ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე წავედი.



# nacionalurma Wirma Wirisuflebamdec miaRwia




მესაფლავეებს საფლავზე სუფრა გაეშალათ და სახელდახელოდ სადილობდნენ, მითხრეს ჩვენი შეფი ახლა მერიაშია წასულიო, იქვე რამდენიმე ჭირისუფალს გავესაუბრე:

**თენგიზ დარახველიძე, ჭირისუფალი:** – ესღა გვაკლდა, რომ ჯარიმები დაეწესებინათ, ისედაც რამდენი ხარჯები გავწიე ახლობლის დასამარხად, ახლა ჯარიმებს გვიწესებენ, თქვენ წარმოიდგინეთ, სასაფლაოებიდან ისედაც კოლოსალური თანხები შედის ქალაქის ბიუჯეტში, ახლა კიდევ ჭირისუფლების გაძარცვა მოინდომეს, ჩემი აზრით, ხალხი ამას ვერ მოითმენს. მიცვალებულებით ვაჭრობას ამ ხელისუფლებას არ ვაპატიებთ.

**მეგი ნაჭყებია, ჭირისუფალი:** – 25 წლის შვილი დავმარხე, დაკრძალვის თანხა საზღვარგარეთიდან გამომიგზავნეს, არ რცხვენია მერიას ასეთ კანონებს რომ ღებულობს, ჩვენი გაჭირვებაც გვყოფნის, ჩემთან რომ მოსულიყვნენ და გადასახადი მოეთხოვათ, არ ვაპატიებდი, არ ვიცით, ხვალ რა იქნება, გულგახეთქილი ჭირისუფლები ყველაფერზე წავლენ....

შვილო, ნურაფერს მკითხავთ, ჩემი შვილი საზღვარგარეთ დაიღუპა, მეათე დღეს დავკრძალეთ, ჯარიმებზე არ გამიგია და არც მინდა ვიცოდე, ალბათ, იმ გამწარებულზე ვინმე რომ მოსულიყო, თავს შევაკლავდი. ძალიან გთხოვთ ჩემი სახელ-გვარი არ ჩაწეროთ. ისიც მეეყოფა, რომ ასეთ დღეში ვარ.

ძალიან ძნელია ჭირისუფლებმა მერიის ახალი კანონმდებლობა გაიგონ, თუმცა მერიის შესამამისი სამსახური, ამ შემთხვევაში შპს „ჰერმესის“ თანამშრომლები ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამ ამოცანას კარგად გაართმევენ თავს და სარფიან შემოსავალს იშოვიან.

ალბათ, ჩვენმა მკითხველმა არ იცის, რომ „მესაფლავეს“ ავტორის დიდი გალაკტიონის ძმისშვილის ნოდარ ტაბიძის შვილი გიორგი ტაბიძე ნაციონალებმა ძალიან დააფასეს და სასაფლაოების შეფად დანიშნეს, ოღონდ კომერციის დარგში და რა იცოდა გალაკტიონმა „მესაფლავეს“ რომ წერდა მისი შთამომავალი მკვდრებს დააჯარიმებდა? ამას გალაკტიონი, არ დაიჯერებდა, იქნებ გულმა უგრძნო, როცა „მესაფლავეს“ წერდა. არც ჩვენ გვჯერა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ვისაც გვჯერა გაგვატარეთო... ისე გალაკტიონს რომ გაეგო ეს ამბავი, საფლავში გადატრიალდებოდა.

გიორგი ტაბიძეს უნივერსიტეტიდან ვიცნობ და ძალიან გამიკვირდა, ის ასეთი თანამდებობის მაძიებელი არ იყო და ერთ დროს კომპარტიას აგინებდა, მერე ასლან აბაშიძის ფავორიტი გახდა და ბოლოს ნაციონალების სენი შეეყარა და მათაც დაუფასეს. რატომღაც გიორგი ტაბიძე მესაფლავეების შეფად არ მემეტება, მისი ადგილი იქ არ იყო. საინტერესოა, როგორ უყურებს ჩვენი ჟურნალისტი გიორგი ტაბიძე სიკვდილზე ტარიფის დაწესებას და აქვს თუ არა ძველებურად ჰუმანური და პროგრესიული აზრები?

გიორგი ტაბიძე ახლა შპს „ჰერმესის“ კომერციული დირექტორია და საკრებულოში აქვს კაბინეტი, შპს „ჰერმესში“ მითხრეს, აქ იშვიათად შემოივლისო. გიორგი ტაბიძესთან დაკავშირება არც ისე ადვილი აღმოჩნდა,როგორც მეგონა, მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა, კომენტარს არც შპს „ჰერმესის“ ხელმძღვანელი ვალერი სხიერელი აკეთებს, რადგანაც მას მერიის პრესსამსახურის შესაბამისი ნებართვა სჭირდება, მერიის პრესსამსახური კი ამის ნებართვას არ იძლევა. თუ რა ფინანსური მოგება აქვს სასაფლაოების ბიზნესიდან შპს „ჰერმესს“ ამის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, ერთი რამ კი ცხადია, რომ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპს „ჰერმესი“ სარფიან შემოსავალს ღებულობს და ინფორმაცია შესაბამისად დახურულია.....

**საკითხავია, რატომ ემალება პრესას შპს „ჰერმესის“ კომერციული დირექტორი გიორგი ტაბიძე, ნუთუ ჰგონია, რომ მისი თბილი სავარძელი სამუდამო განსასვენები ადგილია?**

სამწუხაროდ, ვერც საჯარიმო ტარიფების შესახებ მოვიპოვეთ ინფორმაცია, მხოლოდ „ჰერმესის“ ერთ-ერთ თანამშრომელს კერძო საუბარში წამოსცდა, რომ საჯარიმო თანხა დაახლოებით 50 ლარიდან იწყება და ყოველდღე მოემატება.

დაუმარხავი მიცვალებული, ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ თუკი 3 დღეში ჩვენმა ჭირისუფალმა უსახსრობის გამო მიცვალებული მიწას ვერ მიაბარა, მერიის, თუ ამ შემთხვევაში შპს „ჰერმესის“ სამსახური ახალი კანონმდებლობის მიხედვით მიცვალებულის კრემაციას მოახდენს.

ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოჰყვება ამას, გამწარებული ადამიანების კიდევ უფრო გამწარება ბოლო წვეთი იქნება... იქნებ მოსახლეობა საბოლოოდ გამოფხიზლდეს და იფიქროს „ნაციონალური ჭირის“ მოშორებაზე, რომელიც ცოცხლებსაც და მკვდრებსაც ერთდროულად სწოვენ სისხლს...

**ეთერ ბალაძე**

**P.S.** **ეს წერილი უკვე რედაქციისთვის მქონდა გადაცემული, როცა ნაცნობმა დამირეკა და მითხრა, ჩემი ნათესავი გუშინ 500 ლარით დააჯარიმეს – მიცვალებულის დაკრძალავა დაუგვიანდაო.**

# Sps `hermesis~ komerciuli direqtori giorgi tabiZe galaktionis `mesaflaves~ asaflavebs...

# mindia gulua: me marTali Tvalebi maqvs da SegiZliaT mendoT!



ამას წინათ ერთმა პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებულმა ადამიანმა თქვა — ეს ეგრეთწოდებული ოპოზიციური პარტიები ახლა ეძებენ ახალ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც მცირე გამოცდილების და ბევრი ფულის პატრონი იქნებაო. კი, მაგრამ რაში სჭირდებათ ასეთი-მეთქი და ეს აფერისტები ფულს შეაწერენო.

სამწუხაროდ, საქართველოში კარგა ხანია პოლიტიკა და პოლიტიკოსობა ფულის კეთების საშუალებად, უფრო ზუსტად, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, უშრომელი შემოსავლის წყაროდ იქცა.

არა, შრომით კი შრომობენ — ამდენი ტყუილის თქმა, ამდენი ცრუ დაპირების გაცემა, ამდენი ლაქლაქი, ამდენი აღმა-დაღმა სირბილი, ერთმანეთისთვის კომპრომატების ჩხრეკა, ხელისუფლებასთან საიდუმლო გარიგებები შრომაა, აბა, რა არის, მაგრამ ეს შრომა ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკის კეთებას კი არა, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ფინანსურ ინტერესებს ემსახურება.

ფულის შოვნაზე გადაგებული ქართული ოპოზიციური სპექტრი დღეს, ფაქტობრივად, გაიშიფრა და პოლიტიკურად გაკოტრდა.

ოპოზიციური ნიშა, შეიძლება ითქვას, თავისუფალია და, სხვათა შორის, არც ისე ბევრია მსურველი ეს ნიშა დაიკავოს.

**აი, ასეთ დროს ჰორიზონტზე ჩნდება რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი მინდია გულუა და განცხადებას აკეთებს, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს.**



მინდია გულუამ რამდენიმე დღის წინ სტამბულში შეხვედრა გამართა.

ვინ არის მინდია გულუა? ასეთი კითხვა დავსვი „საერთო გაზეთის“ ადრინდელ პუბლიკაციაში. ჩემი ვარაუდით, ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს სტამბულში, მინდია გულუასთან უშუალო შეხვედრისას მაინც მივიღებდი, მაგრამ მან ინტერვიუს ჩასაწერად ვერ მოიცალა, რადგან გარს ეხვია რაღაცის იმედით და შორეული მგზავრობით გაბრუებული ათეულობით ადამიანი და მისგან პასუხს ითხოვდა კონკრეტულ წინადადებებზე...

სტამბულის შეხვედრა არ ყოფილა უბრალო, მაგრამ რა საჭირო იყო ეს შეხვედრა, ჩემთვის გაურკვეველია. ჯერ ერთი, თუ შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო, სტუმართა უმრავლესობა ბიზნესმენს მანამდე გაუცნია თურმე, ჯერ კიევში და მერე ერთხელ უკვე სტამბულში შეხვედრისას. უსაუბრიათ, გეგმებიც დაუწყვიათ და მის შესახებ ჩვენს გაზეთს შეხვედრის მონაწილეებმა კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ და მისმა მეუღლემ უკვე უამბეს.

მე მომეჩვენა, რომ ბიზნესმენი, რომელიც თურმე, როგორც თვითონ გვაუწყა, 20 წლის ასაკში ხეტყის ყველაზე დიდი წარმოების უფროსი იყო სოხუმში, საქართველოში არსებულ სიტუაციაში გაუთვითცნობიერებელი გახლავთ, არადა, ეს გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ადამიანისთვის, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას აპირებს.

ერთი მეტად პატივსაცემი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მინდია გულუა ამბობს: „მე ახლა ომში ვებმები საქართველოს გადასარჩენადო“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სანამ ბრძოლაში ჩაბმას გადაწყვეტს კარგი მებრძოლი, წინასწარ კარგად დაზვერავს ხოლმე საბრძოლო მოედანს, ასეთია ბრძოლის წესი.

თავიდან, როცა მის შესახებ ქართულმა საზოგადოებამ შეიტყო, იმ ინციდენტის შემდეგ, რაც იგი თბილისის აეროპორტში როგორც არსაიმედო პირი, არ შემოუშვეს და რატომღაც სომხეთში გაამგზავრეს, მას შემდეგ გვეგონა, შეკრებდა თავის თანამოაზრეებს და სწორ და ამომწურავ ინფორმაციებს შეაგროვებდა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმის გარდა, რა ეკონომიკური ბიზნესაქტივობები შეიძლება აწარმოოს აქ დაინტერესებულმა ბიზნესმენმა, სხვა ინფორმაციები მას თითქმის არ გააჩნია. თუმცა მინდია გულუა აცხადებს, რომ ის პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს და ეს სულ მალე, ოქტომბერში უნდა მოხდეს. თანაც ამ პარტიამ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს და პარლამენტშიც უმრავლესობით უნდა მოვიდეს.

მოკლედ, ასე, რუსეთში მოღვაწე, ახალგაზრდა ბიზნესმენი მინდია გულუა პოლიტიკური ფიგურა ხდება.

იმის მაგივრად, რომ გულუას თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ ინფორმაციებისთვის ამ ინფორმაციების მფლობელებისთვის — ქართული მედიის წარმომადგენლებისთვის ეკითხა, მით უფრო, რომ რუსეთში, რამდენადაც ვიცით, არ არიან განებივრებული განსხვავებული შეხედულებების მქონე ქართული ჟურნალ-გაზეთებით, ბატონმა ბიზნესმენმა საქართველოში გამომავალ ორიოდე გაზეთს მიაპყრო მოწყალე მზერა და მათთან გადაწყვიტა მჭიდრო საქმიანი კონტაქტის დამყარება. ამის შესახებ მან განაცხადა სტამბულში შეხვედრაზე და დაასახელა კიდევაც ის გამოცემები, რომლებთანაც გარკვეული ჰქონდა ურთიერთობის ნიუანსები. დანარჩენებს, ვინც დამჭირდება, ვიყიდი. სხვა თუ 500 დოლარს აძლევს, მე მივცემ 1000 დოლარს, ხოლო მათ, ვისაც არ ვიცნობ, ჩემს გარეშე ჩემზე ერთ სტრიქონსაც ვერ დაწერენო!

არ ვიცი, რა „რისხვას“ უნდა ველოდე მინდია გულუასგან, მაგრამ ის ამ წერილს მხოლოდ მას შემდეგ ნახავს, რაც „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდება...

ახალგაზრდა ბიზნესმენმა სურვილი გამოთქვა ტელეკომპანია „მაესტროს“ წილები უნდა შევიძინოო. რადიოკომპანიას გავხსნი, გაზეთ „დრონს“ მე ვაფინანსებ და სხვა გაზეთებსაც დავეხმარები ქაღალდითო, სტამბის ხარჯებში შევეშველებიო... ამ სიტყვებს რომ ვუსმენდი, მომეჩვენა, რომ მინდია გულუა ცუდად იცნობს ქართულ მედიასივრცეს და არ არის გარკვეული ამ სივრცის საკმაოდ ბნელ და სახიფათო ლაბირინთებში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იგი არასაკმარისად იცნობს ქართული პოლიტიკური თეატრის კულისებსაც...

მან არ იცის, ვინ აკონტროლებს და ვინ აფინანსებს ცალკეულ გამოცემებს თუ ტელეკომპანიებს, არ იცის, რა ფარული კავშირებია ამ საინფორმაციო საშუალებებსა და ხელისუფლებას შორის, ვისი ბიზნესინტერესები დევს ამა თუ იმ ვითომ ოპოზიციური გაზეთის თუ ტელეარხის საქმიანობაში.

ის ჰგავს სხვის მინდორზე, სხვის გუნდში შეჭრილ მოთამაშეს, რომელსაც ცოტა ხანი კი ათამაშებენ თავის ნებაზე, მაგრამ დადგება მომენტი, როცა მსაჯი მკაცრად ჩასტვენს და მოთამაშეს მინდვრიდან გააძევებს.

მინდია გულუა საუბრობს რაღაც მედია-ჰოლდინგის მსგავსი სტრუქტურის შექმნაზე, მაგრამ არ ახსოვს, ან არ იცის, როგორ დაამთავრა საქმიანობა ბადრი პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგმა. არ ახსოვს სააკაშვილმა, „ნაცმოძრაობის“ ჯიგრების რკინის ხელით ერთი დაკვრით როგორ გაანადგურა ტელეკომპანია „იბერია“, დახურა ტელეკომპანია მე-9 არხი, ჩაძირა უამრავი მედია-გამოცემა, ნამუსი ახადა ტელეკომპანია „იმედს“ და „იმედის“ ერთ დროს ვითომ პირუთვნელი და ობიექტური ჟურნალისტები პირისფარეშებად გაიხადა...

ერთმა საეკლესიო პირმა თქვა: ძნელია ქართველობა, მაგრამ აუცილებელიო! მართალია, ძნელია იყო ქართველი და მით უმეტეს დღეს. უფრო ძნელია ქართველ ხალხში ნდობა მოიპოვო, რადგან ისე დაესვარა ქართულ პოლიტიკას გამსახურდიასდროინდელი ქალწულებრივი კალთა, რომ აღარავის სჯერა დღეს პოლიტიკოსების. საქართველოს ხელისუფლება ხელმძღვანელობს ერთი უტყუარი პრინციპით — „ყველაზე ნაკლებად საშიში ლომი მკვდარი ლომია“, მელია — კუდაგრძელიების, მაჩვების და კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო, ამათი, ამ ხელისუფლებას არ ეშინია. ე.ი. ვისაც ცოცხალს სტოვებს, მათი ნდობა არ შეიძლება!...

ასეთი „იდეოლოგიაა“ დღეს საქართველოში...

სხვათაშორის, ბატონ მინდია გულუას როცა შეკითხვა დაუსვეს, ასეთი თამამი რომ ხარ, ასეთი კარგი რომ ხარ, ასეთი სრულყოფილი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამები რომ გაქვს, ქვეყნის აყვავება რომ გინდა, ამ პირსისხლიანების არ გეშინიაო?

— მე უფრო ფრთხილი ვარ, ვიდრე ბადრი პატარკაციშვილი იყოო, — განაცხადა მან.

მინდა გითხრათ, ბადრი პატარკაციშვილიც არ იყო ჰალსტუხიანი პეპელა, სააკაშვილის მიგზავნილი კოდუები და მისი მსგავსები ისე მიელო, სიტუაცია არ გაეშიფრა, მაგრამ...

მინდია გულუა ამბობს: მე ზოგიერთებს ფსბ-ს პროექტი ვგონივარო და იცინის მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით. არ ვიცი, ვის ჰგონია ფსბ-ს პროექტი მინდია გულუა თავისი პოლიტიკური ზრახვებით, მაგრამ მე ნამდვილად არ მგონია იგი ფსბ-ს გამოგზავნილი, რადგან ფსბ-ს გაკვეთილებგამოვლილი ადამიანი საკუთარ გეგმებსა და განზრახულობაზე ასე აშკარად და დეტალურად არ ლაპარაკობს უცნობი ადამიანების წინაშე.

მართალია, დღეს ყველამ კარგად იცის, ყოველი ტიპის ბიზნესაქტივობა რუსეთის ფულით ხდება საქართველოში. რუსეთს და მის ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც თვით რუსები საბაკაშვილს უწოდებენ, მტრად მიიჩნევს, საქართველოში დაბანდებული ყველა მსხვილი კაპიტალი რუსულია და ყველა ფულიანი კაცი რუსეთში ან რუსული ფულითაა გამდიდრებული. ქართული საზოგადოებისთვის ჯერ გაუგებარი და გაურკვეველია, რა დონის და დოზის კავშირები აქვს გულუასა და ნაცმოძრაობას ერთმანეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბატონი გულუას ყოველი „კეთილშობილური“ წამოწყება, ეკონომიკური თუ პოლიტიკური გეგმები წინასწარ არის კრახისთვის განწირული...

მინდია გულუას ერთ-ერთი მარჯვენა ხელი და დასაყრდენი სტამბულის შეხვედრის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მონაწილე, ყველგანმავალი და ყველგანმყოფი შიო არსენაშვილი გაზეთ „დრონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მინდია გულუას სიტყვებს პირდაპირ იმეორებს და ამბობს: „ჩვენს პარტიას საერთაშორისო მხარდაჭერა ექნება. უწინარესად, ეს ეხება რუსეთსა და ამერიკასო“ და დასძენს: „ამერიკას სურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარება. ამიტომაც გვექნება მხარდაჭერა ორივე ქვეყნის უმაღლეს ეშელონებშიო“.

საინტერესო მოსაზრება მოვისმინე თვით ბატონი მინდიასგან და შემდეგ იგივე ბატონმა შიომაც დაადასტურა. ერთი სიტყვით, ამერიკა, როგორც ჩანს, ფსონს დებს პარტიაზე, რომლის შექმნის ინიციატორად მინდია გულუა გამოდის. ახალ ქართულ პარტიას (ასე ხომ არ დაარქმევდით?) ჯერ სახელიც არა აქვს, სტრუქტურად ჩამოყალიბებისთვის საკმაო დრო, ენერგია, რესურსი, ფული, მოთმინება სჭირდება. ამერიკას კი ეს პარტია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოსაგვარებლად დასჭირვებია.

ნამდვილად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მინდია გულუასი და მისი მშვენიერი გეგმების, მაგრამ ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ მომავალი პარტიაც პოლიტიკური საქმიანობის გაშლას საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს საზოგადოების გარეშე აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ, რო-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



გორც თვითონ ამბობს, არ იქნება პარტიის ლიდერი, არც წევრი, ვერ ჩამოვა საქართველოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, მაინც ხმამაღლა აცხადებს, რომ აუცილებლად იყიდის მსხვილ სამრეწველო ობიექტებს, შექმნის სამუშაო ადგილებს და რაც მთავარია, დაიბრუნებს აფხაზეთს, აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას...

მინდია გულუამ ღიმილით განაცხადა, რომ მას სააკაშვილი მალე მისცემს საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ როგორ დაუბრუნებენ მოქალაქეობას ადამიანს, რომელსაც ყველა ანგარიში დაუყადაღეს, საქველმოქმედო ფონდი „მზე შინა და მზე გარეთა“, რომლის დამფუძნებელი საპატრიარქო და მინდია გულუა გახლდათ, საპატრიარქოს დაატოვებინეს.

გაუგებარია, ვისი რჩევით მოხვდა გულუასთვის უცნობი მეუფე შიო ამ საქმეში, მაგრამ მეუფემ შემდეგ საჯარო რეესტრში თვითონ მიიტანა განცხადება ფონდიდან გასვლის თაობაზე. თუკი სპორტშიც პოლიტიკაა ჩართული და საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, როგორ მოხერხდება პარტიის დაფუძნება და ოპოზიციური ნიშის დაკავება? გამოდის, რომ ხელისუფლებასთან უნდა ითანამშრომლონ? ეს შიო არსენაშვილმაც დაადასტურა ინტერვიუში, როცა თქვა: „ყველას შევთავაზებთ თანამშრომლობას — სახელისუფლებო პარტიასაც და ოპოზიციასაცო“.

ჩემი აზრით, მომავალი პარტიის იმიჯსა და პიარს ამერიკული პიარმენეჯერები ვერ განსაზღვრავენ, რომელიც, როგორც გულუა აცხადებს, თურმე საქმიანობის სწორად წარმართვისთვის პარტიას გვერდით დაუდგებიან.

მინდია გულუა ახალგაზრდა კაცია. დარწმუნებული ვარ, ის თავისი მშობლიური კუთხის პატრიოტია, მაგრამ არ ვიცი, რატომ ანდობს თავის ბედ-იღბალს პოლიტიკას, რომელიც საქართველოში ბარბაროსულია? პატრიოტიზმი არ ნიშნავს ბრმა თავგანწირვას და სხვათა შორის, არც საქართველოს ფარგლებს გარეთ — კიევსა და სტამბულში შეხვედრები არის იმისთვის აუცილებელი, ვინმეს ფული გადაურიცხო...

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ანუ იმ ქვეყანაში, სადაც პარტია უნდა დაფუძნდეს, არავინ იცის, რას საქმიანობს, რა ტიპის ბიზნესი აქვს მინდია გულუას. შეკითხვები, რომლებიც სავარაუდოდ, ქართველ ხალხს შეიძლებოდა გასჩენოდა მინდია გულუას მისამართით, ასე ჩამოვაყალიბე და თუ ხალხთან საუბარი სურს, ალბათ, ამ კითხვებს უპასუხებს:

*— რამდენადაც ვიცით, თქვენ იცნობთ რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს — მიხეილ ხუბუტიას, ალექსანდრე ებრალიძეს... თქვენ ბრძანეთ, რომ, როცა მივხვდი, რომ ისინი ქვეყნისთვის არ იბრძოდნენ, მე მათ ჩამოვშორდიო. რა ინფორმაციებს ფლობდით მანამდე მათზე პოლიტიკური თვალსაზრისით და რა აღმოჩნდა. რის გამო გაემიჯნეთ მათ?*

*— როგორც წესი, საქართველოში ებრძვიან და მტრად მიიჩნევენ ნებისმიერ ოპოზიციურ ძალას, რომელიც არაა კავშირში ხელისუფლებასთან. თქვენ ამბობთ, რომ რუსეთიდან ფულს პარტიისთვის ვერ გადმორიცხავთ, აშშ-იდან გამოვაგზავნე და ორი კვირა გაგვიყინესო. თქვენ მრავალმნიშვნელოვნად ამბობთ, რომ ამ საკითხებს მოაგვარებთ. როგორ, რანაირად მოახერხებთ ამას?*

*— თქვენ აეროპორტში დაგაკავეს, გზღუდავენ... პოლიტიკურ აქტივობას რომ თქვენს სახელთან დააკავშირებენ, როგორ ფიქრობთ, ჩამოგიშვებენ საერთოდ, ოდესმე, საქართველოში?*

*— ამბობთ, რომ სანამ არეშიძე აფხაზეთის დამოუკიდებლობის თემას გააჟღერებდა, მანამდე იცოდით, რომ ლაპარაკი დაიწყებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე. საიდან იცოდით ამის შესახებ სანამ არეშიძე რაიმეს იტყოდა?*

*— თქვენ ამბობთ, რომ იყიდით თბილისის წყალს, იყიდით „ბორჯომს“ და ა.შ. თქვენ საქართველოში გაშლით ბიზნესს, ეს რამდენადმე კავშირშია პოლიტიკასთან, მაგრამ ბიზნესი სხვაა, პოლიტიკა — სხვა.*

*— თუ იცით, რომ მსხვილ მედიაჯგუფებს ნაციონალები „კრიშავენ“ და ამბობთ, მედიას და ტელეკომპანიებს ხელში ჩავიგდებო, რას გულისხმობთ?*

*— თქვენ ამბობთ, რომ სულ 7 ბეჭდური გამოცემა იქნება თქვენი მეთვალყურეობის ქვეშ, ვინ იქნებიან და რა ნიშნით აირჩიეთ ისინი? თქვენ თქვით, რომ კონტრაქტები გაქვთ გაზეთებთან, დაგვისახელეთ ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც თქვენზე იმუშავებენ!*

*— თუკი ხელისუფლების მიმართ ხართ განწყობილი ლიბერალურად და მიგაჩნიათ, რომ მათთან თანამშრომლობა შესაძლებელია, მაშინ რას ერჩით ბურჯანაძეს და სხვა პარტიებს აგვიხსენით ეს.*

*— როცა ამბობთ, რომ საქართველოს წყალი ღირს ამდენი და ამდენი. მიწა — ამდენი, მთა — ამდენი, ტყე — ამდენი, ვაშლი, მსხალი, ტყემალი — ამდენი. მერე ამატებთ, რომ ყველაფერს ყიდულობს და ყიდის ამერიკა და პიარმენებად მაინც ამერიკელებს ირჩევთ, რა ვიფიქროთ?*



* * *

— მე მართალი თვალები მაქვს, შეგიძლიათ მენდოთ,— თქვა მინდია გულუამ. მას მართლაც აქვს მართალი თვალები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის საქართველოს ამოსაყვანად იმ ღრმა უფსკრულიდან, რომელშიც დღეს არის და სამწუხაროდ, სიღატაკეში და ღრმა პროვინციალურ სიდუხჭირეში ატარებს 21-ე საუკუნის ათწლეულს.

სტამბული კი იმაზე ღაღადებს, რომ ერთ დროს ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერია ახლაც კაშკაშაა და ბრწყინვალე და დიდებული აიასოფიას ნაშთები კვლავ ისეთი წარმტაცია, როგორც, ალბათ, საუკუნეების წინ.

ბოსფორის და დარდანელის სრუტის შერეული ნიავი თურქული ხასიათივით ხისტი, შემტევი და პირდაპირია, ისეთი, როგორიც ალტერნატიულ ქართულ ძალას სჭირდება დღეს... არის ეს ალტერნატივა მინდია გულუა და მისი ჯერ კიდევ უსახელო პარტია? არ ვიცი... მაგრამ, მსურს, რომ ასე იყოს...

* * *

დასასრულს, არ შემიძლია არ აღვნიშნო — მინდია გულუა, სრულიად ახალგაზრდა, იარაღით ხელში იბრძოდა სამშობლოს დასაცავად...

ისინი, ომგამოვლილები, რაღაცით განსხვავდებიან ჩვენგან, ანუ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც სამშობლოსთვის თავგანწირვა და სამშობლოსთვის ომი ბრძოლის ველზე არ გადაგვიხდია და, ამდენად, მთლად ზუსტად არ ვიცით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი...

— ჩვენ ეს ომი არ წაგვიგია, ჩვენ ეს ომი წაგვაგებინეს! — თქვა მინდია გულუა.

ომგამოვლილებისთვის ომი არ მთავრდება და, როგორც ჩანს, არ დამთავრებულა იგი მინდია გულუასთვისაც.

ის, რის გაკეთებასაც ახლა იგი აპირებს, ამ ომის გაგრძელებაა დაკარგული სამშობლოს დასაბრუნებლად, ომში გასამარჯვებლად მინდია გულუას დღეს ყველაზე მეტად დითირამბები და იაფფასიანი ხოტბა-დიდება კი არა, ზუსტი ინფორმაცია და გულწრფელი, პირუთვნელი, მართალი სიტყვა სჭირდება.

მე ნამდვილად არ მინდა, რომ მინდია გულუა ამ ომში დამარცხდეს.

ამიტომაც არის ეს ჩემი წერილი პირდაპირი და ცოტათი მკაცრი...

**ირანდა კალანდაძე**
**სტამბული-თბილისი**

# Cveni drois Tavsafriani dedakacebi

— მოდი, ბაბო, რა გაინტერესებს, ყველაფერს გეტყვი ჩემი ცხოვრების შესახებ. კახეთში, წნორში დავიბადე და გავიზარდე. სულ ბიჭებში ვთამაშობდი, „ყაჩაღ მაყვალას“ მეძახდნენ. ააბა, გავიქცეთ ყაჩაღი მაყვალა მოდისო — ისმოდა. მართლაც ძალიან ყოჩაღი ვიყავი ბავშვობიდან, მარამა, რად გინდა. შენ გეტყვი ჩემ ამბებს. პირველი ქმარი ქართველი კაცი მყავდა. საშინელი ვინმე იყო, მოძალადე, ლოთი, მცემდა, მაწვალებდა, ბოლოს ციხეში მოხვდა და იქ მოკლეს. ერთი შვილი — ბიჭი დამრჩა მისგან. იმდენად მძულდა, იმდენი სიმწარე მახსოვს, შვილი ჩემს გვარზე დავწერე და სამუდამოდ ამოვშალე მეხსიერებიდან. ისეთი უვარგისი იყო, ვერავისთან პოულობდა სიკეთეს, ცხოვრებამ იმას საკადრისი მიუზღო, მე კი ახალი განსაცდელი მომიმზადა უფალმა. ერთმა სომხის კაცმა მომიტაცა, რაღა მექნა, ბედს შევეგუე და მის ცოლობას დავთანხმდი. საცხოვრებლად ლენინაკანში გადავედით მის მშობლებთან, ჩემმა ქმარმა ბავშვი თავისად გაასაღა ოჯახთან და ნათესავებთან. იქაც ბევრი გასაჭირი გადავიტანე, ნაქირავებ ბინაში ვიყავით. არც ეს ქმარი გამოდგა ნორმალური კაცი, ვერ გავძელი უცხო ქვეყანაში, აქ დავბრუნდი ქმართან ერთად. დავსახლდით მამაჩემთან. აქაც გააგრძელა თავისი საშინელი საქციელით ცხოვრება. მცემდა, მჭრიდა, მკლავდა, აკვანს გადამიგდებდა, ბალიშებს დამიჭრიდა, ჭურჭელს ამტვრევდა, ავჭალაში წინ და უკან მარბენინებდა, მოკლედ, ვერ შევეწყვეთ ვერანაირად ერთმანეთს, ჩემი მეორე ცოლქმრობა იმით დამთავრდა, რომ სომეხი წავიდა ჩემი ცხოვრებიდან, დედამთილმა ის მეორე ბიჭი, სომეხთან რომ შემეძინა, წამართვა და წაიყვანა ლენინაკანში. მმის შესახებ არაფერი ვიცი და არც მაინტერესებს. რა ვქნა, ასე დამიწერა უფალმა, ასეთ ყოჩაღ ქალს ასეთი უვარგისი ქმრები მყავდა. უფროსმა ვაჟმა ცოლად მთიული გოგო შეირთო. ერთი უსწავლელი ქალია, 15 წლისა იყო, რომ მომიყვანა. პირველი მშობიარობის მერე ფსიქიური პრობლემა ჰქონდა, ვუმკურნალე და გამოკეთდა. ხუთი შვილი გააჩინა, მიხაროდა — ბევრი შვილიშვილები მეყოლება-მეთქი. რძალი უცნაურად იქცეოდა, ქმარს არ უვლიდა, რა ვიცი, ალბათ, არ უყვარდა, იმანაც მიმიტოვა ცოლ-შვილი და ვიღაც ასაკიან ქალთან ერთად ცხოვრობს სადღაც უკვე თორმეტი წელია. დავრჩი მარტო ერთ ოთახში ხუთ შვილიშვილთან და ავადმყოფ რძალთან ერთად. უფროსი შვილიშვილი გიორგი ჯარში მსახურობდა კახეთის საზღვარზე, ყველას უყვარდა, მაღალი, ლამაზი ბიჭი, ავჭალელ გიორგიდ იცნობდნენ. დღესაც არ ვიცი, რა მოხდა — დამეღუპა ჩემი გიორგი, შავებიც ამიტომ მაცვია. ყოჩაღი ვარ და გავუძელი, დანარჩენებს ხომ უნდოდა პატრონობა. რძალს შვილის სიკვდილის გამო ისევ ფსიქიური აშლილობა დაემართა. ვუმკურნალე, საავადმყოფოში არ წავიყვანე, ვინ იცის, იქ რას დამართებდნენ, შემეცოდა. ახლაც ხანდახან ძალზე აგრესიულია, მაგრამ ვითმენ, ხელი რომ ვკრა, ღმერთს რა პასუხი გავცე?! მერე მეორე შვილიშვილს შეემთხვა უბედურება. ამხანაგებთან ერთად შარში გაეხვია მობილური ტელეფონის გამო. დაიჭირეს და ექვსი თვე ციხეში იჯდა, საპროცესო გარიგებაში 2500 ლარი გადავიხადე. ძალიან გავმწარდი, ბინის გაყიდვას ვაპირებდი, სულ ქუჩაში ვიყავი, ლატარიას ვთამაშობდი, პენსიას ვაგროვებდი, როგორღაც მოვაქუჩე ეს ფული და ჩემი ბიჭი სახლში დავაბრუნე, ასე რომ, ბინის გაყიდვა აღარ დამჭირდა. ჩემი თორნიკე 18 წლის არის, სკოლაში აღარ დააბრუნეს, ჯარში არ წაიყვანეს, რადგან ნასამართლევია. გააუბედურეს სულ — ჯერ იმ ამხანაგებმა, მერე — ციხემ. ახლა რაღაცას ცდილობს, მიწას თხრის, ორი კაპიკი რომ იშოვოს, სადღაც რკინებს აგროვებს ჯართისთვის. ვეუბნები, მოგეხმარები და მანქანების ხელოსნობას შეგასწავლი - თქო. მეც ფულს მოვაქუჩებ და ერთ ოთახს ვიყიდით, ხომ იცი, დათო ბრაზიანია და ერთ ოთახში ორი ცოლშვილი როგორ იცხოვრებს —თქო. ჩემს დათოს ხატვის ნიჭი აქვს. აი, იქ პიონერთა სასახლეში დამყავს, ახლაც ჩარჩოები უნდა ვუყიდო თავისი ნახატებისთვის. ისეთი ნიჭიერია, კონკურსში გაიმარჯვა, ოქროს მედალი აიღო. აბა, ასეთ ბავშვს ხელი როგორ არ შევუწყო. ანა, კი, მე მგავს, ჩემსავით ლამაზი და ყოჩაღია. მუსიკას ვასწავლი, ახლა იამაჰაზე უნდა გადავიყვანო. ვუთხარი: - ბებო, პიანინოს ვერსად დადგამ, იამაჰას კი სადმე ქუჩაში ან გადასასვლელში, შენს თავსაც შეინახავ და ოჯახსაც, რომ დაგჭირდეს - მეთქი, ოღონდ პატიოსნად იცხოვრე, ჩემგან სამახსოვროდ ეს საქმე გექნება, სხვას რასაც მოახერხებ, შენ იცი - თქო. უფროსი გოგონა გათხოვილია, თავის თავს პატრონობს. ასეა ჩემი შვილიშვილების საქმე. ახლა რომ გელაპარაკები, უკვე დაღლილი ვარ, ამ დილით საჭმელი გავუკეთე ბიჭებს, გოგო სოფელში გავუშვი. დიდხანს არ მაძლევდნენ სოციალურ დახმარებას, მაგრამ, მადლობა ღმერთს მამცეს. ბავშვებს თვეში 25-25 ლარი ეძლევა, რძალს 30 ლარი, მე პენსიაც მაქვს. სადაცაა 80 წლის გავხდები, ახლაც ყოჩაღი ვარ. მადლობა უფალს, რომ ასე ჯანმრთელად ვარ. აქ რომ დავდექი ეს, იცი, რამდენს ნიშნავს?! ძალიან გამიჭირდა, ქალებმა დამაყენეს, წამაქეზეს, მერე თანდათან შევეჩვიე. სარაჯიშვილის მეტროდან პოლიცია ერეკებოდა ჩემნაირებს, ერთმა მითხრა, ახმეტელზე წადი, იქ უფრო მეტ ფულს იშოვიო. და ვდგავარ ახლა აქ. ისეთი შვილიშვილები მყავს, უნდა უყურო და უყურო — როგორ ვუღალატებ. მეუბნებიან: შენ რომ მოკვდები, ბებო, რაღა გვეშველებაო. მოვკვდები, აბა, ცას ხომ არ გამოვეკერები, მაგრამ მანამდე გზაზე უნდა დავაყენო ბავშვები, ჩემი შვილის იმედი არ მაქვს, რა ნახა იმ ბებერ ქალში, არ ვიცი. ააი, ეს არის ჩემი ცხოვრება.



**ნათია გოგიტიძე**



# mTavrobam da sapatriarqom erTоblivad SeimuSaves gegma raTa meufe iobi daepatimrebinaT, radganac is aris patriarqobis erTaderTi kandidati

*ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.*

**— მამაო ბასილ, თქვენი ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, ყურადღების ცენტრში მოექცა. ხალხი გვირეკავდა და კმაყოფილებას გამოთქვამდა თქვენდამი, ეტყობა, მხარდამჭერები საკმაოდ გყავთ, როგორ მოიპოვეთ ესეთი ნდობა?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

მინდა გამცნოთ, რომ არსებულ უკიდურესად გაჭირვების ჟამს საზოგადოებას სიმართლის მოსმენა სწყურია, რადგან დღესდღეობით ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელნი არიან. უმეტესობა კი შეეკრა ანტიქრისტიანულ, ბნელი ძალების წარმომადგენლებს, შეგნებულად გვისპობენ სარწმუნოებას, ასხვისებენ ძირძველ ტერიტორიებს. ასეთები საპატრიარქოს წიაღშიც საკმაოდ არიან, ხელისუფლების წარმომადგენლებში კი უთვალავნი, რომლებიც რბილ, ცოდვილ სავარძლებში მოკალათებულან და ნებივრობენ.

როგორ მოვიპოვე ხალხის პატივისცემა? ამას ჩემი ნამოღვაწარი წლები ადასტურებენ, რომელიც უფლის სამსახურს მივუძღვენი. ფაქტი სახეზეა, რომ ჩვენი ეკლესია ხალხს უანგაროდ ემსახურება, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. მე არ მეშინია ანტიქრისტეს მოციქულების, ყოველთვის მკაცრად ვამხელდი მათ და დაუნდობელი ბრძოლა მქონდა გამოცხადებული ქრისტეს მოძულეებთან. ამას ხედავს ხალხი და იმიტომაც მყავს მრავალრიცხოვანი მრევლი.

**— მამაო, თქვენ გლდანში ტაძარი ააშენეთ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს.**

— 70 წლის განმავლობაში თბილისში არც ერთი ეკლესია არ აშენებულა. ეს იყო პირველი ეკლესია კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. ეკლესიას უშუალოდ მე ვაშენებდი. მეხმარებოდნენ დეკანოზი მამა ელიზბარი და მაშინდელი ალმასკომის თავმჯდომარე ელდარ გოდერძიშვილი. ეკლესიის მშენებლობა დავიწყეთ 1990 წელს და დავამთავრეთ 1991 წელს.

**— ზვიად გამსახურდია დაესწრო ეკლესიის გახსნას?**

— არა, არ დასწრებია. როცა წირვა დაიწყო, ჩემთან მოვიდნენ ზვიად გამსახურდიას დაცვის წარმომადგენლები და მკითხეს მამათმავალი ეპისკოპოსი იოანე ანანიაშვილი პატრიარქს ხომ არ ახლდა. მე, ღვთის მსახურს, ტყუილი არ მეკადრებოდა და დავუდასტურე, რომ პატრიარქთან ერთად იყო. მათ განაცხადეს, რომ პრეზიდენტი აქ არ მოვიდოდა. ასე რომ, 1991 წელს გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიის გახსნას ზვიად გამსახურდია იმიტომ არ დაესწრო, რომ ილია II წირვაზე მამათმავალი ეპისკოპოსი მოიყვანა.

**— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ეპისკოპოსი იოანე ანანიაშვილი მამათმავლობისთვის განკვეთილი იყო და სასჯელს იხდიდა. რა უნდოდა მას ილია II-ის გვერდით?**

— ფაქტებს ვერ გავექცევით. სიმართლე გითხრათ, ვერ აგიხსნით, რა უნდოდა მას პატრიარქის გვერდით. ის სიონში წირვა-ლოცვებსაც ესწრებოდა. ალბათ, უნდოდათ ხარისხში აეყვანათ.

**— შემდეგ რა მოხდა. აღადგინეს ეპისკოპოსის ხარისხში?**

— არა, ამას დიდი აურზაური მოჰყვა ეროვნული მთავრობისგან. ხალხიც გაოგნებული იყო იმ ფაქტის გამო.

პატრიარქმა თავიდან მოიცილა ის და მერე გარდაიცვალა.

**— მამაო, ერთ მოძღვარს შევეკითხე: რას ერჩის ეკლესია მამა ბასილს-მეთქი. მან მიპასუხა: მამა ბასილი სულიწმიდის გმობაშიაო.**

— იცით, რას გეტყვით, ეკლესიებში თბილად მოკალათებულ მღვდლებს თავიანთი ეპისკოპოსებისგან აქვთ კურთხევა, რომ სისტემატიურად მლანძღონ, მიწოდონ სულიწმიდის მგმობელი, ხან სექტანტი, ხან განკვეთილი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ გადაიბირონ ჩემი მრევლი და ავტორიტეტი შემილახონ.

მაპატიოს უფალმან, მისი სახელის ხსენების ღირსნიც არა ვართ, მაგრამ რას ერჩოდნენ უფალს? ის ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად არ მოევლინა კაცობრიობას? ღმერთმა შეგვქმნა მსგავსად თავისა თვისისა, მოგვცა მცნებები სამოქმედოდ ჩვენი მიწიერი ცხოვრების გამოსაცდელ პერიოდში, უფლის მეორედ მობრძანებამდე.

მე, როგორც ღვთის მსახურს, 7 მსოფლიო საეკლესიო კრებების წმიდა მამათა გადაწყვეტილების მიღმა არ მიმოქმედია, ეს არის სულიწმიდის გმობა? განვუდექი უმსგავსობას და ავირჩიე ქრისტეს ეკლიანი გზა. დღე და ღამე ერის კეთილდღეობისთვის და სარწმუნოებისთვის ვიღწვით. ეს არის სული წმიდის გმობა? მივმართავ იმ უმეცარ პიროვნებას, თუ ღვთის მსახური ჰქვია, ვეცდები ავუხსნა — ჩვენ არავის ვაწუხებთ, ვართ ჩუენთვის ღვთივბოძებულ ტაძარში, ვშრომობთ და ვლოცულობთ ჩვენი ერისთვის. ნუ გვიწვევთ, თორემ იძულებულნი ვიქნებით მოგაგოთ პასუხი.

სულიწმიდის გმობა არ არის, რაც 80-იანი წლებიდან ტრიალებს საპატრიარქოში? სულიწმიდის გმობა არ არის, საეკლესიო რიტუალების შესრულებაში გასამრჯელოზე წინასწარ რომ უთანხმდებით? დაფიქრებულხართ, აქვს კი ზოგიერთს ამის შესაძლებლობა? ფულის მოხვეჭის ჟინით არიან აღტყინებულნი? ეკლესიური კანონების დარღვევა არ არის სულიწმიდის გმობა. უფლის შემწეობით და ყოვლადწმიდა დედის მეოხებით ვერანაირ მწიკვლს ვერ გვიპოვიან, ვინაიდან ეკლესიურად ყველა რიტუალს ვასრულებთ იმ ტიპიკონით, რომელიც დაგვიტოვეს იოანე ოქროპირმა და ბასილი დიდმა. ხმამაღლა ვაცხადებ ქართველი ერის წინაშე: მე დედა ეკლესიისთვის არასოდეს მიღალატნია. დედა ეკლესიაში არის მცნებები, რომელიც უფალმა და მისმა მოციქულებმა დაგვიტოვეს. დღევანდელმა სამღვდელოებამ ფეხქვეშ გათელა ყველა საეკლესიო კანონი, მოერგნენ დღევანდელ ხელისუფლებას. ვურჩევთ მათ, შეწყვიტონ ჩვენი განქიქება. უმჯობესია, მიხედონ იეღოველებს და სხვა კრიმინალურ სექტებს. დროა, თვალი გაუსწორონ საკუთარ „მეს“, გაიარონ ყოველივე და იქნებ მიხვდნენ და შეინანონ.

**— თქვენს მიმართ სასულიერო პირთაგან მუქარები ხომ არ ყოფილა ან დღევანდელი ხელისუფლებისაგან? არ გეშინიათ, რადგან არ ერიდებით მათ მხილებას?**

— მე მოძღვარი ვარ და როცა ვხედავ, რომ ხელიდან გვეცლდება ყოველივე, უფლება არა მაქვს პირში წყალი ჩავიგუბო და არხეინად ვუყურო, როგორ იღუპება ერი, რამეთუ ერისა და სარწმუნოების ბედი უპირველესია. რაც შეეხება ჩვენს მიმართ მუქარას, ყოველთვის იყო და დღესაც გრძელდება. მათი მოთხოვნაა, თუ ეკლესიას არ დავტოვებ, ფიზიკურად გამანადგურებენ. ერთი ამათგანი ჩვენი ყოფილი მღვდელია არჩილ ავანაშილი, რომელმაც ციხეში მიმატოვა და მრევლი უპატრონოდ დატოვა. მაგრამ უფალმა ჩვენს ეკლესიას ტვერელის ეკლესიაში მოღვაწე მამა ვახტანგი (მარგიანი) მოუვლინა. არჩილმა კი ციხეში ჩემი ყოფნის დროს წაიყვანა მრევლის 10-მდე წარმომადგენელი და ახლა მათ ჰპირდება: აუცილებლად დავბრუნდები ამ ეკლესიაშიო. მას თავისი შვილის იმედი აქვს, რომელიც ამჟერად სააკაშვილის სპეცნაზში მუშაობს. მოსალოდნელია, მათ რაიმე მზაკვრული ჩანაფიქრი განახორციელონ.



**— მამაო, რატომ არ მოჰყვა სინოდის გადაწყვეტილებას გამოხმაურება?**

— პირიქით, სინოდის სამარცხვინო გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პრესაში თითქმის ყოველდღიურად იწერება იმათი წერილები, ვისაც გონება უჭრის და გული შესტკივა ამ ამბავზე. საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა მწვავედ აისახება ყოველივე მომავალი თაობის ცხოვრებაში. სარეველა ბალახი, რომელიც აშთობს კეთილ ნაყოფს, თავშივე უნდა ამოიძირკვოს, თუ გაიდგამს ფესვებს, ველარაფერი უშველის. აი, ამიტომ ვიყავი მე კატეგორიული საეკლესიო კრებებზე. ვგრძნობდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა საპატრიარქოს ინერტულობას. იოანე ოქროპირი ბრძანებს: მღვდელს ბალიშზე არ უნდა ედოს თავიო. დღეს სამღვდელოებამ ფართო ბალიშზე დადო თავი და არხეინად შეჰყურებენ ერის გადაგვარებას, მხოლოდ პირადი ამბიციებით შემოიფარგლებიან და შედეგი უმძიმესი დადგა.

**— რას გვეტყვით იმასთან დაკავშირებით, როდესაც პატრიარქი ნათლობის დროს თვით არის ნათლია, ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა.**

— ეს არის უმძიმესი და უდიდესი ცოდვა.

ადამიანი, როცა ინათლება, ეს არის მისი მეორედ შობა, ნათლია არის სულიერი მშობელი თავისი ნათლულის. ამ შემთხვევაში პატრიარქის მონათლულებმა შეიძლება ერთმანეთზე ჯვარი დაიწერონ. გამოდის, რომ დამ იწერს ჯვარს, რაც მიუღებელია მართლმადიდებელი ქრისტიანთათვის. ნათლიის მოვალეობაა, აღზარდოს თავისი ნათლული და ყოველთვის გვერდით ედგას განსაცდელის ჟამს. პატრიარქი ძალიან მოხუცია და ის ნამდვილად ვერ შეძლებს ყურადღების მიქცევას, მას ნორმალურად პირჯვრის გადასახვაც არ შეუძლია. არადა, პატრიარქმა ერს ჯვრისებურად უნდა გამოსახოს, რომ მათზე ღვთის მადლი გადავიდეს, დღეს კი ეს არ ხდება.

**— გახსოვთ, ყინწვისის მონასტერში როგორ დააპატიმრეს ბურჯანაძის 30-მდე მომხრე. რა მოხდა სინამდვილეში?**

— ეს ცოტა დიდი ისტორიაა, მაგრამ მე მოკლედ მოგახსენებთ. ზუსტი ინფორმაციით, მთავრობამ და საპატრიარქომ ერთდროულად შეიმუშავეს მზაკვრული გეგმა, რათა მეუფე იობი (აქიაშვილი) დაეპატიმრებინათ, როგორც მეამბოხეების დამცველი, რადგანაც ის არის ერთადერთი კანდიდატი პატრიარქად ყოფნისა. იმ 30 კაცში 5 პიროვნება იყო ვანო მერაბიშვილის მიერ შეგზავნილი. იმ 5 კაცმა ურჩია თავი შეეფარებინათ ყინწვისის მონასტრისთვის, რომელიც მეუფე იობის ეპარქიაში შედიოდა. ის 25 კაცი მოტყუებული აღმოჩნდა და საპყრობილეში გამოამწყვდიეს. ის 5 შეგზავნილი პიროვნება გათავისუფლეს.

**— რატომ არ დააპატიმრეს მეუფე იობი?**

— მეუფე იობი ღვთისნიერი, მადლმოსილი, ჭკვიანი პიროვნებაა. მე ვფქრობ, ღვთის განგებით, მას ეუწყა ეს მზაკვრული გეგმა და დაგმო მეამბოხეების თავშესაფრის მიზნით იქ ყოფნა და ამით ის ჯერჯერობით გადარჩა, თუ კიდევ რაიმე არ მოუწყვეს...

**— სანამ გაგრძელდება ეს განხეთქილება და არეულობა?**

— მსოფლიო მე-VII საეკლესიო კრების მე-6 კანონი მოგვითხრობს: „ყოველივე თავის არიდებისა და გართულების გარეშე წელიწადში ერთხელ შედგეს ადგილობრივი კრება და არსებული შეცდომები გასწორდეს... ვინც ამას აკრძალავს, ზიარებიდან განყენებულ იქნეს“.

საქართველოს ეკლესიაში არეულობამ და განხეთქილებამ პიკს მიაღწია. უფალმა 99 ცხვარი მიატოვა და ერთს, განბნეულს დაუწყო ძებნა. მე ვეკითხები საპატრიარქოს მესვეურთ. ამდენი განდგომილნი და დაფანტულნი რომ გყავთ, მოგიწვევიათ კრება და ოდესმე გიცდიათ შეკრება, რათა ერთ ძალად გექციათ? განდგომილნი სწორედ ისინი არიან, ვინც წმიდად ემსახურება უფალს და სულიერ ძალას წარმოადგენს დედა ეკლესიისთვის. გიფიქრიათ, რომ მემატიანე ყოველივეს აღწერს და თქვენი „ნამუშაკევი“ სამარცხვინო სტრიქონებით შევა ქართული ეკლესიის ისტორიაში?

არეულობა და განხეთქილება მაშინ იყო საქართველოს ეკლესიაში, როცა თვით ეპისკოპოსები ამხელდნენ საპატრიარქოს წიაღში ჩაბუდებულ სოდომისეულ ცოდვას და გამოსწორებას მოითხოვდნენ. მერე მათი გამოსწორება კი არა, დაწინაურება ხდებოდა. ფაქტებს ველარსად გავექცევით. ღვთისმგმობ ხელისუფალს სწორედ დაშლილი, დანაწევრებული ეკლესია აწყობს შავბნელი საქმეების აღსასრულებლად. ამათ წისქვილზე წყალს ასხამს არაფრის მაქნისი „ოპოზიციური“ პარტიები, რომლებიც მხოლოდ ლიტონი სიტყვების კორიანტელით შემოიფარგლებიან.

არეულობა და განხეთქილება იქნება მანამ, სანამ არ შედგება რუისურბნისის მსგავსი კრება და არ გასწორდება შოკისმომგვრელი შეცდომები. ამას სჯულის კანონი ავალებს საქართველოს ეკლესიას.

არ იფიქრონ, მტრობა მამოძრავებდეს მათ მიმართ, პირიქით, მებრალებიან. არ ყოფნით ნებისყოფა, ამცნონ ერს დღევანდელი კრიტიკულად დაძაბული მდგომარეობა. ხალხი მონურ მორჩილებაში ჰყავთ. მრევლი უამრავ კითხვას სვამს და ერთს არ პასუხობენ კონკრეტულად. რა უნდა ველაპარაკო იმ ეპისკოპოსს, რომელიც აცხადებს რელიგიის კანონზე: ახლა საშიში არაფერია, მაგრამ მომავალში ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებსო.

**— ვერაფრით დაგვამშვიდებთ, მამაო?**

— ცოდვა გამხელილი სჯობს, დასამშვიდებელი ნამდვილად არაფერი გვაქვს. ჩვენი სამშობლო ოდითგანვე შეჭირვებული იყო, მაგრამ როგორც ახლა არის, ისე არასდროს ყოფილა. იმიტომ რომ, ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოებულ არს, ამას ადასტურებს მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე კატაკლიზმები. მალე დადგება დრო, როცა დაგვიდებენ პურს და ჯვარს და არჩევანის წინაშე დაგვაყენებენ. ვართ ჩვენ სულიერად ამისთვის მზად?

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rogor SeiZleba afxazebi endon saqarTvelos im xelisuflebas, romelic rasistul gancxadebebs akeTebs?

*26 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების სამი წლის თავზე აფხაზეთში რიგით მესამე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ააფხაზეთის პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა სამი კანდიდატი: აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი; პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. ჩვენ საუბარი გვქონდა კონფლიქტოლოგ* ***პაატა ზაქარეიშვილთან***.



**— ბატონო პაატა, როგორ შეაფასებთ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს?**

— ასე ვიტყვი: ყოჩაღ, აფხაზებს, მათ სწორი არჩევანი გააკეთეს, როდესაც ანქვაბი აირჩიეს პრეზიდენტად. ანქვაბი ცნობილია რუსეთისადმი პრინციპული დამოკიდებულებით. იგი კატეგორიულად ებრძოდა ხაჯიმბას კანდიდატურას, როცა რუსეთს უნდოდა მისი დასმა პრეზიდენტად. მას ჰქონდა ფული, ბიზნესი და ხაჯინბასა და არძინბას წინააღმდეგ შექმნა პოლიტიკური ძალა, რომელიც მიმართა რუსეთის მიერ ხელდასხმული და წაქეზებული არძინბას კლანის დასამარცხებლად, შესაბამისად, არძინბას ავადმყოფობის მერე, მისი შემცვლელის — ხაჯიმბას წინააღმდეგ. მეორე — ანქვაბი ნაციონალისტური სულის ადამიანია. აფხაზებს საკუთარი თავის გარდა ყველასი ეშინიათ — რუსების, ქართველების, სომხების და ცდილობენ ისეთი პოლიტიკური სისტემა შექმნან, სადაც აფხაზი ელიტა იქნება გამოკვეთილი, კერძოდ, ეთნოცენტრიზმზე დაყრდნობილი ეთნოცენტრისტული დემოკრატია. მესამე — ანქვაბი ცნობილია არა თავისი დემოკრატიულობით, არამედ ავტორიტარიზმით. რკინის ხელით, მკაცრი პოზიციებით აპირებს მოსპოს კორუფცია და კრიმინალი აფხაზეთში. ბაღაფში ცნობილი იყო, როგორც დამბალანსებელი ადამიანი, ყველასთან პოულობდა საერთოს, მათ შორის კრიმინალთან და კორუფციასთან. ანქვაბზე ხუთჯერ მოაწყვეს ტერაქტი, მას ებრძვიან, ეს მასაში სიმპათიებს იწვევს, დადებით იმიჯს უქმნის და გმირის საბურვალში ახვევს.



**— თენგიზ კიტოვანის განცხადებამაც, თითქოს ანქვაბი 1992-93 წლებში ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, ხელი შეუწყო ანქვაბის პოპულარობას..**

— დიახ, მან დადებითად იმოქმედა მის კანდიდატურაზე. გაჩნდა კითხვა: აქამდე სად იყვნენ? მაშინ, როცა ანქვაბი იყო პრემიერ-მინისტრი; შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი?! აშკარად თეთრი ძაფით იყო ნაკერი ბრალდება და რუსების ხელი ერია ნამოქმედარში. აქ ორი მომენტია საინტერესო — რუსებმა ძალზე უსუსური კანდიდატურა შეარჩიეს, როგორც ჩანს, მეტი არავინ ჰყავთ. იმდენად გამძაფრებულია ანტირუსული განწყობა, რომ ეს განცხადება შამბას საწინააღმდეგოდ რომ გაკეთებულიყო, იმის წისქვილზე დაასხამდა წყალს.

**— საარჩევნო კამპანიის დროს ანქვაბმა განაცხადა, რომ საქართველოსთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყებს მოლაპარაკებებს.**

— თამამი და საინტერესო განცხადებაა.

**— რა წინაპირობები აქვს საქართველოს აფხაზეთთან მიმართებაში?**

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, დევნილთა უპირობო დაბრუნება. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, ეს რეალობაა და უცებ ანქვაბი გვთავაზობს: მოდით, ვილაპარაკოთ ნებისმიერი პოზიციიდან. წინაპირობის გარეშე ლაპარაკი პოლიტიკაში ნიშნავს ვილაპარაკოთ იმაზე, რაც მისაღებია, რაც მიუღებელია, გვერდზე გადავდოთ.

**— რაზე უნდა ილაპარაკონ საქართველომ და აფხაზეთმა?**

— იმაზე, რაც წლების განმავლობაში ვერ მოგვარდა: ეკონომიკაზე, საზღვრების გახსნაზე, ადამიანების გადაადგილებაზე. ბევრი საერთო პრობლემა გვაქვს. მაგალითად, მიმაჩნია, რომ საქართველომ თავის შიდა დოკუმენტებად უნდა აღიაროს აფხაზური პასპორტები; აფხაზებს უნდა მიეცეს გადაადგილების, ჯანდაცვის, პენსიის, განათლების მიღების საშუალება; საჭიროა აფხაზეთიდან მოძრავი მანქანების ნომრების იდენტიფიკაცია ქართულ ნომრებთან. აფხაზეთიდან გალის რაიონის გავლით შემოსული მანქანები ზუგდიდში ჩერდებიან და მერე მგზავრები სხვა ტრანსპორტით გადაადგილდებიან. უუამრავი საკითხი შეიძლება მოგვარდეს და შემდეგ ეს ყველაფერი პოლიტიკას მიებას. მე დიდ პატივს ვცემ მამუკა არეშიძეს, მაგრამ მიუღებლად მიმაჩნია მისი მოსაზრება, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ამით ჩვენ სამუდამოდ გავწირავთ აფხაზებს და ჩავაბარებთ რუსებს. ეს დამღუპველია აფხაზეთისთვის. წლების შემდეგ იქნებ ახალი შანსები გაჩნდეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, შევუნარჩუნოთ მათ ეს შანსი და ნუ მოვუჭრით გზას.

თუ ჩვენ აღიარებაზე წავალთ, გამოდის, რომ რუსეთის თამაშს ვთამაშობთ; პრაქტიკულად ვაღიარებთ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობას, არამედ რუსული პოლიტიკის სისწორეს, ესე იგი რუსეთის პროვოკაციამ, ჩვენმა ჩართვამ პროვოკაციაში ნაყოფი გამოიღო. ჩვენ გვაქვს უფრო გრძელვადიანი, მაგრამ მყარი გზა, რადგან აფხაზეთი განსხვავდება მსოფლიოს სხვა სეპარატისტული რეგიონებისაგან, სადაც ეთნოტერიტორიალური კომპონენტია ჩართული. ამ ქვეყნების მცხოვრებთა უმრავლესობა სეპარატისტებია, აფხაზეთში კი მოსახლეობის 1/3 აფხაზია. მათ არ შეუძლიათ მოახდინონ სახელმწიფოს შენების რეალიზაცია. მოსახლეობის 2/3 შეადგენს ქართველები, რუსები, სომხები, რომლებსაც არც აინტერესებთ დამოუკიდებლობის იდეა. 60-70 000 აფხაზმა როგორ უნდა შექმნას სახელმწიფო, დააკომპლექტოს პარლამენტი, სახელმწიფო ორგანოები. ეს უნდა მოხდეს სხვა ეროვნებების ხარჯზე. ქართველები ისე იქცევიან აფხაზეთში, როგორც ეროვნული ეთნიკური უმცირესობები საქართველოში. ისინი მხარს უჭერენ იმ კანდიდატურას, რომელიც აფხაზებს აწყობთ.

**— ბაღაფშის მმართველობა მისაღები იყო მათთვის?**

— ბაღაფშის დროს ქართველებს მეტნაკლები უსაფრთხოება ჰქონდათ, არც სხვებზე ნაკლებად ცხოვრობდნენ. გალის რაიონში იყო კრიმინალი, მაგრამ სხვაგან უარესი იყო. გალში არსებულ ქართული სკოლების მასწავლებლებს, მათ შორის სოხუმიდან ჩამოსულ აფხაზურის მასწავლებელსაც დღემდე საქართველოს მთავრობა უხდის ხელფასს. ასევე ექიმებსაც. გალში არის პრობლემები, მაგრამ იქაურ მოსახლეობას ურჩევნია მოაგვაროს აფხაზებთან ურთიერთობები და დარჩეს საკუთარ მიწა-წყალზე, ვიდრე თბილისში სადმე კომპაქტურად დასახლებულ შენობაში იკანკალოს გამოსახლების მოლოდინში. რაც შეეხება სომხებს და რუსებს, მართალი ხართ, ისინი პრორუსულ ძალებს აძლევენ ხმას.

კიდევ ერთი გამოწვევა: აფხაზების უკან არანაირი ეთნოსახელმწიფო არ დგას, როგორც კოსოვოს უკან დგას ალბანეთი; კვიპროსის უკან — თურქეთი; ყარაბაღის უკან — სომხეთი. აფხაზების ნაციონალიზმი სოხუმში იხარშება ქართველებთან, რუსებთან, სომხებთან ერთად. მათ ძალზე მცირე შანსი აქვთ დამოუკიდებლობისა.

**— რა გამოხმაურება ჰქონდა ანქვაბის მიერ წინასწარ გაკეთებულ ასეთ განცხადებას?**



— დასცინეს. პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ ეს კლანების ბრძოლაა; საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მოუწოდა მსოფლიოს არჩევნების დაგმობისკენ. ჩვენი პოლიტიკოსების ბეცი და ზედაპირული განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ მათ არ შეუძლიათ რეალური დიაგნოზის დასმა. ეს კლანების კი არა დემოკრატიული და ავტორიტარული სტილების დაპირისპირებაა. გეთანხმებით, რომც იყოს კლანების დაპირისპირება, მაინც არ უნდა თქვა საქვეყნოდ. როცა ასეთ სისულელეს ამბობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ხედავ და ვერც აკონტროლებ პროცესებს. ამით მინიმალურ შანსსაც ვუშვებთ ხელიდან, ამასობაში თვალსა და ხელს შუა გვეცლება აფხაზეთი.

**— სერგეი შამბა აცხადებდა „ჩვენ თავს ოკუპირებულ ტერიტორიად არ ვთვლით"..**

— ამის პასუხად გეტყვით. ერთმა მაღალჩინოსანმა, დარბაისელმა აფხაზმა განაცხადა: ადრე გვქონდა დამოუკიდებლობა და არ გვქონდა აღიარება; ახლა გვაქვს აღიარება და არ გვაქვს დამოუკიდებლობა.

**— არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რადგან იგი დევნილია საკუთარი ქვეყნიდან..**

— დიახ, ასეა, ისინი თვლიან, რომ ქართველები დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, ასე მოიცილეს თავიდან. მათ სახლებში ცხოვრობენ სხვები, მაგრამ ქონება ისევ ძველ პატრონებზეა აღნუსხული. სოჭის ოლიმპიადის მოახლოებამ უძრავ ქონებაზე ფასები ასწია. ბევრი ქართველი, ვინც ფიქრობს, რომ აღარ დაბრუნდება, ცდილობს გაყიდოს ქონება და აქ მოიხმაროს ფული. მიუხედავად იმისა, რომ იქაური ქონების მეპატრონე ისევ ქართველია, აფხაზებმა ამოფხიკეს ისინი მეხსიერებიდან.

**— მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას არანაირი სტრატეგია არ აქვს შემუშავებული აფხაზეთთან მიმართებაში?**

— არა, რა თქმა უნდა. არაკორექტურული განცხადებებით ვაოცებთ მსოფლიოს. პრეზიდენტმა საშინელი რასისტული განცხადება გააკეთა, როცა უარყოფით კონტექსტში მოიხსენია რუსები. მონღოლოიდური რასა წამყვანი რასაა მსოფლიოში, რომელსაც მიეკუთვნებიან იაპონელები, ჩინელები, ვიეტნამელები, მთელი აზია. რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მონღოლურ რასას წარმოადგენს. მონღოლოიდური და მონღოლური განსხვავდება ერთმანეთისგან. პრეზიდენტი ბუნებით რასისტია, თუმცა რასისტული ქმედებები არ განუხორციელებია. თუკი რობერტ სტურუას ათავისუფლებ შედარებით რბილი განცხადებისთვის, ასევე უნდა აგო პასუხი საკუთარი გამოსვლის გამო. ამაზე უარესი იყო სპორტისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის მინისტრის ლადო ვარძელაშვილის საქციელი, როდესაც მან ანტისემიტური განცხადება გააკეთა. კვნ-ში დასმულ შეკითხვაზე: რა სარგებლობა მოიტანა ჰიტლერმა, პასუხი იყო — უფასო გაზი ებრაელებისთვის. მინისტრმა ტაში დაუკრა და ასეთი მახვილგონივრული პასუხისთვის გუნდს მაღალი ქულა დაუწერა. ამის შემდეგ რა სიკეთეს უნდა ელოდონ ჩვენგან აფხაზები?

ბუშმა სააკაშვილის სახით რუსეთი წამოაგო ანკესზე, როცა არჩევნების წინ რუსეთის აგრესია აჩვენა ამერიკას. გაიხსენეთ მაკკეინის სიტყვები — მე დღეს ქართველი ვარ. არის ის დღეს ქართველი? მათ გამოიყენეს საქართველო. ჩვენ კი დავკარგეთ ჩვენი ღირსება, სახლის კარი გავაღეთ და სანამ არ დავკეტავთ, ასე სხვისი საჯიჯგნი ვიქნებით.

**ნათია გოგიტიძე**

# rogor `daayaCaRa~ 172-e skolis direqtorma eliso dolakiZem 12 pedagogi da sad gaqra biujetiT gaTvaliswinebuli maTi Tanxebi?

*შაშკინის მიერ განხორციელებულმა განათლების „რეფორმამ“ ბოლო პერიოდში არაერთი პედაგოგი შეუერთა უმუშევართა მრავალრიცხოვან არმიას. სკოლებში დირექტორების თავნებობა და პედაგოგთა მასიური გათავისუფლება დღემდე გრძელდება. 172-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ელისო დოლაკიძემ ექვსი თვის მანძილზე 21 მასწავლებელი გაათავისუფლა. უკანონო ქმედებით აღშფოთებული პედაგოგების ნაწილი „საერთო გაზეთის“ რედაქციას ესტუმრა და საკუთარ სატკივარზე ისაუბრა.*



**ლილი შიოშვილი, 172-ე საჯარო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი:** „ამა წლის 15 ივლისს დირექტორმა პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომა ჩაატარა, სადაც 9 პედაგოგს მადლობა გამოგვიცხადა კარგი მუშაობისთვის და მომავალი წელი წარმატებული გვისურვა. 16- ივლისიდან ხელშეკრულების საფუძველზე შვებულებაში უნდა გავსულიყავი, თუმცა 20 ივლისს მოულოდნელად გამათავისუფლა და გამომიცხადა, რომ შვებულების ფულს არ მომცემს, იგივე უთხრა ჩემთან ერთად გათავისუფლებულ 11 პედაგოგს. ელისო დოლაკიძემ უხეშად დაარღვია საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის I ნაწილის და შრომითი ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი და არ მოგვცა კუთვნილი შვებულების ფული. 21-ივლისს კოლექტიურად მივმართეთ სამეურვეო საბჭოს მდივანს ირმა კვინტრაძეს, თუმცა მეორე დღეს ჩვენი განცხადება დირექტორის მაგიდაზე აღმოჩნდა და მისივე მითითებით



საბჭომ საქმის განხილვაზე უარი განაცხადა. მიზეზად თავმჯდომარის არყოფნა დაასახელეს, არადა სამეურვეო საბჭოს შესახებ 38-ე მუხლის მეხუთე პირველის მიხედვით რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ერთი მესამედს თუნდაც თავმჯდომარის გარეშე. გული მწყდება, რომ საბჭოს არცერთი წევრი არ დაინტერესებულა, სად წავიდა 12 მასწავლებლის კუთვნილი შვებულების თანხა. ჩემი სკოლიდან გათავისუფლების ბრძანებაში არ მიწერია დათხოვნის საფუძველი. დირექტორმა დაარღვია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2005 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №448 დამტკიცებული 172 სკოლის წესდება, რომლის მე-7 მუხლის I ნაწილის ზ ქვეპუნქტის თანახმად „სკოლის დირექტორი უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მასწავლებელთან ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისთვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის მან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურებისას“, ასეთ დარღვევებს ჩვენი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, პირიქით, გათავისუფლებამდე 4 დღით ადრე მან მადლობა გამოგვიცხადა. უნდა აღინიშნოს, რომ დოლაკიძის სკოლაში მოსვლის დღიდან პედაგოგთა მასიური გათავისუფლების პროცესი დაიწყო იანვარში – 9, ხოლო ივლისის ბოლოს 12 თანამშრომელი გაათავისუფლა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, 2007 წელს დირექტორების კანდიდატებად წარმოდგენილი იყვნენ ლოტოტრონში გამარჯვებული ქეთევან ჯალაბაძე და ნინო გოგოლიძე. სკოლის პედ. კოლექტივმა და სამეურვეო საბჭომ უპირატესობა ჯალაბაძეს მიანიჭეს. ნინო გოგოლიძე ამჟამინდელი დირექტორის დოლაკიძის უახლოესი მეგობარია, რომელიც მან მოსვლისთანავე თავის მოადგილედ დანიშნა. სწორედ, აქედან იწყება ჩემი უფლებების დარღვევა, ანგარიშსწორება. მოვიდა თუ არა ჯერ საათები შემიმცირა, მერე კი უკანონოდ გამათავისუფლა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გათავისუფლებული პედაგოგების სამუშაო საათების ლიკვიდაცია არ მომხდარა, მან ამ საათებზე ვაკანსიები გამოაცხადა. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ვკითხო დოლაკიძეს რატომ დაარღვია ჩემი უფლებები და, არ მომცა შვებულების თანხა. სკოლის ბიუჯეტი იანვარში დამტკიცდა, მაშინ ჩვენც ხომ ვიყავით მასწავლებლები და ბუნებრივია ჩვენი შვებულებაც ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო. სად წავიდა ეს თანხა? – დღისით, მზისით დაგვაყაჩაღა, მოგვპარა კუთვნილი ფული. სამართლის საძებრად მივმართეთ პრეზიდენტს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, საკრებულოს. ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მხოლოდ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ მიიტანა. შაშკინმა ტელევიზიით გვიპასუხა სკოლის საქმეებში არ ვერევიო. არადა, მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების 1 მუხლის, მე-3 ნაწილის თანახად სკოლა სახელმწიფო ქონების საფუძველზე იქმნება და მის სახელმწიფო კონტროლს სამინისტრო ახორციელებს. სახელმწიფო შექმნილია იმისთვის, რომ დაიცვას მოქალაქეები არამართლზომიერი და უკანონო ხელყოფისგან და პირველ რიგში, ისეთი უკანონო ხელყოფისგან, რაც დოლაკიძემ ჩვენს მიმართ განახორციელა. შაშკინის მოადგილემ უფრო დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა თუ სადღაც ვიღაც მასწავლებელი გაათავისუფლეს, მე რა შუაში ვარო. აღშფოთებული ვართ მისი უპასუხისმგებლო განცხადებით. თქვენი გაზეთით მინდა გავაგებინო მას, რომ ჩვენ ვიღაც მასწავლებლები არ ვართ, არამედ ეს სკოლა დღემდე საკუთარი მხრებით მოვიტანეთ, სკოლას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია არც შიმშილის, არც უდენობის, არც ომის დროს. დღეს ელისო დოლაკიძის წყალობით შიშის სინდრომი სუფევს სკოლაში, მასწავლებელმა ღირსება დაკარგა-შეშინებული კურდღელივით შედის და გამოდის სკოლაში. აქვე მინდა აღვნიშნო სირცხვილია 172-ე სკოლას ასეთი სამეურვეო საბჭო რომ ჰყავს, რომლის წევრებმა გულთან ახლოს არ მიიტანეს უკანონოდ გათავისუფლებული მასწავლებლების საკითხი, ყველას პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. დარღვევები უამრავია, თუმცა პასუხისმგებელი არავინ. წესით, ჩვენი გათავისუფლება წერილობით უნდა ყოფილიყო დადასტურებული, თანაც სასწავლო წელი დამთავრდა და მერე გაგვათავისუფლა, რაც ასევე დარღვევაა. 48 დღიანი შვებულება შრომითი ხელშეკრულებით გვეკუთვნოდა, რომელიც 2007 წელს გაფორმდა და ვადა 2013 წლის 22 ნოემბრამდე აქვს“.

**ლალი ფაჩიაშვილი, 172-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:** „ელისო დოლაკიძემ იანვარში 9 ადამიანი გაგვათავისუფლა, მათ შორის 5 ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. მას არ ჰქონდა უფლება სასწავლო პროცესის შუა პეროდში მოეხდინა ჩვენი გათავისუფლება. მივმართე სასამართლოს, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც იურიდიულად გაუმართლებელია. ჩემს გათავისუფლებას საფუძვლად დაედო – 2010 წლის 23 დეკემბრის №395-ე დადგენილება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივებისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩეის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, თუმცა, ელისო ლოლაკიძემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ის დოკუმენტური მასალა, საიდანაც გამოჩნდებოდა რა რაოდენობით შემცირდა ბიუჯეტი და აქედნ გამომდინარე რა რაოდენობით უნდა შემცირებულიყვნენ პედაგოგები თანაც მინისტრის ეს ბრძანება პედაგოგების შემცირებას არ ითვალისწინებს. 9 პედაგოგი შა სასწავლო პროცესში ისე გაგვათავისუფლა, რომ სამეურვეო საბჭოსგან ჯერ ბიუჯეტი დამტკიცებული არ ჰქონდა. 6 თვეში 21 მასწავლებელი შეწირა ლოლაკიძის თვითნებობას. განათლების რეფორმის მიხედვით თითო კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ შეიძლება იყოს, მან კი ე-7 პირველ, მე-7 მეორე კლასებში 40-40 მოსწავლე დასვა, მე-12-ში კი – 38. ჩემი სარჩეის თაობზე სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებამ ფრთები შეასხა ელისო დოლაკიძეს და მან 9 პედაგოგს ივლისში კიდევ 12 მოგვაყოლა თან. შაშკინმა განაცხადა არ ვერევი კადრების დანიშვნა გათავისუფლების საკითხშიო. თქვენი გაზეთით მივმართავ შაშკინს – როგორ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო, 6 თვის მანძილზე სკოლიდან 21 პედაგოგის გათავისუფლებით დარღვეულია თუ არა სასწავლო პროცესი და არის



თუ რა სწორი და სამართლიანი თქვენს მიერ 172-ე საჯარო სკოლაში მივლინებული. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ელისო დოლაკაძის მოქმედება? აქვე კიდევ ერთ დარღვევაზე მინდა მოგახსენოთ – 2010 წლის ნოემბერში მონაწილეობა მივიღე სამეურვეო საბჭოს არჩევნებში, რომელიც დოლაკაძემ გააყალბა. არჩევნების დასრულების შემდეგ დირექტორმა გამარჯვება მომილოცა, მითხრა შენ და ლალი ჯანაშვილს (რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, რომელიც ასევე გაათავისუფლა დოლიკაძემ მისი აქ არ ყოფნის პერიოდში. ქალბატონი ლალი ისრაელში იმყოფებოდა და სკოლიდან გათავისუფლების თაობაზე დაბრუნებისას შეიტყო) 8-8 ხმა გაქვთ და დამატებითი ტური დაინიშნებაო. თუმცა, მოგვიანებით, ჩვენ 7-7 ქულა აღმოგვაჩნდა, სხვამ გაიმარჯვა, მან, ვისაც რეალურად 7-ქულიანმა. ასე, რომ დირექტორს გაყალბებებისა და მასწავლებლების გათავისუფლების მეტი არაფერი გაუკეთებია, რაც მოვიდა, მიზანმიმართულად ანადგურებს სკოლას. ამჯერად ვასაჩივრებ სააპელაციო სასამართლოში, გადავწყვიტე სამართლებრივი ბრძოლა დირექტორთან, რომელიც უსამართლოდ მომექცა.

**თამარ შველიძე**

***P.S.** ლალი შიოშვილის თქმით 12 პედაგოგზე შვებულების თანხა საშუალოდ 300-400 ლარია. გამოდის, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებლებს ჯიბეში ჩაუყო ხელი და ბიუჯეტით გათვალისწინებული 3600-4800 ლარი არ მისცა. სად წავიდა გათავისუფლებული პედაგოგების კუთვნილი თანხა, ჯერჯერობით პასუხის გაცემას დირექტორი არ ჩქარობს.*

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „ოქროს უბანში“ 10 წლის წინ გადაკეტილი ქუჩები მერიამ გახსნა

**თბილისის ჩუღურეთის რაიონში, კერძოდ „ოქროს უბანში“ 10 წლის წინ გადაკეტილი ქუჩები გაიხსნა.**



ჩუბინაშვილის, ნინოშვილის, გოგოლის, ბორჯომის, დოლიძისა და ფიროსმანის ქუჩებზე ავტომობილების მოძრაობა რამდენიმე დღეს აღდგა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, გზები ავტომობილებით მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა. გზებზე მოძრაობის აღდგენა უკავშირდება ალმაშენებლის გამზირზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებსაც, რის გამოც ტრანსპორტის მოძრაობა იქ თითქმის შეუძლებელია.

როგორც მერიაშია ცხადებენ, აღნიშნულ ქუჩებზე მოძრაობის აღდგენა გავლენას არ მოახდენს იქ არსებულ ავარიულ შენობებზე.

შეგახსენებთ, რომ თბილისში 10 წლის წინ მოხდარი მიწისძვრის შემდეგ „ოქროს უბანში“ არსებული შენობების ავარიული მდგომარეობის გამო ქუჩები მოსახლეობამ გადაკეტა. „ოქროს უბანში“ შენობების უმრავლესობა ამორტიზებულია.

„მედიანიუსი“

# qarTulma xelisuflebam qarTuli simindi amerikulad gaasaRa da orjer Zvirad gayida

კახეთში წლის ყველაზე ცხელი დღეები დგას: ხორბალი დაბინავებულია, მაგრამ ცოტაა, მზესუმზირას ახლა იღებან და როგორც ამბობენ კარგი პირი უჩანს, რთველისთვის იმედიანად ემზადებიან, რადგან წინასწარი შეფასებით, ვენახებს კარგად ასხია. ვენახებთან ერთად ხელისუფლებასაც კარგად ასხია და როგორც ყოველთვის, თვალი ათასგვარი აფერისტობებისკენ გაურბის. რაც უკვე ცნობილია, წლევანდელი სუფსიდირება ყურძნის ფასში ბევრად უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე შარშან. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩასაბარებელი ფასი უფრო დაბალი იქნება, გასულ წელთან შედარებით.

როგორც კახელები ამბობენ, მამაძაღლობა ხელისუფლებას, ერთიორი სხვაც შეამჩნიეს. დღეს



მთავარი პრობლემა მათთვის ხორბალი და მასთან დაკავშირებული პერსპექტივებია. ვიდრე ამ თემას ვრცლად შევეხებით, ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ზოგადად, სახნავ-სათეს მიწებთან დაკავშირებით.

### ვინ ყიდულობს მიწებს აუქციონზე?

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ხელისუფლების "ელვისებური გეგმა" ბურების ჩამოსახლების შესახებ, სამარცხვინოდ ჩავარდა. სამარცხვინოდ იმიტომ, რომ თვითონ სამხრეთ აფრიკელმა ფერმერებმა თქვეს უარი საქართველოში ჩამოსვლაზე – ამ ველურებთან რა გვინდაო. რა თქმა უნდა ველურებში მთავრობასა და მის ცალკეულ წარმომადგენლებს გულისხმობდნენ, რომლებმაც თავი კანონზე მაღლა დააყენეს და ბურებს პირდაპირ განუცხადეს, თქვენ რაც გესიამოვნებათ, იმას ვიზამთ და ისეთ კანონებს დაგახვედრებთო. კიდევ კარგი, ბურები მიხვდნენ, ესენი თავიანთ ხალხს რას უშვებიან და ჩვენ რაღას გვიზამენო.

შარშან ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კახეთის სახნავ მიწებზე მოსახლეობას რაც შეიძლება ნაკლები მოსავალი, ანუ შემოსავალი მიეღო (ამის შესახებ „საერთო გაზეთი" დაწვრილებით წერდა), რაც იმის წინაპირობა იქნებოდა, რომ იჯარით აღებულ ფართობებს მოიჯარეები ველარ შეისყიდიდნენ და ბურებისთვის ათიათასობით ჰექტარი გათავისუფლდებოდა. რაკი ეს იმედები ხელისუფლებას გაუცრუვდა, ახალ ტაქტიკაზე გადავიდა: მიწის შესასყიდი ფასი გააორმაგა, გადახდის ვადები მინიმუმამდე შეამცირა და დაელოდა 1 მაისამდე, რამდენი მოიჯარე შეძლებდა მიწის გამოსყიდვას. ზუსტი სტატისტიკა ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მაგრამ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ირწმუნება, ბანკების დახმარებით, დაახლოვებით 40%-მა მოახერხა იჯარით აღებული სახელმწიფო მიწების შესყიდვა. დანარჩენი 60% აუქციონზე გადის და პერმანენტულად იყიდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფერმერების 60%-ს შემოსავლის წყარო წაერთვა და როგორ იცხოვრებს მომავალი წლიდან, ფაქტობრივად უმუშევრად დარჩენილი ეს ფენა, ძნელი მისახვედრი არ არის.

სოფლის მეურნეობის მინისტრისა და სტატისტიკის სამსახურის მტკიცების მიუხედავად, ყველაფერი წესრიგშიაო, წელს შარშანდელთან შედარებით, კიდევ უფრო მეტი მიწა დარჩა დაუმუშავებელი. მოგეხსენებათ "საქსტატი" ხელისუფლებისთვის სახანძრო დახმარების ფუნქციას ასრულებს და იქ გარბის "ხანძრის ჩასაქრობად", სადაც ყველაზე მეტი პრობლემებია. ოფიციალური მონაცემებით, ვარდების ხელისუფლების მოსვლის მერე, ყოველწლიურად 30 ათასი ჰექტარით მცირდება საქართველოში დამუშავებული მიწების რაოდენობა. 2010 წელს კატასტროფამდე მისული მაჩვენებელი "საქსტატმა" ოსტატურად გამოასწორა და ზრდა აჩვენა. რა იქნება წელს ვირტუალურ საქართველოში, ესეც ზუსტად შეგვიძლია ვივარაუდოთ.

ჩვენი გამოკითხვებისა და გამოკვლევების მიხედვით, შეგვიძ-



ლია ვამტკიცოთ, რომ ამ თვალსაზრისით, უკეთესობა არც შარშან იყო და წელს კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა. როგორც ფერმერები აცხადებენ, ძირითადად, საწვავის გაძვირების გამო დაუმუშავებელი დარჩა ათასობით ჰექტარი. იმაზე მეტი ვიდრე წინა წლებში.

საქმე იქმდეა მისული, რომ ხელისუფლება აპირებს ახალი აკრძალვის შემოღებას: თუ გლეხს დაუმუშავებელი დარჩება 5 ჰექტარზე მეტი ფართობი, მას ჩამოართმევენ და აუქციონზე გაიტანენ. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამის გამო გლეხს კომპენსაციას არავინ გადაუხდის. „ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, რომლის თუნდაც დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე წლებია, უამრავი მიტოვებული მშენებლობა და „გაყინული" ობიექტია, მაგრამ მათ ჩამორთმევას არავინ აპირებს, რადგან საქართველოში „კანონი გაკოტრების შესახებ" არ მოქმედებს. არაოფიციალურად კი, ეს ობიექტებიც ამათია და მთელი ქვეყანაც. ჩამოსართმევი ამჯერად მხოლოდ მიწა დარჩა და ამისთვისაც ყველაფერი კეთდება საკანონმდებლო დონეზე.

როგორც დედოფლისწყაროში გვითხრეს, აქაურ მიწებს აუქციონზე ხშირად ერთიდაიგივე პირები ყიდულობენ. მათ უკან კი ვინმე უცხოელი, ან ქართველი მაღალჩინოსანი დგას. აქაურებისთვის ისიც ცნობილი ფაქტია, რომ თუ რეალური მყიდველი, ძალიან, ძალიან, მაღალჩინოსანია, ის ბიუჯეტში ფულს არც იხდის, ისე უფორმებენ მიწას კერძო საკუთრებაში.



### დავთესოთ, არ დავთესოთ?

ყურძენზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი კულტურა კახეთში ხორბალია. ისევ სოფლის მეურნეობის მინისტრის მტკიცების მიუხედავად, იმდენი მარცვალი მოვიდა, რომ ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს სრულად დაიკმაყოფილებსო, მოსავალი ძალიან მწირი იყო. ამის მიზეზად კახელები ძალიან გაძვირებულ საწვავს, ანუ დაუმუშავებელ მიწებს და "ამერიკულ აბდაუბდას" ასახელებენ. ამერიკული სათესლე ხორბალი ხელისუფლებისთვის მთელი წლის განმავლობაში პროპაგანდისტული თემა იყო. შარშან დარიგებულ სათესლე მარცვალს წელს გადატრიალება უნდა მოეხდინა სოფლის მეურნეობაში, მაგრამ "გადატრიალება" მხოლოდ ეკრანზე გამოვიდა. ხორბალი მთავრობამ, კილოგრამი 1,5 დოლარად შემოიტანა. ჩვენებური სათესლე ხორბლის ფასი კი ლარიდან ლარნახევრამდე მერყეობს. ოორჯერ ძვირი თესლის ყიდვა ფერმერების უმეტესობამ ვერ შეძლო. ვინც დათესა, ზოგი კმაყოფილია, ზოგი არა.

„საერთო გაზეთისთვის" ცნობილი გახდა, რომ ამერიკიდან ხორბლის სათესლე მასალა მცირე რაოდენობით შემოვიდა. დანარჩენი ნაწილი ხელისუფლებამ თვითონ შეავსო. მძღოლები აცხადებენ, რომ კახეთში მოყვანილი ხორბალი ფოთში ჩაიტანეს, იქ შეწამლეს სპეციალური წამლით და უკან, რუსთავში ჩამოიტანეს, საიდანაც მოხდა მისი განაწილება. როცა მძღოლებმა იკითხეს, რას დაგვატარებთ წინ და უკან, ბარემ აქვე შევწამლოთ და დავარიგოთო, უპასუხეს, თქვენ ხელფასს მანქანის ტარებაში გიხდიან და ჩუმად იყავითო. ერთი სიტყვით ქართული სიმინდი ხელისუფლებამ ამერიკულად გაასაღა და ორჯერ ძვირად გაყიდა. ამერიკული ხორბალი უხვმოსავლიანი კი არის, მაგრამ ჰიბრიდულია და მეორე წელიწადს ველარ დათესავ. აანუ ხელახლა უნდა იყიდო სათესლე მარცვალი და ხელახლა უნდა გადაიხადო ფული.

ამის საპირისპიროდ, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ხორბლის შენახვა სათესლედ და მომდევნო წელს გამოყენება შესაძლებელია. რატომ და რით არის განსხვავებული ამერიკული ხორბლის ეს პარტია სხვებისგან, ამის პასუხს ვერავინ იძლევა.

როგორც ჩვენთან საუბარში ფერმერებმა განაცხადეს, მთავრობის წარმომადგენლები გვეუბნებიან, სიტყვაზე გვენდეთ და დათესეთ, არ წააგებთო. ვის დავუჯეროთ, ამერიკელ სპეციალისტებს თუ ქართველ ჩინოვნიკებს? კითხულობენ კახეთში და იმედი აქვთ ნოემბრამდე რამეს გაარკვევენ. ნოემბერში საშემოდგომო ხორბლის თესვა იწყება.

როგორც ჩანს ხელისუფლება საკუთარ "ნაჩალიჩარს" საგულდაგულოდ მალავს და ბუნებრივია, არ ამბობს, რომ შარშან ამერიკული კი არა, ძირითადად, ქართული ხორბალი დაითესა. ამიტომ მისი გამოყენება სათესლედ სრულიად შესაძლებელია. ჩინოვნიკიები იძულებულები არიან, არგუმენტების გარეშე ისეთი რჩევები მისცენ გლეხებს, რომ ხალხმა აღარ იცის, დაიჯეროს თუ არა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს აფიორა, რომელიც არამარტო ხორბალს, არამედ სხა კულტურებსაც შეეხო, მხოლოდ მინისტრიეს დონეზე გადაწყდა. ვინ არის ამ საქმეში "მთავარი მამაძაღლი" მალე გამოჩნდება.

### საძოვრების პრივატიზება შეჩერდა

ხელისუფლება კიდევ ერთ საკანონმდებლო გაურკვევლობაში გაეხვია. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებასთან ერთად, 2011 წლის პირველ მაისამდე განაცხადი იმ მოიჯარეებსაც უნდა წარედგინათ, ვისაც სურვილი ჰქონდა, იჯარით აღებული საძოვრები შეესყიდა. აარადა "კანონი პრივატიზების შესახებ" ცალსახად კრძალავს საძოვრების გასხვისება-გაყიდვას. სამი თვის განმავლობაში მოიჯარეები უწყებიდან უწყებაში ატარეს და უამრავი დოკუმენტი მოაგროვებინეს. როგორც ფერმერები აცხადებენ, ეს საქმე რამდენიმე ათასი ლარი დაჯდა. აგვისტოში კი ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლებამ საძოვრების პრივატიზება შეაჩერა. რატომ, როდემდე და რა პირობებით, ამის შესახებ პასუხს არავინ იძლევა. თავად ფერმერები ჩვენთან საუბარში ასეთ შეფასებას აკეთებენ: მთავრობა არ ელოდა, რომ მოიჯარეების დიდი ნაწილი შეძლებდა ყველა სამართლებრივი საკითხის მოგვარებას და სურვილის გამოთქვამდა, საძოვრები შეესყიდა. ამიტომ შეაჩერეს გაყიდვა. ამბობენ, რომ ისევ იჯარის რეჟიმში დავრჩებით, ოღონდ გადასახადი ძალიან გაიზრდება, იქამდე, რომ შესაძლებელია ბევრმა ვერ შეძლოს მისი გადახდა.

საეჭვოა, ხელისუფლებამ კანონში ჩაიხედა და როცა ნახა, რომ საძოვრების გაყიდვა არ შეიძლებოდა, პროცესი შეაჩერა. საზოგადოებისთვის ცნობილია რამდენიმე ფაქტი, როდესაც გაყიდული საძოვრების გამო ატყდა სკანდალი. ასე იყო სვანეთში ნავერიანების საქმე, გორის რაიონში, როდესაც ტრაქტორებს წინ გადაუდგნენ ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები და სხვა... თუ იქ ხელისუფლებას არ შერცხვენია იმის გამო, რომ კანონს არღვევდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ახალა გაწითლდა და შეეცადა, პროექტი საკანონმდებლო სივრცეში დაებრუნებინა.

უფრო სარწმუნოა, რომ რაღაც ჩაიფიქრა. რა? ესეც მალე გამოჩნდება.

**მანანა გეგიძე**

# saakaSvilma da misma beClamaza mouravma varSalomiZem aWara aaoxres!



რამდენიმე დღის წინ აჭარაში ვიყავი...

ჩანთები დადებული არ მქონდა, ჩემი მასპინძლის კარებზე ზარი რომ გაისმა. 2 ქალბატონი და ერთი მამაკაცი შემოვიდნენ და, რომ დამინახეს იყვირეს: „უი, ირა, შენ გაიხარე, რა დროზე ჩამოდი? ახლა იმფერ ამბავს მოგიყვებით, ყურო ნუ გეიგონებო, იტყვი. შენი ჭირიმე, აგი ამბავი გააგებინე მთელ ქვეყანას და შენებურად დაწერე მიშას „აყვავებულ“ აჭარაში არაფერ გაჭირვებაში გვახრჩობენ საიდანღაც ჩამოთესლებული ბანკები.

არავინ უწყის, რამდენი ადამიანი მიიყვანა თვითმკვლელობამდე საქართველოში მომრავლებულმა უცხოურმა თუ ადგილობრივმა ბანკებმა. ისიც არავინ უწყის, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ (თითქმის 1 თვეში) რატომ გადაწყვიტა მსოფლიო თანამეგობრობამ, მაინცდამაინც ბანკებისთვის გამოეყოთ დახმარება და რა სტატისტიკით იხელმძღვანელეს, რომ საბანკო სექტორი ამ ომში დაზარალდა და დახმარება სჭირდებოდა? ფაქტი ერთია, მილიონობით დოლარი სწორედ დაუზარალებელ საბანკო სექტორს გადაეცა და მეტიც, მიუხედავად ფორსმაჟორული ვითარებისა, დაუსჯელობის გარანტიით აღჭურვილმა ბანკებმაც სწორედ ომის დღეებში დაიწყეს ჯარიმებისა და იპოთეკებით დატვირთული უძრავი ქონების მითვისება-გაყიდვის ოპერაციები.

როგორც გახსოვთ, ქვეყნის ხელისუფლება ომის დღეებში ფორსმაჟორული ვითარების კანონიერად დაფიქსირებას არ ჩქარობდა, არადა ფორსმაჟორად ითვლება სტიქიური უბედურებები, ეპიდემია, ომი და ა.შ.

**საქმე იმაშია, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში საჯარიმო თანხებს არც ერთი ნორმალური ბანკი მოსახლეობას არ უწესებს, მაგრამ იმიტომ რომ, საქართველოში სწორედ ამგვარ ვითარებაში მდიდრდებიან მავანნი, მოხდა პირიქით**

და ყველას გახსოვთ არათუ გორში, არამედ თბილისსა და სხვა



უამრავ ქალაქში აღშფოთებული მოსახლეობა როგორ აპროტესტებდა ამ მართლაც აღმაშფოთებელ ქმედებას „თი-ბი-სი ბანკთან“, „რესპუბლიკა ბანკთან“, „ბაზის ბანკთან“, „პროკრედიტ ბანკთან“ და ა.შ.

რაღა შორს წავიდე, მე თვითონ შემეხო ყოველივე და 2008 წლის 8 აგვისტოს „თი-ბი-სი ბანკში“ შესატანი თანხის 160 ლარის ნაცვლად, ოპერატორმა გოგონამ 200 ლარის გადახდა მთხოვა. „რატომ 200 ლარი?“ – ვკითხე მე. „იმიტომ რომ 2 დღე დააგვიანეთ თანხის შემოტანა, თითო დღეზე კი მოგეხსენებათ, ჯარიმა 20 ლარია“ – მიპასუხა მან. „კი, მაგრამ 8-9 აგვისტოს ცხინვალის რაიონში ვიყავი მივლინებით, ქვეყანაში ფორსმაჟორული ვითარებაა და ჯარიმას მახდევინებთ? მე მოგიტანთ სამივლინებო ბარათს და მოვითხოვ ჩამომაჭრათ ჯარიმა. აღარ გრცხვენიათ ბოლო-ბოლო? – ვუყვირე აღშფოთებულმა, მაგრამ ვიცოდი, რომ ტყუილად ვყვიროდი, რადგან ბანკებთან არც ყვირილი გადის და არც კლიენტის სიმართლე. ისინი ხომ მხოლოდ იმიტომ არიან ასე მომრავლებულები, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დაკვეთები შეასრულონ, გადაუხადო, და დაუსპონსორონ მილიონიანი პიარ-აქციები, კონცერტები და ხელისუფლებისგან მიღებული ზარალიც მოსახლეობის სისხლის სმით ამოიღონ?!

ჰოდა, ილებენ კიდეც, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?

**ახლა აგერ 1 კვირაში 35 ოჯახის გამოსახლება უნდა მოხდეს, არადა სეზონი ჩავარდა, დამსვენებელი ძალიან ცოტა ჩამევიდა და გამოტანილი კრედიტის დაფარვა რანაირად უნდა შევძლოთ? 2008 წლის მაისში ბევრმა ოჯახმა ავიღეთ სეზონური კრედიტი, მაგრამ დაიწყო ეს ოხერი ომი და ვიზარალეთ. არ ჩამოვიდა დამსვენებელი. ახლაც არ არის და თითო-ოროლა „დაჩნიკია“. რა წყალში ჩავვარდეთ, თავები მოვიკლათ?“**

მოკლედ, ბევრი ტირილის და მოთქმის შემდეგ გავარკვიე, რომ ქობულეთში დაახლოებით 50 ოჯახს „პროკრედიტ ბანკიდან“ სეზონური კრედიტი ჰქონია გამოტანილი, რაც იმას გულისხმობს, რომ, კლიენტი ბანკის ვალს სეზონურად იხდის და ბანკიც, იმიტომ რომ, არ დაზარალდეს, კრედიტის გაცემის პარალელურად კლიენტის უძრავ ქონებას იპოთეკით ტვირთავს.

რა თქმა უნდა, ვალს გადახდა უნდა, მაგრამ როცა მოსახლეობას ტოტალურად უჭირს, იგივე

**„პროკრედიტ ბანკს“ და მის მმართველს არ უნდა ესმოდეს და ხედავდეს, რომ საკურორტო სეზონი აჭარაში ჩავარდა? ახლა 35 ოჯახს ქუჩაში რომ გამოყრიან და ღია ცის ქვეშ გაყრიან, ეს არის მათი ბიზნესის ჭეშმარიტი არსი?**

არადა, გამოსასახლებლად „გამზადებული“ 35 ოჯახის სახლები ზოგიერთი ბანკის ხელშეწყობით კი არ აშენებულა, ძვირფასო მკითხველო, არამედ მამა-პაპისეულ მიწაზე ააშენეს თავის დროზე ქობულეთელებმა და წლობით თითო აგურის თუ თითო-თითო კრამიტის დადებით სახლებად აქციეს.

თანაც 35-ვე სახლი ქობულეთის ცენტრალურ ქუჩებზეა განთავსებული და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, „პროკრედიტ ბანკი“ ქართველების სახლებს ვისზე გაყიდის სარფიან ფასად.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობას მთელ აჭარაში ამ ზამთარს შიმშილი ელის, არც სიცივისა და გაყინვის საფრთხეა შორს. იმიტომ, რომ ტყეები უცხოელების საპარპაშოდ და გასამდიდრებლად აქცია ამ ხელისუფლებამ, უკვე დღეს შეშის ფასი (ერთ მანქანაში) 650-700 ლარი ღირს. არადა უშემოსავლოდ დარჩენილმა აჭარლებმა, საიდან მოიტანონ ამოდენა თანხა? ახლა ვიღაც მაიმუნი იტყვის: „გაზი ხომ არის აჭარაში, იმით გათბნენო“, მაგრამ გაზის გადასახადი რომ უფრო აღემატება შეშისას, ახალი ამბავია? თანაც გაზიფიკაცია მთელ აჭარაში კი არ არის, როგორც მიშა აპიარებს, არამედ პატარა ნაწილში და რაა შეღავათი?

სარფის საბაჟოა და მოსახლეობის გატყავებაზეა გადასული! აჭარის მინისტრთა საბჭოა და გადასახადების მომატებით იხარებს გულს. სააკაშვილია და დაჰქრის და დაფრინავს აჭარის თავზე, უფრო სწორად კი აჭარლების თავზე და ფეხებზე ჰკიდია მომავალ გაზაფხულს კიდევ რამდენი კაცი ველარ შეხვდება თავის მიწა-წყალზე. არადა, როგორც მითხრეს, სიცოცხლის ხანგრძლივობით განთქმულ აჭარაში დღე არ გავა 18-20 ადამიანის გარდაცვალება არ გამოაცხადოს ადგილობრივმა ტელეკომპანია „ტვ-25“, სადაც საინფორმაციო გამოშვების შემდეგ სწორედ ნეკროლოგებისთვისაა განკუთვნილი დაახლოებით 15-18 წუთი. ასევე მოხშირებულია თვიმკვლელობის ფაქტებიც და რა გასაკვირია, ასეც რომ იყოს?

აი, გუშინწინ ცანცარა სააკაშვილი ქედის რ-ნში იყო „აბრძანებული“ და ტურიზმის „აყვავების“ შემდეგ, ახლა უკვე „აჭარული სიგარები“-სთვისაც მოიცალა... თურმე ნუ იტყვით და „სიგარების“ ბიზნესით მას შემდეგ დაინტერესებულა, რაც მსახიობ ენდი გარსიას უთქვამს: „კუბური სიგარა კარგია, მაგრამ აი აჭარული სიგარა მართლა მაგარიაო“! ჰოდა, რადგან ენდიმ თქვა, სააკაშვილმაც დაიჯერა და ეგრევე ეცა აჭარას –არიქა, საექსპორტოდ გავიტანოთ, მილიონობით მოგებას მოგვცემსო. ახლა ვინც არ იცის, ხომ დაიჯერებს „აჭარული სიგარის“ ექსპორტის ზღაპრებს, მაგრამ ვინც იცის, იმას ხომ შესანიშნავად მოეხსენება, რომ აჭარაში თამბაქოს კულტურის მოყვანამ დიდი ხანია ჭირი მოგვჭამა? აქაი-იქ, ისიც პირადი მოხმარებისთვის, გლეხებს მართლაც აქვთ დარგული თამბაქო, მაგრამ როგორც ადრე, ამას მასიური ხასიათი აღარ აქვს და ახლა თუკი თამბაქოს თურქეთიდან შემოიტანენ და აქ მხოლოდ სიგარის გასაკეთებელ საამქროს ააგებენ, ერთი გამაგებინეთ, რანაირი „აჭარული სიგარა“ იქნება ის? აი, ამას ჰქვია: „ტყუილი, ტყუილი და სიგარა პირში“.

**გახსოვთ, ქობულეთში, ზღვისპირზე, ფიჭვნარის დასახლებაში „მოჟღურტულე“ მიშა როცა იძახდა: „აი, ვინც ამ ადგილებს შეისყიდის, იმ ფირმებს გადასახადებს არ გადავახდევინებთო?“ ცხადია, ასეთი მაცდუნებელი დანაპირების შემდეგ ვიღაცამ მართლაც გადაწყვიტა ბიზნესის დაწყება, მაგრამ, როცა დაიწყო ტერიტორიის ათვისება — აი, იქ გააჩერეს და დღეს სწორედ ფიჭვნარის გადათხრილი ლანდშაფტის გამოა ის, რომ ამ ადგილას კერძო სექტორში დასვენებას ქართველებიც მოერიდნენ და თითო-ოროლა უცხოელი ტურისტიც.**

გარდა ამისა, გადათხრილი და გაუბედურებულია ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ასობით პატარა ქუჩა. ტალახი და ქვაღორღია ქობულეთის ცენტრალურ ბაზარშიც, რომ აღარაფერი ვთქვა ახლად მოასფალტებულ ქუჩებზე, სადაც ასფალტიც კარგა ხმის აყრილია და პატარა წვიმის შედეგად, მუხლებამდე წყალია დატბორილი. მეტიც, ქობულეთის ახლად აგებულ რკინიგზის ვაგზალში წყალი წვიმის დროს ისე ჩამოდის, თავი თბილისის აეროპორტში გეგონება. უფრო დიდი საშინელება კი ვაგზლის პერონზეა, სადაც სიბინძურის გარდა იმის მომსწრეც ხდები, რომ ცუდად შებათქაშებული მოსაცდელიდან კარგა მოზრდილი ნამტვრევები ცვივა და როდის მოგვხვდება თავში, არ იცი.

„ნაციონალები“ ამ ყველაფერს „ვერ ხედავენ“, რადგან ისინი რიგითი მგზავრები არასოდეს არიან, არადა ქობულეთ-ბათუმში სწორედ ისინი და მათი სტუმრები ჩადიან ყველაზე ხშირად და იმისათვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას უკანასკნელი ლუკმა ამოაცალონ, ზოგი ბანკს ხსნის, ზოგი ნაკვეთებს ყიდულობს და ზოგიც უკვე აშენებული სასტუმროების ყიდვით არის დაკავებული.

ყველამ ვიცით, რომ რიგითი აჭარლების შემოსავალი ძირითადად, 2 კომპონენტით ივსება. ეს არის ზაფხულში დამსვენებლებისგან შემოსული თანხა და შემოდგომაზე ციტრუსების ჩაბარებით აღებული ფული. წელს არცერთმა და არც მეორემ არ გაამართლა და იქნებ გვიპასუხოს მუდამ მომღიმარმა „ბეჩლამაზა“ ვარშალომიძემ – აჭარლებმა თავი როგორ ირჩინონ?

თვითონ რომ გამდიდრდნენ და მდიდარი მიწების გაყიდვით ამ წუთშიც უამრავ თანხებს ითვისებენ, ულუკმაპუროდ, უსახლკაროდ, უფულოდ და თანაც უსამშობლოდ დარჩენილმა მოსახლეობამ რა უნდა გააკეთოს?

სხვათაშორის, როდესაც „პროკრედიტბანკის“-გან გამოსასახლებლად გამზადებულ ქობულეთელებს ვკითხე: „კი, მაგრამ, რას აპირებთ, როცა გამოსახლებას დაგიპირებენთქო?“ – მითხრეს. „ჩვენივე ხელით დავწვავთ სახლებს და თურქებს, სომხებს და „ნაცებს“ არ ვაპარპაშებთ ჩვენს საკარმიდამოშიო!“

არადა, აჭარა რომ „ჩვენი საკარმიდამო“ დიდი ხანია აღარ არის, ყველამ ვიცით. ბათუმის დიდი ნაწილი თურქების, სომხების, ყაზახების, არაბების, ირანელების და ათასი გადამთიელის საკუთრებაა. აქ ქუჩებს ზოგიერთი მათგანის სახელიც აქვს და რაც გასაყიდი დარჩა, იმასაც ნელ-ნელა ისაკუთრებენ ბანკები, კერძო პირები და თქვენ წარმოიდგინეთ, ოკუპანტად მონათლული, მაგრამ „ნაც. მოძრაობასთან“ კეთილგანწყობილი რუსი ჩინოვნიკებიც.

**აჭარა აღმშენებლობის გზაზე კი არა, გაპატახება-აოხრების ზღვარზეა. არადა, თუ არ გჯერათ, ჩაბრძანდით და თავად ნახეთ.**



ჰოდა, სწორედ ზემოთჩამოთვლილი „სავალალო ფაქტების გამო, „ქათქათა ბათუმი“, „კოპწია ქობულეთი“ და მთიანი აჭარა, აფეთქების ზღვარზეა. როდის აივსება აჭარლების მოთმინების ფიალა, არავინ იცის, მაგრამ ერთი კი ფაქტია – სააკაშვილის ტყუილებს, სააკაშვილის ყალბ პიარს და სააკაშვილის შორს გამიზნულ ზრახვებს აჭარაში მალევე აეხადა ფარდა და ვინ იცის, იქნებ სწორედ ქობულეთში, ჩოლოქის „ისტორიულ“ ხიდზეც დაიწყოს საპროტესტო აქციები შეცვლილი მოთხოვნებით: „აჭარა ვარშალომიძის გარეშე!“-, „საქართველო სააკაშვილის გარეშე!“

**ირინე გოგოლაშვილი**

# xelisufleba `daCmorebul~ saqarTvelos Sua saukuneebis evropisken miaqanebs

ახლა, „ნაცები“ კუნთების თამაშს მოეშვნენ და საკუთარ რესურსებს გადახედეს. დაგროვილი თანხის სარფიან დაბანდებაზე ფიქრში დასავლელ „პიარშიკებს“ მიმართეს. აღმოაჩინეს მომგებიანი ბიზნესი-ე.წ. წინასაარჩევნო. აი, ამ პერიოდში თავისუფლად შესძლეს და იყიდეს გაღატაკებული მოსახლეობის ხმები.

ფსონი სხვადასხვა იყო:ქვეყნის მოსახლეობა ხომ უკიდურესად გაალარიბეს და ახლა, რა გასაკვირია, იმ სამარცხვინო ხმებსაც, ზოგჯერ შუა საუკუნეებში არსებული „ნატურალური მეურნეობის“ პრინციპით ყიდულობენ. აი, ასე, მაგალითად — ერთი ხუთ სულიანი ოჯახის ხმა იყიდება ერთ ტომარა ფქვილად. ამ სამარცხვინო გარიგებაში, ხომ ვართ ჩართული და იქეთ ოპოზიცია გვამუნათებსხან საქონელებიო, 26 მაისს, მაჩვებადაც მოგვიხსენიეს, მათხოვრებიო და ა.შ. მოკლედ, რა ხალხიც ხართ, იმ დღეში ხართო.

რა ჰქნან, აბა? ხელისუფლებას ვერ ერევიან და ეს ოპოზიციაც შუა საუკუნეების პრინციპით, თავის უშუალო ვასალად გვთვლის (არ აღიარებენ, თორემ ხელისუფლებას პატრონად მიიჩნევენ) მოკლედ, ახალი იერარქია მივიღეთ: „პატრონი“- ხელისუფლება, უფრო დაბლა მდგომი, არანაკლებ ამბიციური „ბურჟუა“-ოპოზიცია და რახან შუა საუკუნეების ჭრილში ვსაუბრობთ, „საბრალო გავროში“ — დანარჩენი საზოგადოება. ასეთი კლასობრივი დიფერენციაცია დღითი-დღე აშკარაა.

ახლა, „პატრონი“ მეტი ფულის ამოგებაზეა დაქიჩმაჩებული. მოკლედ, მუდმივად უნდა ცხრა თავიანი დევივით იჯდეს სახელმწიფოს სათავეში და დამონებულ ხალხს საშველს არ აძლევდეს. ის „რაინდებიც“ ხომ უნდა გადაიბიროს ე.წ. მიუმხრობლები. ასეთები თურმე, პარლამენტშიც ჰყოლია „დატყვევებული“, როგორც „მოტირალმა“ მებრძოლმა **გია ცაგარეიშვილმა** გვამცნო, აი, ახლა, ამ დღეებში, 6 სექტემბერს შევქმნით ფრაქციას, 6 კაციანი კია, მაგრამ აქედან 4 მიუმხრობელი დეპუტატი იქნებაო(ოჰო, როგორც ჩანს, ხელისუფლებას საქმე „გაურთულდება“) მოკლედ, ეს პერსექტივა სულ მალე გვემუქრება.

ამასობაში პატრონ-ხელისუფალი დროს არ ჰკარგავს და ოპოზიციიდან თითო-თითო ბარტყის გადმოგდებით სეირობს. ასე მოხვდნენ მის კლანჭებში „მემარჯვენეები“ და „ქდმ“. უფრო ადრე სხვები და სამწუხაროდ, კიდევ მრავალია რიგში. ყველაზე თვალსაჩინო გარიგება მაინც მთასვლელ „რაინდთან“ გამოუვიდა. არა, პირდაპირ საოცარია, თვალწინ მიდგას-ხოლმე, მიკროფონთან ბოლო ხმაზე მყვირალი თორთლაძე, იმდენად მოსწონდათ მისი პათოსი, ოპო-მ პირდაპირ კონფერენსაედ ხარ დაბადებულიო და მჩქეფარე გამოსვლების კონფერანსიეობა უწყალობა. ეტყობა, მისი „ნიჭი“ ხელისუფლებამაც დაინახა და სასწრაფოდ „დააკერბოვკა“. ასე ნელ-ნელა ტოვებდნენ „ბასტილიას“ ჩვენი დროის რაინდები.

ბოლო მითქმა-მოთქმის გახსენებაც აღარ მინდა, რახან ენაზე მადგას, მაინც ვიტყვი. გახსოვთ, ალბათ, ერთ-ერთი ჩვენი „პატრონი“, როგორ ევაჭრებოდა თავის „პატრონს“, ანუ ამ ჩვენს ხელისუფლებას კრედიტები დამიფარე, თორემ მართლა რაინდი გავხდები და ამ შენს „სახანოს“ აგიჯანყებო.

## პურზაური პარლამენტის „კარზე“

ამ ხელისუფლების ძალისხმევით ე.წ. ოპოზიციონერებს ერთმანეთი ჭირივით სძულთ. „ძლიერი საქართველოს“ არანაკლებ მოძლიერებულმა და გაყოყლოჩინებულმა ხელმძღვანელმა გია თორთლაძემ სულ პოლიტიკური ნულები უწოდა ყოფილ თანაფრაქციელებს- გია ცაგარეიშვილსა და დიმიტრი ლორთქიფანიძეს. საქმე იქამდე მივიდა, პარლამენტში დაკავებული პოსტების დატოვება მოითხოვა მათგან, აქაოდა, ჩემი ფრაქციის კვოტით მოხვდნენ ერთი-ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წევრად, ხოლო მეორე „ულირსი“ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრად „ ჩვენს ქვოტებს თავად გამოვიყენებთ. რაც არ დაგვჭირდება, იმასაც გამოვიწვევთ, რადგან არ შეიძლება, ჩვენი სახელით ადამიანი სადმე იყოს დანიშნული. ვინც ფრაქცია დატოვა, ყველას ქვოტას დავიბრუნებთ“, — აცხადებს თორთლაძე.

კითხვაზე თუ გაგაფრთხილეს, როცა ფრაქციას ტოვებდნენო, **თორთლაძე** შენიშნავს, ეს დიდი ვერაფერი დანაკლისია, საქართველოში არ ვიყავი, როცა ფრაქცია დატოვეს. დიდად არ დავზარალებულვართო. მაშ ასე, სანამ ე.წ. „ლიდერები“ უცხოური ვოიაჟებით



ერთობიან, ამ დროს ბარტყები ბუდეს ტოვებენ.

ბოლოს და ბოლოს, სპორტსმენ-პოლიტიკოსი „გულდაწყვეტით“ შენიშნავს: „საერთოდ, პოლიტიკაში იდეების ჭიდილია. თუმცა საქართველოში პოლიტიკოსები იმის მიხედვით იქცევიან, რაც დღეს აწყობთ. გაერთიანებულ ოპოზიციაში, როცა ვიყავი მესმოდა, რომ რაღაც ნიშა უნდა დაგვეკავებინა, მაგრამ საბოლოო ჯამში, საქართველოში ეს ნიშა ვერც ერთმა პარტიამ ვერ დაიკავა, მმართველი გუნდის გარდა.დანარჩენებს რა ნიშა უჭირავთ, თვითონაც არ იციან“.

ამის საპირისპიროდ ღაღადებს აწ უკვე ახლად შექმნილი ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე **გია ცაგარეიშვილი:** „თორთლაძის ფრაქციის წევრი, ამ გაერთიანების შექმნიდან მხოლოდ ოთხი თვე ვიყავი. როცა მივხვდი, არშემდგარ სპორტსმენ-პოლიტიკოსისა და ხელისუფლების პრინციპებს შორის, განსხვავების ნატამალი არ იყო და როცა ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურად გაურიგდა ნაცმოძრაობას, დავტოვე კიდეც ფრაქცია.

იქ მუშაობა ჩემი ცხოვრების სამარცხვინო ფურცელია, თუმცა შემდგომში ჩემი მოღვაწეობით იმ პერიოდს საბოლოოდ გადავუსვი ხაზი. ახლა, თუკი ჟურნალისტებიც თორთლაძისა და მისი გაერთიანების საბოლოოდ დავიწყების საშუალებას მომცემთ, მადლიერი დაგირჩებით“.



„საერთო გაზეთთან“ საუბარში **გია ცაგარეიშვილმა** ყოფილი კოლეგა-ოპოზიციონერებიც ამხილა:

**„რაც შეეხება, საარჩევნო კოდექსის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, ძალიან მარტივად არის საქმე-ხელისუფლებამ იშოვა ის პოლიტიკური ძალები, ვისაც საზოგადოების და დანარჩენი ოპოზიციის ზურგს უკან გაურიგდა. „ახალი მემარჯვენეები“ „ქრისტიან-დემოკრატები“ „მრეწველები“-ეს ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლების პირველივე დაძახებაზე წამოსკუპდებიან-ხოლმე იმ ე.წ. მოლაპარაკების გარშემო, სადაც ხელისუფლება არის თავში.**

**ხოლო „ერთობა სამართლიანობისათვის“ არის ფრაქცია, რომელიც უმცირესობაში არ არის. მკვეთრად ოპოზიციურია, ოღონდ არა უმცირესობაში, რადგან მე აქ უმცირესობას ვერ ვხედავ, პარლამენტი არის ერთსახოვანი, სადაც ვილაც თავის თავს რატომღაც ოპოზიციად მიიჩნევს, ოღონდ რატომ ვერ დავადგინე აქამდე“**

ყოფილ ფრაქციელებს უთანხმოება ვიცე-სპიკერის პოსტის დაკავებაზეც აქვთ. „ძლიერი“ თორთლაძის ფრაქციის ეგიდით, ეს თანამდებობა დღემდე პაატა დავითაიას უკავია. „ ერთობა სამართლიანობისთვის“ პოსტს თავისი ფრაქციის წევრს და პარტია „ქართული დასის“ ხელმძღვანელს ჯონდი ბაღათურიას უმიზნებს. სპორტსმენ-პოლიტიკოსმა კი, ოლოლო თქვენაო, მაგ პოსტს საერთოდ აუქმებენო. ცაგარეიშვილი საწინააღმდეგოს გვეუბნება, როგორც ჩანს ჟურნალისტების დაგაბნიათ არ შემდგარი პოლიტიკოს-სპორტსემნის რიტორიკამ, აუქმებენ კი არა, სამი ვიცე-სპიკერის ადგილია პარლამენტში, ერთი ვეფხვაძეს უჭირავს, მეორე-დავითაიას, ხოლო მესამეს უკვე ჩვენ ვითხოვთო.

**„საერთო გაზეთი“: — „გია, თქვენი ლოგიკით, პარლამენტში უმცირესობა ხელისუფლებასთან არის ასოცირებული, მაშინ რა საჭიროა, ორი ე.წ. ასოცირებული სპიკერი ან კიდევ, ამ ვითარებაში სპიკერობის მოთხოვის გარდა, თუ თქვენ ჭეშმარიტ ოპოზიციონერობაზე გაქვთ პრეტენზია, სხვა საკითხი არ გვიდგას?**

— ვიცე-სპიკერობაზე ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლება, რომელსაც უნდა ჩვენი ბრძოლა სავარძლებისთვის ბრძოლამდე დაიყვანოს და გააიგივოს. ჩვენ ვაკანტური პოსტი გვჭირდება, რათა ფრაქცია ქმედითუნარიანი გავხადოთ“

ახალმა ფრაქციამ **ჯონდი ბაღათურიას** თანამდებობის მოთხოვით პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მიმართა, ხოლო გოგორიშვილის უწყებამ უმცირესობაში არსებულ განხეთქილებას ცინიკურად უპასუხა: საქართველოს პარლამენტში თანამდებობის დაკავებისთვის მნიშვნელობა აქვს პარტიების რიგითობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჩაბარებული განცხადების მიხედვითო. ჰოდა, „მსჯელობს“ ახლა გაწბილებული ცაგარეიშვილი და თან ლოგიკას ვერ პულობს: „გაერთიანებული ოპოზიცია ხომ ცხრა პარტიისგან იყო შემდგარი და თითქოს იმიტომ, რომ „ჩვენ თვითონ“ იყო მე-5 ნომრად, ხოლო „ქართული დასი“ მე-7 დარეგისტრირებული, ამიტომ დავითაიას ეკუთვნის და ბაღათურიას არა? თანაც ჩვენ ხომ ვაკანტურ ადგილს ვითხოვთ. ეს არის სიცრუე და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა.

საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტში თანამდებობებზე არჩევის წესს. ამას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და კონსტიტუცია“.

აი, ხომ ხედავთ, ალილუიასავით იცის კანონ-წესდებები, თუმცა, რა? ხელისუფლება თავის ე.წ. ოპონენტებს დიდი ხანია კატათაგვობანას ეთამაშება, სეირობს, ერთობა, მოკლედ, ყველაფერს ასწრებს, ისე რომ, ამ ოპოზიციას აინუნშიაც არ აგდებს.

## ყველა დამნაშავეა?

არსებულ ვითარებაში ახალ ფრაქციელი გია ცაგარეიშვილი ოპოზიციას სრულ პასუხისმგებლობას არ აკისრებს: „სულაც არ არის საჭირო, გამოსვლების სათავეში ოპოზიციონერები იყვნენ, საზღვარგარეთ ამის ორგანიზება ინტერნეტსერვერებით-„ფეისბუქია“ და „ტვიტერით“ ხდება.

ძალიან ბევრ პასუხისმგებლობას ჰკიდებთ ოპოზიციას და ითხოვთ მისგან იმას, რაც თავად არასოდეს გაგიკეთებიათ. გყავთ ისეთი ოპოზიცია, რისი ღირსიც ხართ. ჰო, სწორედ ასეთი პრეზიდენტის ღირსნი ვართ ჩვენ. სხვათაშორის, ეს ოპოზიცია კამბოჯიდან და სომალიდან არ მოსულა, ეს არის ქართული ოპოზიცია.

ოპოზიცია ხიდიდან ხრამში რომ ხტებოდეს, არ გადაჰყვებით, მხოლოდ სეირს უყურებთ და იტყვით, მერე რა მოხდა? საზოგადოებამ მსხვერპლი მოითხოვაო”

ისე, გაუგებრად დაგვრჩა მთავარი თემა — რატომ არ სურს ოპოზიციას ემსახუროს საზოგადოებას და გაიღოს მსხვერპლი, თუკი ამის აუცილებლობა არსებობს?

თავის მხრივ კითხვები თურმე, ოპოზიციის მიმართ თავადაც ჰქონია და ახალი ფრაქციის ლიდერის ამპლუით ცაგარეიშვილმა კოლეგებს მიმართა: „სანამ კარგად ჭამა-სმის, ჩაცმა-დახურვის, დასვენება-მოგზაურობის, მოკლედ, ფუფუნების სურვილი გექნებათ, მანამ სააკაშვილს ვერ დაამარცხებთ, „თმადავარცხნილი“ ოპოზიციონერი ამ ხელისუფლებას ვერ მოიშორებს, ასკეტები უნდა გავხდეთ, თავი გავწიროთ, ოღონდ საზოგადოებაც თუ დაგვიდგება გვერდში, მხოლოდ მაშინ მოხერხდება რეჟიმისგან გათავისუფლება”.

**„საერთო გაზეთი“: — გია, ისე ამ უახლოეს წარსულში ბევრი მაგალითი გვქონდა, როცა ოპოზიციამ საზოგადოებას კულმინაციურ მომენტში უღალატა და საბრძოლველად შემართული მასა სახლებში დააბრუნა, ესეც ჩვენი ბრალია?**

— რა თქმა უნდა, თქვენი, ანუ საზოგადოების ბრალია. ამ ლიდერებს ხომ პასუხი არ მოეთხოვათ? დიახ. 2008 წლის 20 იანვარს, საზოგადოებას ცოტა სხვანაირად რომ ემოქმედა, მაშინ ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც მართლაცდა ბრძოლის ავანგარდში იყვნენ, იძულებულნი იქნებოდნენ საზოგადოების დაკვეთა შეესრულებინათ.

***P.S.* — რა პერსპექტივა აქვს ქვეყანას, რომლის პრეზიდენტი შეიძლება უცხო ქვეყნის ელჩმა დაიბაროს და იქეთ უბრახუნოს მაგიდაზე ხელები? როგორც ჩანს, ვასალობის შუასაუკუნეებრივი თემა, დღევანდელ საქართველოში მეტად აქტუალურია, ისევ და ისევ ამ ხელისუფლების „წყალობით“.**

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# `aTengenidan~ _ yvavT aRvsebamde~...

## fxovis sakraluri dro

## (კარი II)

**კობა არაბული**

„ფხოვის საკრალური დროის" II კარი მოიცავს უფრო სხვა ტიპის თემებს, რომლებიც არ გადიან ანდრეზული დროიდან დამიბმული არიან ცოდნის შორეულ ფესვებთან, კერძოდ, ასეთი თემებია:

– მთავარია სამეურნეო კალენდარი.

– მკურნალთა და მეომართა კულტი.

– პოეზიის საკრალური დრო.

– და ქრისტეს დრო ფხოვის ხეობაში, რომელიც აქ დგება პირველივე საუკუნიდან და ერწყმის ამ უძველესი თემის ფოლკლორულ-მითოლოგიურ სივრცეს.

ეს წერილი გარდამავალი საფეხურია ამ ორ კარს შორის.

გავაღე კარი ჩემს ესსეებს შორის, და გავედი „ფხოვის საკრალურ დროში" აპოკალიფსური ქალაქიდან, რომ ერთხელ კიდევ დავსწრებოდი „ათენგენის" რიტუალს – III ათასწლეულის მე-11-ე წელს, VII-თვის 22-ე დღეს – გიორგობიდან 36-ე კვირიაკეს...

გამიჭირდა გასვლა პროცესიდან და კვლავ დაბრუნება, ერთი კვირაც მთლიანად ამოგაგდებს გლობალური სივრციდან და შეგიყვანს „დავიწყებული დროის" სიჩუმეში...

უძველეს დროში აქ „ზისცვარობა" („მზისცვრობა") დღესასწაულს იხდიდნენ ფხოველნი. გაზაფხულის ბუნიობის დგომისას რძიანი, ანუ მზისცვრიანი ჯამებით ეგებებოდნენ დღის გადიდებას, გზას სახლიდან სალოცავამდე – ქვის შუკებსა და ინგურებს – რძის ცვრით „რწყავდნენ, აპკურებდნენ მიწიდან ამოსულ გაზაფხულს და ბავშვებს... ყმაწვილებს „მზის ცვარში" ყვითელ ერბოს უყრიდნენ, ატანდნენ გამომცხვარ ქადებს და უშვებდნენ ხატის გზაზე...

უფრო ადრე სცოდნიათ „ცისკროზა დღე" – ესეც თენების („დღის დგომის") დიდი დღესასწაული იყო – ღელისვაკის მინდორზე – ალაველვაკეს". აქ ქალვაჟნი (და სწორფერნი) ერთმანეთს არჩევდნენ და თავს აწონებდნენ: სწორედ აქ იყო სალახტე და სალაღუმე-საჯილდაო სამანები, ცხენთ სადოღე, სამშვილდოსნო ადგილები...

აქ სრულდებოდა „ბელლისკრული" – („ფერხისულის" ტიპის) – მზის ბრუნვის რიტუალი – „ცის კამალაზე" გასასველი – გარკვეული რიტუალური ტექსტი! რომელსაც მწიგნობარნი კოლხურ-იბერიულ-პელაზგურ ჰიმნებად სახავენ (პ.ბერაძე, ა.შანიძე), თავისთავად საკულტო ტექსტი, შემონახული რიტუალთა თანხლებით, მის უეჭველ სიძველეზე მიუთითებს! – (ეს ცალკე თემაა).

ახლა „დარჩა" მხოლოდ „ათენგენა", ესეც მზისა და უფლის სადიდებელი დღესასწაული: „მზისა და მზის მყოლთა ანგელოზთა" სადიდებელი, „დღისა დღესინდელის" – ღვთის კარზე მოკარვე კვირაეს ჰიმნი (რიტუალი)...

ჩვენ როცა გავდივართ დროში, ან ერთი მდგომარეობიდან-მეორეში, როცა ჩვენი ისტორიული პროვინციების სიღრმეში შევდივართ და მოვლენებს ვაკვირდებით, როდესაც ჩვენ თვითონ გვხვდებიან წინ დროში დაძველებული მოვლენანი და სამანები, იეროგლიფური ქვები, ყოველივეს გვიჩნდება კითხვა: შეგვიძლია ჩვენ (ან ვინმეს) „ანდრეზული (მითოსური) დროის დაცვა", ისტორიულ-ეთნოლოგიური სამყაროს გადარჩენა, ანუ ერის ეთნო-კულტურული და რელიგიური დაცვის მოდელის შექმნა?!

შეგვიძლია თუ რა ჩვენ (ცოცხლებს) „მოვლენათა შებრუნება" და „უჟამო ჟამის" ზღვარზე ისე დგომა, რომ ერის მოძრაობის „ლოგოებს" ვხედავდეთ წარსულიდან-მომავლისკენ... ეს ორი დრო აქ, წუთისოფელში, ჩვენი თანდასწრებით კვეთს ერთმანეთს... ახლაც რა უნდა მოიმოქმედოს გონიერმა კაცობრიობამ, რომელსაც სურს დროში საკუთარი მონოკულტურების გადარჩენა? ილუზიური ედემის დაცვა, ჩვენ არ შეგვიძლია სამყაროს ბედისწერის შეცვლა, სიცოცხლის გადარჩენა... რადგან იგი უფლის განგებულებას განეკუთვნება, მაგრამ კაცობრიობას (ადამიანს) ცივილიზაციათა და კულტურათა რაღაც ნაწილის დაცვა (კორდინირება) მაინც შეუძლია...

* * *

როდესაც ჩემი ესეების შუალედში მე შევედი „ათენგენის" რიტუალზე ფხოვის თემში, სამწუხაროდ, იქ „მზის ბორჯღალი" აღარ იდგა, ვეღარ შემხვდა ხევისბერი სალაშქრო „ბორაყით" და მზისებრი სახუცო ბარძიმით – ვინაიდან ხევისბერიც და დროშაც გასულიყვნენ ფხოვის საკრალური სივრციდან!!! ზარი, რომელსაც კრწანისის ველზე ვერ ჩაუწყვიტეს „ენა", ახლა დადუმდა...

ამ დროში დროშის „შეჩერება" და შენახვა იყო საჭირო – როგორც საკულტო-საკრალური თილისმის, მაგრამ სამწუხაროდ, მას მოუკვდა ხევისბერიც, რომელიც იცავდა, როგორც ლამაზ დიაცს „უხორცო სარანგი" – მემეტე მოყმე და ზარი და დროშაც გაქრა, როგორც „სამძივარა ყელღილიანის ყელსაბამი"...

როგორც ჩემს წინარე ესეეში ვწერდი: დროშა, ქალური ბუნების მატარებელია – იგი მთლიანად ალკაზმულია ქალის სამკაულით, ერთი მოჟრიალე „საყურით" (ზანზალით) და ზედ აბმული ფერადი, ქალის „ქალაღიებით" (ნესტანისებური ლამაზი რიდეებით)... დროშა იგივე ქალია, რომელსაც საკრალური სივრცე ინახავს – იცავს ხატი და ხევისბერი, როგორც ხვთიურ სიწმინდეს – (მაგრამ თვით ქალისგან ხელშეუხებელია იგი).

როდესაც ბოლო ხევისბერი გადის საყმოს (თემის) საკრალური კარიდანგადიან საკრალურ-საკულტო ნივთნიც და რიტუალთა სხვა ატრიბუტნიც, ისინი კარგავენ ფერს და ფორმას და ვარდებიან (გადადიან) „ქვაბ-ავაზაკთა" ხელში – შეპყობილი „ქაჯთა" მიერ...

ისევე, როგორც ნატყვევნი ქალები იქცევიან იძულებით მეძავებად მოძალადე „კენტავრების" მიერ და ბარდებიან პირუტყვთა ნებას, ასევეა დაუცველია სიწმინდეც.. – ეს საკმაოდ მტკივნეული და ტრაგიკული მოვლენაა ჟამთა გასაყარზე, ერის ცნობიერების რღვევის (შეცვლის) პროცესში.

* * *

**ჩვენ, სამწუხაროდ, აღმოვჩნდით ისეთ სატანურ დროში და ვითარებაში, როდესაც „ხელ-ფეხ-შეკრულ მიცვალებულებს სახურავზე ასვლა შეუძლიათ", თუმცა მიცვალებულები არ არიან მთვარეული, რომ სახურავებზე თავისით იარონ! მე აქაც ათენგენის ჟამს მქონდა იმისი შეგრძნება, რომ სახურავიდან (მაღლიდან) (გაკოჭილი) მიცვალებულები გვიყურებდნენ! აქედან: „ათენგენის" კარიდან („ჭრილიდან") უფრო კარგად გამოჩნდა ეს „მსხვერპლ შეწირულთა დაწყევლილი" დრო, რომელსაც საუკუნის ვანდალები მართავენ.**

ახლა თურმე მიცვალებულებიც მღერიან, ცოცხალ-მკვდრებიც – ყველანი ერთ ხმაზე: ბეგაშვილები, წკრიალაშვილები, ბადურაშვილები, დუტა და სხვანი, ანუ ჩამოყვანილ შავკანიანებსაც და ცოცხლებსაც მიცვალებულებზე ამღერებენ?! ერი მჩხავანა ტურებად იქცა საკუთარ მიცვალებულებზე – ეს ჩვენ დროში ჩამომდგარი „სხვადროთა" სიმბიოზი და ბედის დამცინავი ირონიაა, ეს „პედოფილთა" და სატანისტთა ლიტურგიაა რასაზე, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი" დაწერა, შექმნა უძველესი ანბანი და ცივილიზაცია...



... ანდრეზშიც გამოდიან „მიცვალებულები" საფლავიდან, ლაზარეც გამოდის... მაგრამ მათ არ უმღერიათ და უროკიათ: არც ეკლესიასტე და ეზეკიელი მღერიან და იცინიან მიცვალებულთა ძვლებზე – ამას მხოლოდ ესენი აკეთებენ და საკუთარი უბედურების სამარცხვინო პარაკლისებს იხდიან...

როგორი დროა ეს? როგორი მანერით დადიან ქალები, კაცები, როგორ როკავენ, შედიან და გადიან ერთმანეთში, როგორ გამოდიან ჯეობარებიდან საკუთარი წინაპრების მიწაზე წიოკით, სრულიად უცხოა მათი „მე", მათი „ტო" – ნიშების წინაშე! მათ არ იციან საღვთო ნიშებთან სანთელი როგორ აანთონ, რომელი მუხლი მოიყარონ, ზოგნი პირჯვარს მარცხენა ხელით იწერენ?!!!



* * *

ახლა აქ „ხატის კრივში" დროც ისეთივე საშიში და ხიფათის შემცველია (დაუცველია), როგორც ხატის გარეთ: სახლის სახურავზე – (ჭექაქუხილის დროს)!...

უწინ „კრივი" იცავდა შიგ შემდგარს –„შეხვეწებულს", იფარავდა ნებისმიერი მდევრისა და მარბიელისაგან... ახალ დროთა მისტერიას მოსდევს მოვლენა, რომელიც რადიკალურად ცვლის გარემოს და ხატის რიტუალზეც ერთდროულად შედიან „ზომბები", სნობები, (?) „ხლისტები", მოთვალთვალე „ქვაბ-ავაზაკნი"... მათთვის სრულიად „უცხოა" სამშობლო და რიტუალური ჰიმნები: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღესა დღესინდელსა, დიდება დიდ კვირიკესა (ღვთის კარზე მოკარვესა", მათთვის უცხოა ქალუნდაურისა და ხოგაის მინდის ლექსი, ან ვეფხთან მეომარი მოყმის ამბავი... და ბარძიმი, რომელიც გუდანის ხევისბერს ეპყრა – მკადრეს ხელით!

* * *

როდესაც „პატრიარქის დროზე" ვწერდი: კიდევ უნდა გავიმეორო, რომ ეს დრო დადგა: ფხოვის თემიდან გავიდა ანდრეზთა და ხევისბერთა საკრალური დრო, დასრულდა ერთი ეპოქა და დადგა ახალი; სრულიად უცნობი საუკუნე! ეს საყმოს (ზოგადად, ერის) ტრაგიკული სურათია და მე ვხედავ ამ დროს საკუთარ „მეში", და არაოდენ საყმოს სივრცეზე...

... აქ XXI საუკუნეში ფხოვის თემში დაუყოვნებლად უნდა შევიდნენ საეკლესიო მამები, ბერ-მონაზვნები და მათ გააგრძელონ რიტუალები ხევსურთა უძველეს სალოცავებში, ხოლო საკრალურ ცენტრად უნდა იქცეს (გამოცხადდეს), „ხმალას" უძველეს ნატაძრალზე აღდგენილი მონასტერი – მირონმდინარე ხეებით!... და შურის ციხით – რომელიც ანდრეზული ინფორმაციით, აქ იდგა უნდა შევიდეს ხმალას საეკლესიო მუზეუმში, სრულიად ხევსურეთის სალოცავების განძი, რაც „ქვაბ-ავაზაკთ" გადაურჩა...

... შესაქმნელია სრულიად „ახალი დრო" – ახალ ქცევათა და თვისებათა თანხლებით... ანუ ახლებურ განლაგება ფიგურათა ახალ საჭადრაკო დაფაზე, საიდანაც ამოვარდნილია ერთი „კვადრატი", ანუ გენეტიური ცნობიერების კოდი!... ვიმეორებ: პატრიარქის განჩინებით და ღვთის ნებით, ხევსურეთის სალოცავები უსწრაფესად უნდა გამოცხადდეს „საეკლესიო" სალოცავებად – ეს იქნება მოულოდნელი, მაგრამ დიადი მოვლენა! ყველა ხატის მამული (ხოდაბუნი) ხევსურეთის ყველა თემში უნდა იქცეს საეკლესიო „მამულებად" – რადგანაც ეს ყოველივე სალოცავი და სოფლის ხოდაბუნები მართლმადიდებელ ქრისტიანი წმიდანთა წილხვედრია!... დაფუძნებულია „უჟამო ჟამში" დასაბამითგან და მოსული ამ საუკუნემდე... დრო, რომელიც დგას ანდრეზული დროის და სივრცის რელიეფზე, მან უნდა შექმნას ერის დაცვის საკრალურ-მითოსური მოდელი უძველეს ცოდნათა მეოხებით, მან უნდა აღადგინოს ძველი მთვარის სამეურნეო კალენდარი, და განაახლოს უხორცო მეომართა მისტერია „ქაჯთა მოვლენის ჟამს", ისევე როგორც, საკრალურ ცოდნაშია დაფარული, აი ასეთია შუალედური დრო ჩემი წერილიდან წერილამდე, ანუ IX – ესსეიმდე!

* * *

ეს დროც გარდვიდა და წარსულად იქცა, ჩემს მიერ „წაკითხული" მოვლენაც ანდრეზთა შორის ცარიელ სივრცეში ჩადგა და წარსულად იქცა. მე ვწერდი, რომ ყოველი დღე დილიდან-საღამომდე წარსულად იქცევა, მაგრამ ყოველი მოვლენა (სამწუხაროდ) ვერ იქცევა მითად (ანდრეზად) რადგან ცარიელ უსახურ დროში მითი არ იშვება! მითს მოვლენანი შობენ...

**სხვა დროში სხვა ტიპის სხვა „ათენგენა" დადგება. ან დადგება, ან არა. მაგრამ ჩვენი დრო ვერ იქცევა მითად, მომავალ თაობებს არ ექნება „ანდრეზი" ჩვენ შესახებ, რადგან ჩვენ ვერ ვქმნით ანდრეზულ დროს და მოვლენებს და ოზონას პარკში ჩარჩენილი ჭუპრებივით ვიხრჩობით...**

ჩვენ გვიკვირს, როდესაც: ჩვენი დროის „ჰომო ნოვუსებს ანუ გუგულის კვერცხიდან გამოჩეკილ თაობებს არ ესმის ლიტერატურული ტექსტე-

ბის, „გვრიანების“ „ანდრეზული ლექსების“, „ნატირლების“, რიტუალთა არსი... ვერ ეცოდინებათ, რადგანაც „უანდრეზო“, წაშლილ დროში იშვნენ, საიდანაც წარსული არ ჩანს... ერი (ხალხი), რომელიც დარჩება „ანდრეზული“ დროისა და სივრცის გარეთ კულტურას (ან ცხოვრებას) ვერ შექმნის, ვერ შექმნის სულიერი განახლების მოდელს.

წარსული ცოცხალი რასის ცნობიერებაში განუწყვეტლად უნდა იდგეს და მაშინ იგი რეალურად (გნებავთ, მირაჟული სიცხადით, დაინახავს მომავალს: როგორც იოანე, ან როგორც ხოგაის მინდი!

* * *

მე წინა ესეებში ვწერდი, რომ საკრალური დროის სივრცეში დგას მეომართა, მკურნალთა და მელექსეთა კასტა. ისევე, როგორც რჯულის კაცთა და ქადაგთა ინსტიტუტი, მათი საქმე და სახელი ანდრეზში ჩარჩა, რადგანაც ანდრეზულ დროში ანდრეზულმა სიტყვამ შეინახა...

მკურნალნი, უხორცო მეომარნი (სარანგნი — კაი ყმანი) და ანდრეზული ლექსის შემქმნელნი, გადაჯაჭვულია (მიბმული) ერთმანეთზე!...

მეომარი დასტაქრის და მელექსის გარეშე ფონს ვერ გადის: ერთი სიცოცხლეს უნახავს, მეორე — სახელს!...

მეომრის სახელს, მის ზნეობრივ სიმყარეს და ამაღლებას სჭირდება ლექსი და სიტყვა! ანუ „მაქებარი“, რომელიც „მიემთხვევა“ ამა თუ იმ დროში გამოჩენილ (შობილ) მეომარს, ენიგმურ პერსონაჟს, გნებავთ, ნათელმხილველს...

ყოველ დროს თავისი „მეჟამნე“ — ჟამთა აღმწერელი სჭირდება და გამოუჩენს კიდევაც უფალი — რომელიც „მიემთხვევა“ და „მიუდგება“, მერე „მეჟამნე“ და ჟამნი ერთად გადიან: ხოლო აღბეჭდილი მოვლენები, გმირთა სახელები და საქველო საქმენი უკვდავ ტექსტებში მატერაცებში ან პირამიდებისა და კატაკომბების კედლებზე რჩებიან, ანდაც კოშკების და ნიშების რიტუალურ ქვებს ინახავენ, როგორც „მზიანი ღამის“ ანაბეჭდებს. ჯვრებს და ბორჯღალებს. — ესენი ჩვენი „ცის და მიწის“ სამზეო ნიშნებია, ხოლო „ახალი ცა და მიწა რომელი მზით და მთვარით განათდება, ჩვენ ეს არ ვიცით. მისი დანახვა მხოლოდ იესო ქრისტეს შეუძლია და კიდევ „აპოკალიფსის“.

* * *

რას გვეუბნება ხოგაის მინდის მითი, მისი ანდრეზული ცოდნა? როგორ უნდა წავიკითხოთ ჩვენ იგი ზოგადად, და კერძო, ცალკეულ ასპექტებში: ხოგაის მინდია კაცობრულ სამყაროში უნიკალური (იშვიათი) მოვლენაა, ამიტომაც „მიემთხვა მას“ ასეთივე გენიალური მაქებარნი ვაჟა-ფშაველას სახით. (ეს ცალკე თემაა), მაგრამ ხოგაის მინდის მინდა შევეხო კერძო ასპექტში. მისი სამკურნალო სიბრძნის საიდუმლო გაცხადდა — ერთი მისტიური მკურნალის — შუბანის და კარატის ჯვარის საყმოში მდგარი ხევსურის ცნობიერებაში...

„შუბანის გველის“ ანდრეზის, ანუ ნოეს კიდობნის გველის საიდუმლო ცოდნაც გაცხადდა (გაიხსნა) იმავე მკურნალის გენურ ინტელექტში... მის მეტაფიზიკურ და პრაგმატულ პორტრეტში, „მეში“, როგორ მკურნალის ფენომენში... ეს მგელიკა ლიქოკელი გახლავთ! — XIX-XX საუკუნის მიჯნაზე მდგარი ანდრეზული მკურნალი...

... „დავინახე რომ ფეხზე იდგა 94 წლის მოხუცი და ავადმყოფს სრულიად მარტო უკეთებდა თავის ტრეპანაციას, იგი საქმეს ნახევარ საათში მორჩა!“

—„მან ავადმყოფს „მჭამელიანი“ 4-ნეკნი 15 წუთში ამოაჭრა“...

—„მგელიკა ნატყვიარს გასაოცრად მკურნალობს: ნატყვიარში გაჰყავს გასანთლული, გათაფლული, წვივის ტვინით გაპოხილი ძუის კონა... და თანდათან სათითაოდ აძრობს“... ამას იმ დროის ცნობილი ექიმი და ეთნოლოგი თევდორე იგონებს...



აქ კიდევ ერთხელ მიუბრუნდეთ ხოგაის მინდის, ვინაიდან, ვგონებ, რომ ყოველი საიდუმლო აქ არის დამარხული, ისევე როგორც, „შუბანის გველის“ მითში, ეს ცოდნა ანათებს მთლიანი თემის ცნობიერებას...

* * *

ქაჯებთან ტყვეობაში მყოფ ხოგაის მინდის გუგულებმა „თეთრი გველის“ ხორცი მოუხარშეს... გუგულებს თეთრი, კრაველიანი გველის ფარა ჰყავდა... გველნაჭამი მინდია იმდენად გამსუბუქდა და „გაუცხოვდა“, რომ ჩრდილიც დაჰკარგა(!!)

ერთის მხრივ, იგი იქცა ბრძენ და ქარიზმულ მეომრად, რომელიც მტრებისთვის ხელშეუვლები გახდა.

ხოლო, მეორე მხრივ, უბრო მკურნალად იქცა: მას ჩაესმოდა მცენარეთა ხმა: „მე ვარო ამის წამალი...“

* * *

ქაჯავეთში მყოფმა მინდიამ თავის მოკვლა განიზრახა: იგი უმძიმეს სტრესულ სიტუაციაში აღმოჩნდა — ქაჯები გველის ხორცს ხარშავდნენ და მიირთმევდნენ... როდესაც მათ გველი დაკლეს, მიწაზე სისხლის წვეთი დაეცა!

მინდიამ ჩაიფიქრა (განიზრახა) მისი ალოკვა (!!) და თავის მოკვლა!

ქაჯის ქალი მიუხვდა განზრახვას და სისხლის წვეთს ფეხი დაადგა...

ქაჯებს მაინც დარჩა ერთი სისხლის წვეთი — მინდიამ მოასწრო მისი ალოკვა...

მინდია საშინლად ავად გახდა!... შემდგომ კი მან დაინახა მომავალი, ჯერ არ დამდგარი დრო და ადამიანთა ბედისწერა! ეს ცოდნა მას გარკვეულ ტანჯვად და ტრაგედიად ექცა! ასევე კაცობრიობის მომავალი დაინახა იოანემ პატმოსის ჭალაში — და კიდევ ერთმა ქადაგმა ფხოვის საყმოში.

ადამიანთა ბედისწერის ცოდნა და წინასწარ შეცნობა უფლისმიერი ურთულესი მისიაა დაკისრებული მოკვდავისთვის (ხორციელისთვის): „ყველაფრის ცოდნით“ ტანჯვა და მწუხარება:

მინდი ყველაფერს ხედავდა, გრძნობდა და მკურნალობდა... იგი ცვლიდა გარკვეულ მოვლენებს, მაგრამ ვერ ცვლიდა ადამიანთა ცნობიერებას! — ეს იყო მისი ტრაგედია, რომელიც ცალკე წერილის თემაა...

* * *

გველნაჭამ მინდის მაღალი სიცხე მისცა, მერე იღლიები გაებერა (გაუსივდა) გუგულებმა იგი ჯერ ერთ ლოგინზე დააწვინეს, მერე მეორეზე, მერე მესამეზე გადააწვინეს! მის გამოჯამრთელებას „სამი ლოგინის“ გამოცვლა დასჭირდა!!! მესამე ლოგინის გამოცვლის შემდეგ „გუგულებმა“ გასიებული იღლიები გაუჭრეს: იქიდან ორი ტომარა „მკბენარი“ გადმოვიდა: მინდია ქარივით სწრაფი და მსუბუქი გახდა...

* * *

ჩვენ ამ სურათში ვხედავთ რამდენიმე ქარიზმულ, საკრალურ მოვლენას და მინიშნებას საყმოსთვის (თემისთვის), რომელშიც ეს მითი (ანდრეზი) ღვივის:

1. საკრალური სიბრძნე: „გარკვეული სტრესული მდგომარეობის (განცდის) შემდეგ მოდის: „ცდის ობიექტი“ — ადამიანი უფალს შეჰყავს „სოლარულ კვრივში“ — ანუ „უფლის ნაკრძალში“, სადაც ის განიცდის „მეტამორფოზას — შიშის მერე! (გადის სტრესულ გზას) — და იქცევა ნათელმხილველად, მკურნალად, ქადაგად..

2. გველი არის იდუმალი (ქაჯური) ცოდნის მისტიური სიმბოლო და ამავე დროს მკურნალიც, ანუ მისი სისხლი და ხორცი კი არ კლავს ადამიანს, არამედ კურნავს — ამავე დროს გველის სისხლიდან (ზოგადად, სისხლიდან) იშვება სიბრძნე!

3. სამკურნალოა თეთრი გველი (და წითელიც) რომელიც სხვაგან, სხვა შემთხვევაში ჩნდება.

4. აუცილებელია მძიმე ავადმყოფისთვის ლოგინის სამჯერ გამოცვლა! — სამი საკრალური რიცხვია. ეშმაკიც „დასამების“ მერე კვდება. ავადმყოფობაც სამი ცდის მერე გადის.

5. როდესაც ადამიანი კარგავს ხორციელ სიმძიმეს, კარგავს ჩრდილსაც, (რომელიც სხეულის თვისებაა) და ზეხორციელ, სულიერ, ბუნებას იძენს... სწორედ ამიტომაც მინდი უპირისპირდება სულიერ, ცოცხალ არსებათა კვლას და ჭამას! აგრეთვე ხოგაის მინდი მიირთმევს მხოლოდ მზისცვარს, ზისცვარს, ანუ რძეს! იგი მიიჩნევს რომ რძეში სისხლი და ხორცი არ ურევია და იგი არის წმიდა (საკრალური) საუფლო სასმელი (საკვები).

დედა მას „რძიან ჯამს“ უდგამს!

ცოლი და შვილები ხორცს სთხოვენ!

და, რაც მთავარია, სულთა სამარხო ტაბლაზე, მხოლოდ რძიანი ჯამები იდგმება! მზე-რძის ცვარი — მარადიული დროის წმიდა ნექტარია..

* * *

ახლა შევხედოთ, როგორ ჩადგა (გაცხადდა) ეს მითისეული ანდრეზული ცოდნა (სიმბოლიკა) საყმოს (თემის) რეალურ ცხოვრებაში! და მათი მკურნალობის წესში.

* * *

მგელიკა ლიქოკელი! ეს ქარიზმატული, მისტიურ-დოსტაქარი (მკურნალი) თეთრი და წითელი გველით მკურნალობს. მისი წარმოდგენით, ასეთი გველის სხეული მსხვრევადია და ძნელად მოსახელთებელი... და თუ ასეთი გველის „ნამსხვრევები“ (ნატეხები) დაგრჩა, გარეთ მას მაშინვე ფრინველები მოკრეფენ! ე.ი. ფრინველებმა იციან მისი თვისება.

— მგელიკას თქმით — მძორიჭამია ძერები და სვავები მკურნალობენ, (იწმინდებიან) გველით!!!

იგი მკურნალობდა გველის ტყავის („ქერქის“) ნაფშვენითაც! მიიჩნევდა, რომ ეს უებარი წამალი იყო მძიმე ჭრილობების დროს, და სხვა შემთხვევებშიც...

მგელიკა იცნობდა „გველის ბალახსაც“, რომელსაც თვითონ „ცელით დაჭრილი“ გველი „ხმარობდა“ სამკურნალოდ! — ასეთია გველისმჭამელისეული ინფორმაცია.

მე არ ვიცი, მკურნალობდა თუ არა მგელიკა ლიქოკელი გველის შხამით და „სისხლით“, მაგრამ ზოგადად, სისხლს უებარ წამლად მიიჩნევდა. ხმელ, დაფშვნილ სისხლს იგი არტერიული სისხლისდენის შესაჩერებლად იყენებდა: დასუსტებულს, სისხლდაკარგულს „ხარის სისხლს“ ასმევდა.

იგი ხმარობდა ყორნის ნაღველას — და მიიჩნევდა უებრ წამლად თვალის ყველანაირი დაავადებისთვის, ყორნის ნაღველი გაზავებული უნდა ყოფილიყო ქალის რძეში, რომელსაც პირველი შვილი ქალი ჰყავდა ნაშობი — ესეც მისტიური ცოდნის ნაწილია...

მგელიკა ლიქოკელი — ისევე როგორც მინდის ანდრეზშია — რამდენიმე ლოგინს უცვლიდა ავადმყოფს და შიგ ახალ მოთიბულ (თბილ) ბალახს უფენდა (ზოგჯერ მთლიანად ბალახში ფუთავდა!), მან იცოდა, რომ გუგულებმა მესამე ლოგინში გადაწვენით (გამოცვლით) განკურნეს ხოგაის მინდია...



მგელიკა მძიმე ავადმყოფს წყალს არ ასმევდა: მიაყვანინებდა დიაცს, რომელსაც ძუძუში რძე ჰქონდა და „ბაგეზე აწველიდა“ — ზისცვარს (მზის ცვარს)!!!

მას მოყვითალო თბილი სითხე შემოჰქონდა, მძიმე ჭრილობის მოსაბანად, იგი ამ წამლის საიდუმლოს (რომელსაც „გარბოლის წყალს“ უწოდებდა) არავის უმხელდა! ზოგიერთი მკვლევარი თვლის რომ ეს იყო მცენარეთა ნაზავი — მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ეს იყო შარდი!— იგი იყენებდა საკუთარ შარდს, რომელიც იყო „გარბილის თბილი წყალი!“ — და ბუნებრივია საიდუმლოდ ინახავდა, რადგანაც ხევსური თავზე შარდის გადასხმას ვერც მგელიკას მოუთმენდა!

მგელიკა ლიქოკელის მკურნალობის მთავარი „ლოგო“ იყო: „ქვა არის ქვის“ წამალი, „სისხლი-სისხლის წამალი“, „გველი-გველის ნაკბენის“ მკურნალი“, თუმცა გველის ნაკბენს აბედით უწვავდა!

ეს მეთოდი ძალიან უახლოვდება უძველეს ჰომეოპატთა მკურნალობას: „მსგავსი-მსგავსით“, „დიდი-უმცირესით!“... (გავიხსენოთ ქადაგის ტექსტი: „ჩამოდგება დიდში მცირე და მცირეში დიდი“, ანდაც: „დიდსა ქვაბში არ ჩავიდა, პატარაში ლიკლიკ იყო“ —) ეს პარადოქსული „ფორმულები“ ხორციელდებოდა ფხოვურ მკურნალთა რეალურ ცხოვრებაში...

* * *

სისხლი არის, როგორც მკურნალი, ასევე ნივთთა და საგანთა გამაწმინდებელი ამოუცნობი მატერია...

ხარის სისხლით წმიდდებოდნენ სალოცავთა ქვები და ნიშები! ხარის სისხლით „გაინათლდებოდნენ“ ჯვარის კალთას მიბარებული ყრმები! (ასეთივე რიტუალს ასრულებდნენ ჩაძირული ატლანტიდის ქურუმები“.).

„ოთხრქა-ოთხყურა“ საკრალური ცხვრის სისხლმა ამოიყვანა აბუდელაურის ტბაში ჩარჩენილი — დევებთან მეომარი იახსარი! — სისხლმა გაწმიდა დევის სისხლით შედედებული „სიმური“.

(გაწმიდების) რიტუალი ხახმატის ჯვარში — სულის ხუცესის მეოხებით აღესრულებოდა...

... ხოლო, როდესაც მოკლულის სისხლი „აფუვდებოდა“ მაშინ უნდა დაწყებულიყო მკვლელზე „შურისძიების“ „აპოკალიფსი“, „სისხლის ფუილი“ — საკრალური მოვლენაა — მოქმედების დაწყების მაუწყებელი!

ე.ი. სისხლი მთავარი ფენომენი იყო თემის ცნობიერებაში და ცოცხალი საყმოს არსებობაში: იგი მკურნალობდა, „ფუოდა“, „ყიოდა“ და იბრძოდა... და „სისხლი იდგა სისხლის წილ“! კერძო ადამიანთა და სახელმწიფოთა შორისაც...

თუმცა: მკურნალთა აზრით, ავადმყოფის სისხლი მოკლებულია სიწმინდეს, რადგანაც მასში ურევია ჩირქი და ბალღამი, ამდენად მკურნალობის მერე მკურნალობის და ავადმყოფის განათვლა-გაწმიდების პროცედურა ტარდებოდა. ეს იყო რიტუალი.

ხევსური მკურნალი „სანათლავს“ სწირავდა სალოცავს და ევედრებოდა, რომ ხელი მოემართა მისთვის და მისი ავადმყოფისთვისაც. მიეცა გადარჩენის ძალა ხოლო მკურნალობის დასრულების მერე მკურნალი „ხელზე ასასხმელს“ ამზადებდა. ეს იყო სათნოებადაკრული ქადა, რომელსაც სახლს შემოატარებდა.

* * *

ხოგაის მინდიმ ერთ მომენტში ჩრდილი დაკარგა — ეს გაუცხოვების და ხორცთან გამიჯვნის ნიშანი იყო — აგრეთვე მას ჰქონდა ქაჯის ქალის მიერ ობობას ქსელასებრ წაღმა-უკუღმა ნაქსოვი სამოსელი, რომელიც საფარველს სდებდა მას!“

თუ ჩავიხედავთ „ვეფხისტყაოსანში“, ქაჯებზე ამ ტიპის იდუმალი ინფორმაციაც არსებობს: „დავარ იყო და მეფისა ქვრივი ქაჯეთს გათხოვილი“ და გამოთხოვილი და იგი ფლობდა იდუმალ სიბრძნეს! „ქაჯთ“ ჰქონდათ იდუმალი ცოდნა და ომის ხელოვნება!

ფატმანის გრძნეული მონა მოისხამს ისეთივე „მოლს“ (როგორც ხოგაის მინდის მოჰყვა „ქაჯავეთიდან“) და „საფარველ დადებული“ შეაღწევს ქაჯთა ციხე-სიმაგრეში...

მსგავსი ანდრეზული დრო „ვეფხისტყაოსანსა“ და ფხოვის საყმოში სხვადასხვა ეპოქებში დგება — ხოგაის მინდის მითი უფრო შორეულია. იგივე მოვლენა არეკლილია (გაჟონილია) „ვეფხისტყაოსანში“, რაც მიანიშნებს ანდრეზული (მითოსური) ცოდნის გაუმიჯნაობაზე, რომელიც ერის მთლიან სივრცეზე „მდგომარეობს“ და მიანიშნებს რომელიმე საკრალურ მოვლენაზე! ქაჯეთი“ მეტისმეტად ხილული „მატერიაა“ ქართველთა ცნობიერებისთვის, ოღონდაც აქამომდე შეუსწავლელი და ამოუცნობი!

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

***რედაქციისგან:*** *ინტერვიუმ, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, შეიძლება, ბევრი აღაშფოთოს და გააღიზიანოს. არ არის გამორიცხული, ზოგიერთმა ის მკრეხელობად და ზოგადად ქრისტიანული რელიგიის შეურაცხყოფადაც მიიღოს, თუმცა ჩვენი რესპოდენტი ბატონი* ***არჩილ ღუდუშაური*** *კატეგორიულად აცხადებს: „მე პატივს ვცემ ყველა რელიგიას და არავითარ შემთხვევაში არ გამოვალ არცერთი მათგანის წინააღმდეგ. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ჩემი პირველქმნილი მეჩაგრება და მეკარგება. შეიძლება უამრავი ლაფი მესროლონ და აგრესიულმა ქრისტიანებმა ჩაქოლვაც კი მომინდომონ, მაგრამ რა ვქნა, საქართველოს ისტორიის ამდენ გაყალბებასთან, უძველესი ცივილიზაციის სრულ იგნორირებასთან შეგუება მიჭირს.*

*მე, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდე ქართველი ვარ და ჩემი ქართული ღმერთი მინდა დავიბრუნო, ქართველებისგან დავიწყებული და მიტოვებული ღმერთი.*

*ეს არის და ეს! სხვა არავითარი ბოროტი ზრახვა არ მიდევს გულში.“*

*მოკლედ რომ ვთქვათ, „საერთო გაზეთს“ დღეს უჩვეულო სტუმარი ჰყავს — საქართველოზე გულწრფელად შეყვარებული ქართველი კაცი, მაგრამ არაქრისტიანი, რომელიც თავისი უძველესი ღმერთის და თავისი უძველესი ფესვების მოძიებას ცდილობს.*

*რაც შეეხება რედაქციის პოზიციას, ზედმეტად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ რედაქცია ნამდვილად არ ეთანხმება ბატონი არჩილ ღუდუშაურის მოსაზრებათა უმრავლესობას, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ განსხვავებული პოზიციის მქონე ამ ქართველ კაცს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება არ მივცეთ.*

*აქვე აღვნიშნავთ, რომ არჩილ ღუდუშაური ქვაზე ჩუქურთმის ოსტატია. ის წლების განმავლობაში მუშაობდა საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ეკლესია-ტაძრების რესტავრაციაზე და, ცხადია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სასულიერო პირებთანაც, თუმცა ეს ურთიერთობა დავისა და დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა.*

*ეს დისკუსია ალბათ „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე გადმოინაცვლებს და იმედი გვაქვს, რომ იგი შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის ფონზე წარიმართება.*

# arCil RuduSauri: me qarTveli var da damibruneT Cemi qarTuli RmerTi!



— დავიწყოთ იმით, რომ სალოცავი ქალაქები, როგორიცაა: უფლისციხე, ვარძია, მცხეთა... — ქართველთა ღმერთის სალოცავები, ჩვენსავე ღმერთს უნდა დაუბრუნდეს. მაგალითად, უფლისციხეში ქართველთა ღმერთის ტაძარი დაინგრა და გადაკეთდა ქრისტიანულად, ისევე, როგორც მცხეთაში. სვეტიცხოველი კი არ აშენებულა, არამედ გადაკეთდა. სვეტიცხოველს აქვს სამი კედელი, შიდა კედელი არის ქართველთა ღმერთის სალოცავი, რომელიც გარედან შეფუთეს ქრისტიანული კედლით. ეს იმდენად უხეიროდაა გაკეთებული, მითუმეტეს მისთვის, ვინც იცნობს ბერძნულ კულტურას, მასზე საუბარიც კი სამარცხვინოა. თვით ტაძარი ბერძნული არქიტექტურული მიმდინარეობის შენობაა.

ჩვენ ვართ დაყოფილი „ღვთის შვილებად“. დაწყებული დვაბზუდან (ტუაფსე) აფხაზური, სვანური, კოლხეთი, ხევი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, კახეთი და ა. შ — ყველანი. ჩვენ ვლოცულობდით სამყაროს შემქმნელზე, ვთქვათ, ლაშარით, კოპალათი და ა.შ

— ღმერთი, ანუ სამყაროს შემქმნელი ერთია და ქართველები, ისევე როგორც სხვა ერები, ცალკე ვლოცულობდით, მაგრამ სხვადასხვა სახელის ღმერთზე, ქრისტიანობის წინარე დროზე ვამბობ, ერთი საერთო სახელის ღმერთზე ხომ არაა საუბარი...

— ერთი ღმერთი იყო, მერე დაგვავიწყეს. ჩამონათვალი რომ გავაკეთოთ, ვთქვათ, წმ. პანტელეიმონის ტაძარი, სერაფიმე საროველის, ნეველის — იგივეა, ცალკეული სალოცავები და წმინდანებია, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ღმერთის ქვეშ, ასე ვიყავით ჩვენც, ჩვენი სამყაროს შემქმნელი გვყავდა, ქართველთა ღმერთი.

**— მოდით, ასე გკითხავთ, საქართველო მართლმადიდებელი ქრისტიანების ქვეყანაა საქართველოს მთიანეთში მკვიდრად შემონახული წარმართული ხატ-ღმერთითა და საწესო რიტუალებით, თუმცა ისინიც ქრისტიანები არიან, თქვენ რას ამბობთ, ქრისტიანობა რა არის, თავსმოხვეული რელიგია?**

— ქრისტიანობა არის მესამეხარისხოვანი ღმერთის შვილზე ლოცვა. თვით ებრაელები სამყაროს შემქმნელზე ლოცულობენ, ჩვენ კი, ებრაელების მესამეხარისხოვან ღმერთზე. ბერძნებმა დაწერეს ებრაელებზე და ბერძნებს აქვთ ყველანაირი ნიშანი.

სკულპტურა — მე ქვაზე ვმუშაობ, 25 წელია ამ საქმეს ვემსახურები, შესწავლილი მაქვს ღრმად, — ქართველებს არცერთი სკულპტურა არ გვაქვს გათლილი; მოზაიკა — მოზაიკა ქართველებს არ გვაქვს დატეხილი (მოზაიკა ჰქვია ქვის პატარა ზომებად დაკუბიკებას); არცერთ



ჩვენს წინაპარს ქვა არ დაუკუბიკებია, მითუმეტეს სანტიმეტრიანი; სახარატო საქმე — ბერძნებს, 20 საუკუნის წინ ოცტონიანი ქვები აქვთ დატრიალებული. 21-ე საუკუნეა და ქართველებს ქვა არ დაგვიტრიალებია; მერე მოდის ფილოსოფიური მიმდინარეობები, მაგრამ ამ ყველაფრის თავი და თავი არის თეატრი. რასაც ბერძნული ბიბლია ჰქვია, მთლიანად თეატრის დამსახურებაა. თეატრი რომ არ ჰქონოდათ ბერძნებს, ბიბლია არ დაიწერებოდა.

**— ბერძნული თეატრი რა კავშირშია ბიბლიასთან და ქრისტესთან...**

— ერთი სპექტაკლი რომ დავდგათ, ერთ წარმოდგენაში ხომ შეგვიძლია ორი სპექტაკლი გავაერთიანოთ? — „წარმოდგენა“-ბიბლიაში გაერთიანებულია 77 სპექტაკლი (77 წიგნისგან შედგება ბიბლია) — ეს გააკეთეს ბერძნებმა

**— ე.ი რას ამბობთ, რომ ჩვენ ვლოცულობთ ქართული ენით, ოღონდ სინამდვილეში ბერძნულად, ებრაელ მესამეხარისხოვან ღმერთზე?**

— დიახ. ძირითადი ხაზი ბერძნულ-რომაულია, მაგრამ მასში მონაწილეობა მცირედით ქართველებსაც აქვთ მიღებული, სომხებსაც, ასურელებსაც და სხვებსაც. საქმე იმაშია, რომ ბიბლიაში ქართული ამბებიცაა შესული. მაგალითად, სოდომისა და გომორის ამბავი ქართულია.

**— რაო?! კარგით რა... საიდან მოიტანეთ ეს უცნაურობა...**

— დიახ, მერე გადააკეთეს ტრაგედიად კეთილად დამთავრებული ამბავი, თორემ ეს არის დაბა გერგეთისა და სტეფანწმინდის ამბავი, — ასეთი გადაკეთების შემთხვევებია არაერთია.

ზეპირი გადმოცემის მიხედვით, თვით სტეფანე იყო იქ მაცხოვრებელი ქართველი წმინდანი ქრისტემდე. ორ მთას შორის მოქცეულ ხსენებულ ორ სოფელს შორის მდინარე მიედინება, თერგაული. სტეფანემ სიზმარში ნახა, რომ ორივე დაბა ორი მხრიდან უნდა დამეწყრილიყო. სტეფანემ ხალხი გადაარჩინა, გამოიყვანა იქიდან. ორი სოფლის ერთდროულად მოსპობას ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ჩვენ დამწერლობა კი გვქონდა და ვწერდით ჩვ. წ. აღ-მდე, მაგრამ არ გვქონდა ქვაზე დამწერლობა, ვწერდით ტყავზე და ცვილზე, სანთლის დაფებზე, მერე დავიწყეთ ქვაზე წერა. ამ მიმართულებით ბერძნებს ჩამოვრჩებით მინიმუმ 25 საუკუნით. ქრისტიანობის გავრცელებისა და ზეწოლის შემდეგ, როგორც სხვა ბევრი რამ, ესეც მიითვისეს და ჩაწერეს ბიბლიაში, მაგრამ სიუჟეტი გადაასხვაფერეს.

ქრისტიანული მითების შესახებ — მაგალითად, ლუარსაბ II არანაირად არ არის ქრისტიანული წმინდანი, მაგრამ მიითვისეს, რაც სომხური ზეწოლით მოხდა, ვინაიდან, უნდა გაწმინდანებულიყო სომეხი შუშანიკი.

**— რაღაც მაგრად გერევათ საუკუნეებში, ბატონო არჩილ!**

— არაფერი არ მერევა, სომეხი შუშანიკის გამო ქართველებმაც გააწმინდანეს ლუარსაბი, იმიტომ, რომ „შუშანიკის წამება“ დაწერილია XVII საუკუნეში და დაწერილია გეორქა სააკიანის დაზე, შუშანიკზე.

**— კარგით რა, რას ამბობთ?! V საუკუნე და კარის ხუცესი იაკობ ცურტაველი?**

— გასაგებია. ტაძარი, სადაც შუშანიკია დასაფლავებული, (მეტეხში) ხელახლა აგებულია XIII საუკუნეში და ახლანდელი საფლავის ქვა ახლად შეფუთულია. (შარდენის ცნობით, XVII საუკუნის II ნახევარში, მეტეხის ტაძარი მიტოვებული და ძლიერ დაზიანებული ყოფილა, რომელიც 1661 წელს, ვახტანგ V-ემ (შაჰნავაზი) აღადგინა, მაგრამ თოფისწამლის საწყობად აქცია — მ.ჭ) შიდა ქვა პირადად მაქვს ნანახი მაშინაც კი, როცა მეტეხის თეატრში დავდიოდი. ქვიშაქვით შესრულებული, გამოჭმული და ძალიან ჭუჭყიანი იყო სანთლის ნაღვენთებით თუ ნასუფრალით, ყველაფერი ზედ აჩნდა.. ახლა თეთრი მარმარილოთია შეფუთული, 90-იან წლებში შეფუთეს.



**— მახსოვს და ის ძველი საფლავის ქვა V საუკუნის იყო.**

— არა! არა! V საუკუნის როგორ იქნებოდა, გიორგი სააკაძის დაზეა საუბარი, კაცო! — მაგას ვამბობ, რომ ტყუილებს გვეძალავებიან. „შუშანიკის წამება“ დაწერა ოსეფამ, ავთანდილის შვილმა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში შესულია იოსებ თბილელის სახელით და ცნობილია, როგორც ლიტერატურული აფერისტი. ოსეფამ პაპას, გევორქა სააკიანს მიუძღვნა „დიდმოურავიანი“, პაპის დას კი, „შუშანიკის წამება“. კარის მოძღვარი იყო, ასე ვთქვათ, ოსეფაც და ჰქონდა ოცამდე ზედმეტი სახელი, ეს მხოლოდ ლიტერატურული, კიდევ რამდენი ჰქონდა?

ოსეფამ „ვეფხისტყაოსნის“ 167 სტროფიც მიითვისა მაშინ, როდესაც წამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციები, ვახტანგისეული, არჩილისეული და სხვა.

საქართველოში მისიით ჩამოვიდა კაპუცინი ბერი კასტელი და ასე ვთქვათ, მისი რედქტირებით დაიხატა გევორქას სურათი. ოსეფას სურათიც კასტელმა შემოგვინახა, რომლის სახითაც ახლაც გვიდგას შოთა რუსთაველის ძეგლი.

**— რას ამბობთ, ბატონო არჩილ, რა ოსეფა!**

— ასეა. ფილმი „ქეთო და კოტე“ რომ წამოსწიეს, მისი სიუჟეტი არის ასეთი, ორი არაქართველი (სომეხი) ქალი აკეთებს ჯადოს, რომ ქართველებმა მოიყვანონ სომეხი ცოლები, თან უნდა იძალაონ ერთმანეთში. არც ხანუმა იყო ქართველი და არც ქაბატო. („ხანუმა“ გადაკეთდა „ქეთო და კოტედ“)

**— უკვე ვხვდები, რომ უარყოფთ — ქეთო ხომ ქართველი იყო და თავადი ლევანიც, უბრალოდ, ქეთო დაბალი ფენიდან გახლდათ?**

— მასე იცის 90-მა პროცენტმა. საქმე მაგაშია, რომ ქეთო სომეხია, ანუ მამამისი მაკარიც და ძალადობენ ქართველებზე, — რატომ იჯერებთ ყველაფერს რაც უკუღმაა, რატომ გინდათ, რომ მაკარი ქართველი იყოს?

დავუბრუნდეთ წარსულს, — 17 წლის იყო ლუარსაბი, როდესაც ნოსტეში ჩასულს გევორქა სააკიანმა ლოგინში ჩაუწვინა თავისი და. 17 წლის ბიჭი, რა თქმა უნდა, ასე ვთქვათ, უარს არ იტყოდა „გოგოზე“, („გოგო“ და „ბიჭი“ — მოსამსახურე, დაბალი ფენა) მაგრამ დიდი ზეწოლის გამო იძულებული გახდა ცოლად მოეყვანა.

ქართველებს აზროვნება არ გვინდა, რახან ფილმი გადაიღეს „გიორგი სააკაძე“, უკვე დიდად გადაშალეს სიმართლე, უკვე აბსოლუტურად გააყალბეს ისტორია. სანამ პაატას „შეწირვის“ ამბავი იქნებოდა, 1625 წელს, ეს თქვენი გევორქა სააკიანი კახელებს ავღანეთში ასახლებდა. ახლაც არიან ავღანეთში სააკიანის (სხვათა მიერაც) გადასახლებული ქართველები, 500 000-ს აღწევს მათი რიცხვი. „ავღანელი ქართველები“ დღეს უკვე ისე გამართულად ვეღარ საუბრობენ ქართულად, ოთხი საუკუნე ცოტა არაა, მაგრამ იციან თავიანთი წარსული. (ამგვარი ლაპარაკის გამო ავღანეთში არ გამიშვეს)

**— მახსოვს, პოლკოვნიკი ეპიტაშვილი იხსენებდა ავღანელ ქართველებს....**

— მთავარი ის არის, რომ უცხო რელიგიის ზეწოლას შეეწირა ქართველი დედოფალი ქეთევან წამებული თავისი ორი შვილიშვილით და მთლიანად კახელები. ქეთევან წამებული არანაირად არ არის ქრისტიანი წმინდანი, ის არის ქართულად წმინდანი.

კახელების გადასახლებულ ადგილზე დასამკვიდრებლად ირანის სომეხმა ვაჭრებმა აბასს გადაუხადეს ყორჩი-ხანის ფული და ყორჩი-ხანივე წამოუძღვა თავის სომხებს კახეთში დასასახლებლად.

შაჰ აბასმა სომხურ ვაჭრულ გილდიას მისცა უმაღლესი სტატუსი ვაჭრობაში. საქმე იმაში გახლდათ, რომ იმდროინდელი ირანის სამხედრო შეიარაღება მთლიანად ინგლისურ იარაღზე იყო, რაც სომეხმა ვაჭრებმა „გააჩალიჩეს“, — ამას აფასებდა აბასი განსაკუთრებულად, ამავე მიზეზით დათანხმდა კახეთის საკითხსაც.

გევორქამ ადგილი კი გაანთავისუფლა თანამოძმეების დასასახლებ-

ლად და ყორჩი-ხანის მეორე კაცად გამოუშვა შაჰმა, მაგრამ წინასწარ იცოდა, რომ უნდა მომკვდარიყო. სოღანლუღში იყო ირანის ფოსტის სადგური, შიკრიკი რომ მოვიდოდა, გადაჯდებოდა სხვა ცხენზე და აგრძელებდა გზას. ამ ფოსტაზე ნადირობდა ორი თვე სააკიანი, იცოდა, რომ შაჰის წერილები უნდა მოსულიყო. შაჰ-აბასი ყოველთვის ორ წერილს წერდა. მაგალითად, ერთს გამოაგზავნიდა ქართლის მეფესთან, მეორეს კახეთის მეფესთან და ორივეგან ერთი შინაარსი იყო, მოკალი ქართლის მეფე და მისი ტერიტორია შენი იქნებაო და პირიქით. რა თქმა უნდა, ორივე წერილი სოღანლუღში მოხვდა, — მოკალი გევორქა და მოკალი ყორჩიხა. ორივე წერილი ვის ჰქონდა, — ვინც მოკლა ყორჩიხა. გევორქამ, ქართველებს დაგვახოცინა სომხები მხოლოდ იმიტომ, რომ გადარჩენილიყო თვითონ და მისი ოჯახი, პაატას შეწირვაც იგივე მიზანს ემსახურებოდა, — ჩვენ კი უკუღმა გვესმის ყველაფერი...

**— თუ თქვენ სიმართლეს ამბობთ, გამოდის, მაგ დროიდან არიან ამდენი სომხები კახეთში...**

— არა! არა! — ერეკლეს დროიდან. ერეკლეს ერთ-ერთ რძალს 2 000 სომხური ოჯახი მისცეს მზითევში, სომეხი იყო და მას გამოაყოლეს, მათი შთამომავლები არიან. გევორქამ კი, გაათავისუფლა სომხების დასასახლებელი ადგილი, მაგრამ ვერ შემოვიდნენ სომხები, რომ დასჭირდა, თვითონვე ამოგვახოცინა ქართველებს...

**— თქვენ რომ კაცმა დაგიჯეროთ, ჭკუიდან გადაიყვანთ, ან თქვენ ჩაგთვლიან უკვე ჭკუიდან გადასულად...**

— რა ვქნა, ასეა და რა ჩემი ბრალია?

ახალ სიყალბეს გეტყვით, — სრული ათეიზმის პერიოდში მოიხატა ქაშვეთი.

**— მახსოვს, გუდიაშვილმა მოხატა, ამის გამო უსიამოვნებაც შეხვდა...**

— სრული ათეიზმის პერიოდში დაიხატებოდა თუ არა ცკ-ის პირველი მდივნის ცოლ-შვილი ღვთისმშობლისა და ჩვილი ქრისტეს სახით? ეს ხომ ჩემი მოგონილი არ არის, მიბრძანდით და ნახეთ საკურთხევლის თაღზე, ნანული და პაატა შევარდნაძეებია დახატული....

**— ვაიმე, რა ვქნა!... სპეციალისტთა შეფასებით, ქაშუეთის ღვთისმშობელი თავისუფალ სტილშია დახატული და არ ჯდება ხატწერის ჩარჩოებში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, გაწამებული იყო საბჭოეთის ხელში გუდიაშვილი...**

— გეთანხმებით, გამოფენის მოწყობის საშუალებას არ აძლევდნენ, ყველანაირად ავიწროვებდნენ და ამ დროს, სადღაც, რომელიღაც მივარდნილი სოფლის ეკლესია კი არა, ზუსტად მთავრობის სასახლის წინ იხატება ეკლესია, — როგორ ახსნით ამ ფოკუსს?

**— თქვენი ანგარიშით, ის დრო დამდგარა სააკაშვილისა და მისი მეუღლის სახით უნდა გადაახატონ ახლა...**

— ქაშვეთში რატომ, სააკაშვილის სახე სომხურ ეკლესიაში დაიხატება, ალბათ...

**— უწმინდესი და უნეტარესი, თქვენი მხოლოდ მოგვარეა თუ ნათესავადაც ერგებით.**

— ორი პატრიარქი მყავს გვარში, ერთია ბერძნულად მლოცველი, (მართლმადიდებელი ნიშნავს ბერძნულად მლოცველს) ვისაც ილია II ჰქვია, მეორე — ამერიკულად მლოცველი, ვისაც ქრისტეს ეკლესიის წინამძღვარი ჰქვია სნგ-ში, (ამერიკული სექტაა) ორივე ირაკლია, ორივე ღუდუშაურია.

დაბადებიდან „ვლოცულობდი" ერთ უცხოელზე, ლენინზე, რომ წამოვიზარდე, გადავვარდი მეორე უცხოობაში, რომელმაც მეორედ დამავიწყა ბაღნარი სამშობლო და უდაბნოს ქება დამაწყებინა. გავიდა დრო და „აღმოვაჩინე" სხვა მიმდინარეობებიც ეროვნული სხვაობებით, რომლებიც გამოეყვნენ ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას: სომხური — გრიგორიანობა, ინგლისური — ანგლიკანობა, ინგლისურ-ჰოლანდიური — ბაპტიზმი, რომაული — კათოლიკობა, ამერიკული — ქრისტეს მამა იელოვა, ამერიკული — ქრისტეს ბიძა მორმონი, გერმანული ლუთერანობა, რომაული „და ვინჩის კოდი" — ქრისტეს ცოლ-შვილზე ლოცვა და ა. შ არაქრისტიანულებიც რომ მოგვიბრძანდნენ, ხომ ნამეტნავად „გამახარეს": ინდური, ჩინური, ტიბეტური, იაპონური, ებრაული, სპარსული და ა. შ.

**ამ ყველაფერმა დამამძიმა, დამღალა და მივხვდი კიდეც, რატომაც, იმიტომ, რომ ქართველი ვარ, ქართული ენით, ქართული არსით, ვლოცულობდი, ვაღიარებდი და მაღიარებდა ქართველთა ღმერთი, რომელზედაც ვლოცულობ...**

**— ბატონო არჩილ, ერთგვარად ვხვდები რასაც ამბობთ, მაგრამ მაინტერესებს, ქართულის გამოცალკევება ქრისტიანობისგან როგორ წარმოგიდგენიათ, ჩემი ღრმა რწმენით, ქრისტიანობა სწორედაც ქართველობასთანაა გადაჯაჭვული.**

— ხალხმა უნდა გაიგოს სიმართლე, რაც დაავიწყეს და თავს მოახვიეს, უნდა გაიხსენონ... შაბათი მეშვიდე დღეა ბიბლიურად, ხომ? კვირის პირველი დღე არის ქართველთა ღმერთის შვილის დღე, დღესასწაული, რომელიც მითვისებული აქვთ ქრისტიანებს. რომ გამოვაცალკევოთ და აღვნიშნოთ, რომ ეს ქართული ღმერთის დღეა და არა ქრისტიანული, უკვე შედეგია. მაგალითად, სვეტიცხოველი შიგნიდან კვირაცხოველია, კვირაცხოვლობა ქართული დღესასწაულია, რომელიც ქრისტიანებმა მიითვისეს. ბარბარობაც ქართულია, მზის სალოცავია, რომელიც შემდეგ ქრისტიანებმა მიითვისეს (ცნობისათვის, მეფის რუსეთი უფრო გვიწყობდა ამაში ხელს და 40-იან წლებამდე კომუნისტები)

**— მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ ძელიცხოველი უკვე უცხოურია? სვეტიცხოველი ხომ ძელიცხოველზე დაიდგა.**

— უცხოურის ხიბლია. სვეტიცხოველს გარეთა კედლები რომ მოვხსნათ, საწყისი არის ქართული სალოცავი. ბავშვობაში, სვეტიცხოველში რომ დავდიოდი, სამი ახალგაზრდა გოგონა იყო გიდი და იმ მყარი ათეიზმის დროს ისინიც ყვებოდნენ, რომ სვეტიცხოვლის შიგნითა კედელი იყო ქართული სალოცავის კედელი.

1989 წლის შემდეგ უამრავი სექტა შემოყარეს, მაგრამ აჯობა მატერიალურმა ბაზამ, მიმდინარეობამ, რასაც მართლმადიდებლობა ჰქვია, მას უკვე გამზადებული ჰქონდა ბაზა თუნდაც შენობების სახით.

**— მატერიალურ ბაზაზე თუ არის საუბარი და რაღაც ძალადობაზე, როგორც თქვენ ბრძანებთ, იაღოვასკენ მოვიკითხოთ...**

— იაღოვაც მესამე ხარისხოვანი ღმერთია ებრაელებში. თუ იაღოვა არის ქრისტეს მამა, თბილისში გვაქვს ქრისტეს ბიძის სალოცავები, — მორმონები. მორმონები ჰყვებიან, რომ ქრისტემდე, 500 წლით ადრე, ერთი დიდი ებრაული ოჯახი ჩაჯდა დიდ ნავში, ჩავიდნენ აშშ-ის ტერიტორიაზე და გამრავლდნენ, რომლებიც ქრისტეს ცად ამაღლების შემდეგ, დედამიწაზე სხივად დაშვებულმა ქრისტემ მონათლა. ყველაზე დიდ ინტერესს ჩემს მიმართ იჩენენ იეღოველები და მორმონები, თეთრ ხალათიანი ყმაწვილები რომ დადიან და მშვენივრად საუბრობენ ქართულად. (სხვათაშორის, ყველაზე კარგად იაღოველებმა იციან ბიბლია) ორივე მათგანს შევთავაზე, ჩვენს ქართულ ღმერთს „ჩამოვიყვან" აშშ-ში თქო, — ქართულ ღმერთზე მუდამ ზეწოლაა, მაგრამ პირიქით, უარზე არიან. იგივე არის სომხური ვარიანტი. გრიგორიანობა ახლა ხომ არ გვიტევს პირველად, მე-10 შემოტევაა. ჯერ კიდევ ბიბლიამდე გვეძალავებოდნენ სომხურ ღმერთებს; მერე თვით ბიბლიის შემოტანაში მიიღეს მონაწილეობა; შემდეგ თამარის ქმრის ამბავი იყო; შემდეგ გევორქა სააკიანი...

**— ბიბლიის შემოტანასთან სომხები რა კავშირში არიან...**

— თავისთვის ხომ გააკეთეს ცუდი, ჩვენც გაგვიკეთეს, მაგრამ ანგარიში გათვალეს კარგად, ბიბლია რომ ფულს მოიტანდა, იგუმანეს. წვრილმანია ვითომ ხატომანიები, სანთლომანიები, ინდულგენციები და ა. შ მაგრამ ქართველთათვის ეს გენოციდია, მოისპო უძველესი კოლხური კულტურა...

ბერძნებმა დაწერეს ბიბლია; დაწერეს ვისზე — ებრაელებზე; სომხებმა შემოიყვანეს სამარყანდელები; სამარყანდელებმა დახოცეს ქართველები, — ოთხ ხელში გავთამაშდით;

ცხირეთში ისვენებდა ლუარსაბი, ნოსტესთან ახლოს, მღვდელი თევდორე რომ შეიპყრეს ყირიმელმა თათრებმა.

**— ახლა იმასაც იტყვით, რომ გიორგი სააკაძე ნოსტეში არ დაბადებულა...**

18 gv.




იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


# marTlmadidebloba da qarTveloba erTmaneTis sinonimebia...

***არჩილ ღუდუშაურის მოსაზრებების შემდეგ კომენტარი სამების ტაძრის დიაკვანს ელიზბარ დიაკონიძეს ვთხოვეთ.***

**— მამაო, მე თქვენ გაგაცანით ჩვენი გაზეთის სტუმრის, ბატონ არჩილ ღუდუშაურის წუხილი და თხოვნა, დაუბრუნოთ ქართული ღმერთი, — რას იტყვით?**

— არასერიოზული მიდგომაა...

მე ყველა სიტყვაზე ვერ გამოვედევნები, მაგრამ სვეტიცხოველს რაც შეეხება, ის აგებულია სასაფლაოს ადგილზე, სადაც სიდონია დაასაფლავეს ქრისტეს კვართით ხელში, ქრისტეს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, ჯერ რომ ქრისტიანობა არ იყო საქართველოში. როდესაც რომაელები სიკვდილით დასჯიდნენ ვინმეს, ჯალათები მის სამოსს და ნივთებს ინაწილებდნენ, მაგრამ იესოს კვართი ვერ გაიყვეს, რადგან ის არ იყო გაკერილი. კვართი ერთხელ მოქსოვა ღვთისმშობელმა ჩვილი იესოსთვის და მას შემდეგ კვართი იესოს ზრდასთან ერთად იზრდებოდა მის ტანზე. ამ დროს იქ იმყოფებოდნენ ლონგინოზ კარსნელი და ელიოზ მცხეთელი, — მცხეთელი ებრაელები. ელიოზმა შეიძინა ეს კვართი და წამოაბრძანა საქართველოში. მისმა



დამ სიდონიამ ჩაიხუტა კვართი გულში და სული განუტევა.

როდესაც ებრაელები ჩამოსახლდნენ მცხეთაში, ისინი დასახლდნენ ახლანდელი თეატრონის ტერიტორიასა და სვეტიცხოვლის ახლოს, ანუ იქვე ახლოს, აუცილებლად ექნებოდათ სალოცავი და საძვალე, სასაფლაო. ებრაელი იყო სიდონია. მოგეხსენებათ, ებრაელი არაებრაელთა სასაფლაოზე არ დაკრძალავს თავის მიცვალებულს, მითუმეტეს, რომ სიდონია რაბინის, ელიოზის და გახლდათ. სიდონიას კვართი ხელიდან ვერ გამოაცალეს და კვართთან ერთად დაკრძალეს დედამისის გვერდზე.

მეც გამიგონია, რომ სვეტიცხოვლის ერთი კედელი ქართულია, დანარჩენი — ბერძნულია. არ არის მართალი, არც ერთ ბერძენს არ აქვს მონაწილეობა მიღებული სვეტიცხოვლის აგებაში. სამჯერ მოხდა მისი რესტავრაცია, პირველად IV საუკუნეში. სიდონიას საფლავზე ხე ამოვიდა, რომლიდან გადმოდენილი სითხეც, მირონს რომ ვუწოდებთ ჩვენ, ყველა სულიერს უკურნავდა ჭრილობას. ხეცხოველი ამოვიდა, ცოცხალი, ძელიცხოველი, სვეტიცხოველი. ხისგან ძელები დაამზადეს და ძირითადი ძელით მირიანმა ააგო ხის ეკლესია.

**— ერთი წუთით მამაო, მაშასადამე, როდესაც სიდონია დაკრძალეს, იქ იყო რაღაც სალოცავი, ვთქვათ, ქვის ნიშა, აბა, რისი რესტავრაცია გააკეთა მირიანმა...**

— სასაფლაოზე აუცილებლად იქნებოდა რაღაც საკულტო ნაგებობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც დიდი სალოცავი იქნებოდა.

**— ქართული ე.წ წარმართული საკულტო ნაგებობა თავისთავად არ იქნებოდა მასშტაბური...**

— ნაკლებ სავარაუდოა, რომ ქართულ საკულტო ნაგებობასთან ებრაელი სიდონია მიეყვანათ დასაკრძალად.

**— თქვენ მითხარით, რომ თქვენი მცხეთაში მოღვაწეობის დროს მამა იოაკიმემ სვეტიცხოვლის დეფორმირებული იატაკის რესტავრაცია გააკეთა, რომლის დროსაც, მანამდე უცნობ საფლავებთან ერთად, თქვენი თვალით ნახეთ პირუკუ დაკრძალული ჩონჩხიც...**

— საქმე იმაშია, რომ ვერც იმას ვიტყვით, რომ იქ ან ებრაელთა საკულტო ნაგებობა იყო... შეიძლება, იქ იყო სასაფლაო, რომლის ერთი ნახევარი ეკუთვნოდა ქართველებს, მეორე — ებრაელებს, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ ერთმანეთისგან და იქ მოუწია გამმიჯნავმა კედელმა, — დავანებოთ თავი ამ კედლებზე ფიქრს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი აიგო ხის ეკლესია, მირიანმა ააგო IV საუკუნეში. ის დაიწვა მერე და, ხის კედელი არაფრით დარჩებოდა. შემდეგ VII-VIII საუკუნეში კიდევ დაინგრა და IX-ში კიდევ აიგო, ამიტომ, იქ თუ აღმოვაჩენთ ქვას, რომელიც XVII საუკუნისაა, არ ნიშნავს, რომ სვეტიცხოველი იმ დროს აშენებულია.

**— ჩემი რესპონდენტი ამბობს, რომ მცხეთის ქართული სალოცავი გადაფარულია ბერძნულით, მითვისებული და ჩაყლაპული აქვს ბერძნულს, ანუ მართლმადიდებლურს ქართული, რომ ქართველებს თავსმოხვეული გვაქვს ბერძნული ხიბლი...**

— არანაირი ბერძნული არქიტექტურა იქ არ არის, ბერძნული არქიტექტურის კვალი ემჩნევა ჯვრის მონასტერს.

ეროვნული არქიტექტურა რაღაცით იმ ერისავე აღნაგობას, ხასიათს, ბუნებას ჰგავს. გოთური სტილი რომ გვაქვს, ეს ევროპულია, წოწოლა, — ევროპელებს გრძელი კიდურები აქვთ. ბერძნები დაბალკისრიანები არიან, ჯიჯგვები და ეს აისახა მათ არქიტექტურულ სტილშიც; ქართველი ყელმოღერებული, სილამაზით გამორჩეული — მღერის... ქართველი კაცი ქვით მღერის, თიხით მღერის და არქიტექტურაშიც მღერის, ლაღია — რა გამღერებს, თუ ლაღი არ ხარ, თავისუფალი...

**— მამაო, ბატონი არჩილი რომ ამბობს, ჯვარი ქრისტიანული სიმბოლო არ არის, ყველას აქვსო...**

— ჯვარი რას ნიშნავს — სამყაროს ოთხივ მხარეს სწვდება

18 gv.

# marTlmadidebloba da qarTveloba erTmaneTis sinonimebia...

17 gv.

ღვთის სიტყვა, ზეცასაც და ქვესკნელსაც. აბა, რას ნიშნავს ადამ და ევას ჯოჯოხეთიდან ამოყვანა, თუ ქვესკნელამდე არ აღწევს ღვთის სიტყვა? მაშინ რაღას ნიშნავს იმედი, რომელიც გარდაცვლილს მიჰყვება, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრის შემთხვევაში იმედი არ დაკარგოს, რომ მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამოიყვანს დროებით სასჯელში მყოფ მათ სულებს...

ჯვარი შებღალული იყო რომაულ და ბიზანტიურ სამყაროში, ამიტომ ყველაზე ცუდ და ზნედაცემულ ადამიანს ჯვარზე აკრავდნენ, ჯვარს იყენებდნენ ტანჯვის იარაღად. უფალმა, მამა-ღმერთმა, სამყაროს შემოქმედმა ეს დაუშვა იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯვარზე გაკვრით მის შვილს კაცობრიობის ცოდვები დაემარცხებინა — ეს უდიდესი სიყვარულის გამოვლინებაა კაცობრიობის მიმართ, აი, მამის სიყვარული შვილების მიმართ! — უფალი ამბობს, ილოცეთო, მაგრამ საქციელით გვიჩვენა, რა უნდა გააკეთოს თვით მამამ, როცა ჟამი ჩამორეკს... მე ვფიქრობ, ჟამმა ჩამორეკა დიდი ხანია, ვაგვიანებთ უკვე...

**— მამაო, თუ ქართველები ვლოცულობდით სამყაროს შემქმნელზე, გველოცა, რა იყო ამაში მიუღებელიო, ამას წუხს ჩემი რესპოდენტი, სამყაროს შემქმნელი არის ჩვენი ნამდვილი სალოცავი და არა მესამე პირიო...**

— ადამიანი როცა გამოიდევნა სამოთხიდან, მას ძალიან დიდხანს ახსოვდა სამყაროს შემქმნელი მამა-ღმერთი, რომელზეც ლოცულობენ ებრაელები. ჩვენც, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები ვამბობთ, „მამა, ძე და სულიწმინდა“, — სამივე წმინდაა და ერთია. თუ ძე არსებობს, თავისთავად, მამაც არსებობს და მათი დამაკავშირებელია სულიწმინდის მადლი, რომელიც ილვრება ნებისმიერ ადამიანში, რომელიც ჩაისახება დედის მუცელში და შემდეგ იბადება, — ეს მხოლოდ სამყაროს შემოქმედ ღმერთს შეუძლია. ამას მუსლიმანებიც აღიარებენ და სამყაროს შემოქმედს „ალაჰს“ უწოდებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მამა უნდა ვაღიაროთ, მაშინ რითღა განვსხვავდებით იაღოველებისგან, რომლებიც იგივეს ამბობენ?

სამყაროს შემქმნელი მამა ღმერთი არსებობს კერძო სახელის გარეშე, მას მხოლოდ შემამკობელი ეპიტეთები აქვს. „ალაჰიც“ არ არის მუსლიმანთა ღმერთის სახელი, ძველი ებრაული სიტყვაა „ელოჰიმ“ და ნიშნავს აბსოლუტურ სიყვარულს...

ებრაელების შემდეგ ქართველები იყვნენ, რომლებიც ზეცისკენ იყურებოდნენ. მამა-ღმერთი არ ახსოვდათ, მაგრამ ჩვენი სალოცავი არ იყო რაღაც შენობა, რაღაც თოჯინა, ცეცხლი და ა. შ ჩვენი იყო ზეცა და ვარსკვლავები. კოლხებს და არა მხოლოდ მათ, სიმღერებიც აქვთ, „მზე დედაა ჩემიო...“ „მზე შინა და მზე გარეთა...“ — ქართული წარმართული საგალობლებია.

**— ამას ამბობს ჩემი რესპონდენტიც, წესის და რიგის დამყენებელს, „მორიგეს“ უწოდებს სამყაროს შემქნელს და თვლის, რომ ქრისტიანობამ იძალავა ყველაფერ ქართულზე და არა მხოლოდ იძალავა, მიითვისა მისი საკუთრებები...**

— ერთგვარი ცნება შემოვიღოთ, „მთიელ ქართველთა კულტურა“ — ეს კულტურა, რა თქმა უნდა, იყო და ყველა ქართველისთვის იყო, იგივე, ბარში, ვთქვათ, კოლხებისთვის. ქართველებს შვიდი მნათობი სწამდათ. ზვიადისდროინდელ საქართველოს გერბზეც შვიდი მნათობი იყო გამოსახული, (ეს არ არის საეკლესიო გერბი, ეს არის ქვეყნის გერბი); წმინდა გიორგის დროშაზეც შვიდი მნათობია გამოსახული... მე, მაგალითად, ერთი მხრივ, სწორად მიმაჩნია ფხოვი ხმლით იცავდა თავს მისგან, არ იწონებდნენ მთიელები ამ ამბავს...

**— თუშ-ფშავ—ხევსურეთი. დღემდე იმ საკუთარ სალოცავებს თვლიან ძალის და მადლის მიმნიჭებლად და არა, სახელდებულ ღმერთს, იესო ქრისტეს. მთის ადამიანს არასდროს მოადგება ენაზე ღმერთს მიმართოს სახელით, რადგან ღმერთი ერთია და ვინმესგან გამოცალკევებას არ საჭიროებს საკუთარი სახელით, „ღმერთო!“ მიმართავს ასე.**



ეს, რადგან, ჩვენი ერის ისტორია ნამდვილად არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას უნდა ვეთაყვანოთ.

**— მამაო, ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობაში მოვყევით...**

— ქრისტიანობა რომ შემოვიდა საქართველოს ბარში, ნელ-ნელა IV საუკუნიდან და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ისიც ვიცით, რომ — მაგალითი ჩვენ მოგვცა წმინდა ნინომ, ის მივიდა არმაზის კერპთან, ილოცა და დაამსხვრია კერპი, ანუ კერპის დამსხვრევის პრეცედენტი გვაქვს. ასე რომ, ნურავინ გვიკიჟინებს, რომ ძალით მოვაქციეთ ქრისტეს რჯულზე — ყველა ადამიანმა ზუსტად ისე მიიღო ქრისტიანობა, როგორც მას ეს მიეწოდა უფლისგან.

მართალი ბრძანეთ თქვენ მთიელ ქართველებთან დაკავშირებით, ბევრი რამ აქვთ შენახული წარმართობიდან. ბევრს დავდივარ, მაგრამ არსად ისე არაა შემორჩენილი, როგორც თუშეთში, აგეურთობას ზეიმობენ, სახიობას... იცით, რა არის თუშური სახიობა? — წარმართულიდან გადმოვიდა და გაკულტურდა, გაქრისტიანდა ჩვენი ადათი. ქრისტიანობა რომ შემოვიდა, ქართველმა კაცმა ჯვარი შიშით კი არ დაიკიდა გულზე, მან ის მიიღო ყველანაირად...

არასწორადაა გავრცელებული აზრი, რომ ქართველები ისეთი სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, ნებისმიერეროვნებას თავის კულტურიანად და რელიგიიანად ვიღებთ, — არა, ბატონო! რელიგიურ უმცირესობათა არსებობა საქართველოში ჩვენი სტუმართმოყვარეობის კი არა, ჩვენი მძიმე ისტორიული ყოფის შედეგი გახლავთ, ყველა დამპყრობელი ქართველს ხოცავდა და მიერეკებოდა და აქ თავისას ერეკებოდა, რომელსაც სრულიად სხვა კულტურა და რელიგია ჰქონდა, ქართველისთვის მიუღებელი.

ნებისმიერ ენაზე ნებისმიერი ერის წარმომადგენელს რომ ჰკითხო, რა სარწმუნოებრივი მიმდინარეობის არის ქართველი, გიპასუხებს, რომ მართლმადიდებელია. ორთოდოქსოს, იგივეა, რაც მართლმადიდებელი. გავშიფროთ, რას ნიშნავს ეს, მართლად მადიდებელი, ე. ი. სიმართლეს მე ვამბობ და მას, უნდა თუ არ უნდა, უფალი სიმართლეს აღიარებინებს, მართლად მადიდებელი შენ ხარო, — მეუბნება.

**მაია ჭელიძე**

---

# arCil RuduSauri: me qarTvelivar da damibruneT Cemi qarTuli RmerTi!

17 gv.

— დაიბადა არა ისა! — მოსული სომეხი იყო, ლუარსაბის დის მაყარში მიიღო მონაწილეობა, ლელა რომ წაიყვანეს და მაყრის ჯილდოს ფულით (აბასის ფულით) იყიდა ციციშვილისგან ერთი სოფელი, ნოსტე. დავუბრუნდეთ თევდორეს, მოკლეს თათრებმა თევდორე და გააწმინდანეს ბერძნულად მლოცველმა ქართველებმა. ამასობაში, სომხური ეკლესია მოიხსენიებს ვინმე ტერტერას, რომელმაც ლუარსაბი გადარჩინა. ბუნებრივია, ისმება კითხვა, რამდენმა კაცმა გადაარჩინა ლუარსაბი და ვინ, ქართველმა მღვდელმა თუ სომეხმა ტერტერამ? სომხები იხსენიებენ ტერტერა სააკიანს, ხოლო თევდორე სომეხი არ იყო, — ამაზეა ლაპარაკი, გაყალბებაზე.

ერთ მაგალითსაც გაგახსენებთ ბერძნულ ხიბლთან დაკავშირებით, საუკუნეების წინ გამოვიდა სომეხი ე.წ მღვდელი გრიგორი და სომხებს უთხრა, ბერძნულად რატომ უნდა ვილოცოთ, ერთი, რომ ბერძნებისთვის ფული არ გვექნება გადასახდელი და თან ენასაც შევინარჩუნებთო, — აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგორი ქსენოფობი იყო, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ ბერძნულს და არა მხოლოდ ბერძნულს...

**— ეროვნული კაცი ყოფილა...**

— კი, მაგრამ მაინც ვერ გამოეყვნენ ბერძნებს ბოლომდე. სომხები იმდენად დაბალ დონეზე იყვნენ, რომ საკუთარს ვერაფერს ქმნიდნენ და თითქმის ყველაფერი მათგან გადმოიღეს, გამოეყვნენ მხოლოდ ფულით და აზროვნებით, თორემ მაინც იქ არიან დაყუდებულები, ბერძნულ ხიბლთან.

ჩვენთვის მიუღებელია ის, რომ სომხური ეკლესია გამოეყო ბერძნებს და უცხოურობით მე-10 ხარისხოვანია ჩვენთვის სომხური, მითუფრო, რომ უცხოურის, უცხოურის უცხოური მოაქვს ჩვენთან, ებრაული — ბერძნული — სომხური, და სად მოქვს, — უცხოეთში. გარეგინის ჩამოსვლა კი არ გვეწყინა, ის გვწყინს, რომ უცხოურის უცხოური მოაქვს და თან უდაბლეს ხარისხში.

ჩვენ ბერძნების ხიბლი გვაქვს, მათი არქიტექტურის, მოზაიკის, სკულპტურის, თეატრის, ფილოსოფიის და ა.შ რომელიც მაღალ ხარისხშია, სომხური კი, თან ბერძნულიდანაა გამოყოფილი, თან, იგივე რაღაც, რაც აქ არის, უკუღმა მოაქვს და დაბალ ხარისხში, ეს არის ფაქტიურად მიუღებელი.

1989 წლამდე თანამედროვე ქართული საეკლესიო ლიტერატურა თითქმის არ გაგვაჩნდა, ამის შემდეგ დაიწყეს ლოცვების შეკრებები და ახლის გამოგონებები, ისხდნენ და წერდნენ, არკვევდნენ, რა ემღერათ. ჩვენ თუ ჩამოვყალიბდებით, დრო გვაქვს, საკუთარ მიწა-წყალზე ვართ, გამზადებული ქართული სალოცავებიც გვაქვს, გამზადებული საგალობლებიც, დაწყებული თუნდაც „ჰარალეთი“, „ოროველათი“ — ქართული ღმერთის და მისი შვილის საგალობლებია.

ამ დროიდან დაიწყო მაინც და მაინც სერაფიმე საროველის ხატების და მისი წმინდანობის გავრცელება, რადგან ზეწოლა იყო, რომ რუსი წმინდანი უნდა გამოკვეთილიყო.

გაწმინდანებაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა, — მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ვერანაირად ვერ გააწმინდანებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან, ის ბუმბერაზი კაცი იყო ქართველთა ღმერთიანების უფროსი საქართველოში. ვაჟა დაიბარეს ხევისბერებმა და წამოყენებული იქნა ქართველთა მლოცველობის უფროსად. ხუთ წრედ რომ შემოავლოს თავზე შარავანდედი მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვაჟას, მაინც ვერ გადააქცევენ თავიანთ წმინდანად, ისევე, როგორც აკაკი წერეთელს, ვინაიდან ის ერთადერთი კაცია, რომელმაც სომეხიზაციაზე სიმართლე დაწერა, არაფერში სჭირდება აკაკის უცხოური წმინდანობა, ქართულად ისედაც წმინდანია...

ამ სიმართლის საქვეყნოდ გამოტანა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ვიცი, მსოფლიოში ჯერ კიდევ ვართ ქართველ ღმერთზე მლოცველი ქართველები, მაგრამ ვერ ვერთიანდებით უცხო მიმდინარეობის, უპირველესად, უცხოური ხიბლის მხრიდან ხელის შეშლის გამო.



**— თქვენ გამზადებული მატერიალური ბაზა ახსენეთ, — სალოცავები გვაქვს, ისიც, მხოლოდ საქართველოს მთაში, ბარში რაც ქართული იყო, ქრისტიანებმა მიითვისესო, თქვენ ამბობთ, აბა, რა ბაზაზეა საუბარი?**

— სალოცავი შენობები გვაქვს, სალოცავი ნაგებობები, ღმერთის სალოცავი მთები, მდინარეები... სამყაროს შემქმნელს მოვიხსენიებდით „მორიგედ“, როგორც რიგისა და წესის დამყენებელს. იქ იყო უფროსუმცროსობა, ქალის პატივისცემაც, კაცისაც, ბავშვისაც (რასაც ახლა გამალებით ავიწყებენ) და იქ იყო ძალა. როცა მტრის შემოსევა იყო, გადავდიოდით ქართველთა ღმერთიანობაზე, როგორც-კი მოვიშორებდით მტერს, შემოგვიჩნდებოდნენ უცხოურად მლოცველები და ნაწილობრივ ისევ გვაბრუნებდნენ უცხოურად მლოცველობაზე.

**— ჩვენ მართლმადიდებლობის მიღების საწყისად ნანა დედოფლისა და მირიან მეფის გაქრისტიანება გვაქვს, სანადიროდ რომ იყვნენ...**

— არა! არა! ამ მოგონილ ზღაპრებს ნუ იჯერებთ! ეს იყო უცხოურის ხიბლი.

**— კარგა ხანია გონება და სული ამტკივდა თქვენს მსმენელს, მაგრამ ჯვრის შესახებ უნდა გკითხოთ, ჯვარიც არ არის ქართული?**

— ჯვარი არის მსოფლიო ნიშანი, რომელიც აქვს ავსტრალიასაც ინდონეზიასაც, ტიბეტსაც, ევროპასაც და რომელი ერთი ჩამოვთვალო, ინდიელებსაც კი. ჯვარი სამყაროს ოთხი მხარეა და გვქონდა ჩვენც, ბერძნებსაც, აისორებსაც და ა. შ ჯვარი არ არის არც ქართული და არც არავის ნიშანი, სამყაროს ოთხი მხარეა და მორჩა, ქართული ნიშანი არის ბორჯღალი.

**საქართველოში მცხოვრებო უცხოურად მლოცველო ქართველებო და უცხოელებო, გთხოვთ, დააბრუნეთ ქართველების კუთვნილი, თქვენს მიერ მიტაცებული მიწა-წყალი, ტაძრები, სალოცავები, ხატები, წმინდანები, რომლებსაც აღნიშნავთ უცხოური ნიშნებით: ჯვრით, მთვარით, ვარსკვლავით და ა. შ.**

**დიდება და ქება ქართველთა სამყაროს შემქმნელს — „მორიგეს“!**

**— დიდი მადლობა, ბატონო არჩილ საუბრისთვის.**

— პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა თქვენს გაზეთს, რომ საშუალება მომცა ჩემი სათქმელი მეთქვა. 2003 წლიდან დავდივარ რედაქციიდან რედაქციაში და ამაოდ — ქართველმა კაცმა, ჩემი ქართული ღმერთი დამიბრუნეთო, რომ თქვას, ამის თქმა საქართველოში თურმე აკრძალული ყოფილა. მაშინ რანაირად არის ეს ქვეყანა საქართველო, თუ ამის თქმაც კი მკრეხელობად ითვლება?

**მაია ჭელიძე**



# oqroyanis `udabno~ da yaCaRi vi r Txebi

„საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა საგაზეთო პუბლიკაცია იმის შესახებ, თუ როგორ ძარცვავს დედაქალაქის მოსახლეობას თბილისის მერია და კომუნალურ მომსახურებაზე გაზრდილი გადასახადებით წინასაარჩევნოდ როგორ ავსებს ქალაქის ბიუჯეტს მოსახლეობის ხარჯზე. ფასების ზრდა არც უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით და ახლა, იმიტომ რომ, მადამომატებულ გიგი უგულავას და „ნაც. მოძრაობას“ უფრო მეტი და მეტი ესაჭიროებათ პირადი მიზნებისათვის, წყალზე მრიცხველების დაყენებით ცდილობენ ჩვენს საბოლოო გალატაკებას!

კი, მაგრამ, თბილისის წყალი ხომ „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერისაა“, ე.ი. უცხოური კომპანიის და რა შუაშია აქ ან ნაც. მოძრაობა და მითუმეტეს ქალაქის მერიაო? – იკითხავს მიამიტი ადამიანი, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერი“ სწორედ ნაც. მოძრაობის ხელშეწყობით არის საინვესტიციო ბაზარზე შემოყვანილი და არც არავინ აპირებს მათი აღვირახსნილობის შეჩერებას თბილისში?

თუ მეხსიერება არ მღალატობს, როდესაც „კომპანია თბილისის წყალი“ გაიყიდა, ინვესტორთან სახელშეკრულებო პირობაში ნათლად ჩაიწერა, რომ მყიდველი კომპანია ვალდებულია შეცვალოს წყალმომარაგებისთვის უვარგისად არსებული კომუნიკაციები და რეაბილიტაცია გაუკეთოს დედაქალაქში როგორც წყალგაყვანილობის მილებს, ისე იმ რეზერვუარებსაც, საიდანაც მარაგდება დედაქალაქის რამდენიმე უბანი, რომლებიც წყალს გრაფიკით იღებენო.

საინვესტიციო ხელშეკრულება როგორ შეასრულა „ჯორჯიან ვოთერმა“, კარგად ვნახეთ, მაგრამ ამ კომპანიამ, ვიდრე „ინვესტიციის განხორციელებას“ დაიწყებდა, გახსოვთ არარსებული ჯარიმები რომ გამოგვიგზავნა სახლებში? პირადად მე, არცკი ვიცი, 270 ლარი რატომ უნდა ვიხადო და არც ის ვიცი, ორ დღეში ერთჯერ 3 საათით მოსულ წყალში სრული ტარიფი რატომ უნდა გადავიხადო?

„ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერის“ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ ოფისში ვერც ის გავარკვიე, ვინ არიან ის პირები, რომლებიც ჩემს საცხოვრებელ ფართში არიან დარეგისტრირებული და ვერც იმას მივაღწიე, რომ აღნიშნულ ოფისში გამოწერილ ქვითარში 4 სულის ნაცვლად 1 სული დავფიქსირებულიყავი და წყალში გადასახადიც შესაბამისი გადამეხადა. შეკითხვაზე: „ვინ არიან ის სამი ადამიანი, გვარები ხომ უნდა მითხრათ? ანდა პირველად მონაცემებში ხომ უნდა იყვნენ, საიდან მოიტანეთ, რომ სახლში 4 სული ვცხოვრობთ? – ვკითხე ოპერატორ ქალბატონს, მაგრამ პასუხი მშრალი მივიღე; „ჩვენ რა სიებიც მოგვაწოდეს, იმის მიხედვით ვმოქმედებთო!“ ახლა ყოველთვიურად 4 სულზე გამოწერილი წყლის გადასახადი, თანაც სრული ტარიფით (არადა, წყალი ფაქტიურად, არ მოდის) როგორია? ჯანდაბას, როგორც ვიხდიდი, გადავიხდი როგორღაც, მაგრამ ახლა რა ხარისხის წყალი „მოჩუხჩუხებს“ ჩვენთან ოქროყანაში, არ იკითხავთ? ამ დღეებში წყლის ფილტრი შევცვალე და რა არ იყო ზედ – ბაყაყის თათი, კალია, ხოჭო, ლორწო და რაც მთავარია, (იმიტომ რომ, წყალი სპეციალურად აგებული რეზერვუარიდან მოგვეწოდება, დასალევად უვარგისია. იმიტომ, რომ წყალს შმორის სუნი არ აუვიდეს, ამ ბოლო დროს, ეტყობა, უამრავ ქლორს ყრიან რეზერვუარში და როცა წყალი მოდის, სახლებში მკვეთრი ქლორის სუნიც დგას. კომუნიკაცია მთლიანად მწყობრიდან არის გამოსული და ტერიტორია, განსაკუთრებით სარდაფები მოსული წყლით რომ არ დაიტბოროს, ხან ერთი მოსახლე არემონტებს და ხანაც – მეორე. აქ არავის უნახავს ინვესტორი, ან მისი ხელქვეითები ამოსული, არც კომუნიკაციების გამოცვლაზე დარდობს ვინმე, მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რომ ეს აღვირახსნილობა და ღია ყაჩაღობა არც ქალაქის „თავებს“ არ აწუხებთ?

მიხედავად იმისა, რომ ოქროყანაში წყალი გრაფიკით მოგვეწოდება (2 დღეში ერთხელ 3 საათი), გასაკვირია, მაგრამ წყლის მრიცხველებს მაინც გვიყენებენ. ეს „ნოვაცია“ ამას წინათ სულ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი და ჩვენს შეკითხვაზე: „კი, მაგრამ, წყალი არ მოდის“ და მრიცხველი რა საჭიროა?“ – გვიპასუხეს: „რაც მოდის, ის უნდა დაფიქსირდეს, ხომ იძახით სულადობა გაზრდილია და უკანონოდ გვახდევინებთ გადასახადსო? ჰოდა, ახლა რასაც მოიხმართ, იმას გადაიხდით, მადლობის



მაგიერია?“ „კი, მაგრამ, რა ჯდება მრიცხველის დაყენება?“ – ვეკითხებით. „130 ლარი, 100 ლარი მრიცხველი, 30 დაყენება“ – გვპასუხობენ მოკლედ, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის განგვიმარტავენ, რომ გამრიცხველიანება სავალდებულოა და ვინც თავს შეიკავებს, წყლის მიწოდება შეუწყდებაო.

აჰა, ესეც თქვენი ინვესტორი. წყალი გამჩენმა მომცა უხვად, მაგრამ ფული ვიღაც ვანიას უნდა გადავუხადო, კარგად რომ დამახრჩოს.

ეგ კიდევ არაფერი... ოქროყანის საგარაკო დასახლებაში დასუფთავების სამსახური როგორია, თვალით არავის გვინახავს? აქ არასოდეს დაუგვიათ ქუჩები, არასოდეს მდგარა ბუნკერები და ნაგავსაც სპეციალურად ამოჭრილ ორმოში ვყრიდით და შემდეგ, როცა ივსებოდა, მიწას ვაყრიდით! ძალიან ხშირად, ვისაც ავტომობილი ჰყავს, თბილისში, სოლოლაკში ჩამოჰქონდა საოჯახო ნარჩენი, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, მთაწმინდის პარკის გზაზე, ერთი-ორი ბუნკერი დადგეს და მოსახლეობაც იქ ვყრით ნაგავს. როგორც მოგახსენეთ, თვითონ დასახლებაში ბუნკერები არ დგას და მას შემდეგ, რაც „დენზე“ მიაერთეს“ ნაგვის გადასახადი, პირადად მე 16 ლარი და 48 თეთრი მომივიდა გადასახდელად. არადა, მეეზოვე, ბუნკერი და ნაგვის სპეც. მანქანა თვალით არ მინახავს წლების განმავლობაში. მეტიც, იქ, სადაც 1 ბუნკერი დგას, (ტრასაზე) ნაგავი გარშემოა დაყრილი და ათასი მაწანწალა ძაღლის თუ ვირთხების საყვარელ ადგილადაა ქცეული. მოპირდაპირე მხარეს კი ავტობუსის გაჩერებაა და დილაუთენია ვირთხების ჯოგი რომ გადაგირბენს ფეხებთან, როგორია?

საინტერესო და ალმაშფოთებელია ასევე რუსული კომპანიის საკუთრებაში არსებული „თელასის“ ტარიფებიც. თბილისში 100 კილოვატის მოხმარების შემდეგ აბონენტი ავტომატურ რეჟიმში ნაცვლად 13 თეთრისა 16 თეთრს იხდის, 200 კილოვატის მოხმარების შემდეგ კი 19 თეთრს და რა გამოდის? კილოვატების მომატებასთან ერთად ფასსაც განსხვავებულს იხდი? თუკი ერთი კილოვატის ღირებულება 13 თეთრია, 100 კილოვატის მომსახურების შემდეგ ფასი რატომ იზრდება ზამთარში, როცა უხვად ვხარჯავთ ელექტროენერგიას, რადგან გათბობის საშუალებებიც და საყოფაცხოვრებო ტექნიკაც დენზეა, ვიღაცა ნაგავის ხუშტურით დაწერილი კანონით უნდა ვიხადო ამოდენა გადასახადი დენზე, წყალზე და ნაგავზე? ბიჭო, გადაიხდიდი კაცი 24-საათიანი წყლის მომსახურება რომ მქონდეს! გადავიხდიდი მეეზოვე რომ გვიდეს იქაურობას, ყოველდღე მოდიოდეს ნაგვის მანქანა და 700-800 მეტრის მოშორებით კი არ მედგას ბუნკერი, არამედ სახლთან ახლოს, მაგრამ ასე რომ არ არის, რატომ უნდა გადავიხადო?

ამიხსნას ქალაქის მერიამ და თუ ინებებენ, სპეციალურად ჩვენთვის პრესკონფერენციაც გამართონ, რატომ ვიხდით დაუსაბუთებელ უკანონო ახირებებში დედაქალაქის მოსახლეობა ამოდენა გადასახადებს? და რატომ მიაჩნიათ, რომ მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების დროს არის საჭირო და დანარჩენ დროს კი იგივე მოსახლეობა ნაგავი, რომელიც ნაგავსაყარზე უნდა გადაყარო?

ამ რამდენიმე დღის წინ ყვარლის ვენახებიდან სააკაშვილმა ბრძანა: „ბიუჯეტი გადასახადების წყალობით მატულობს, პენსიონერებს ამიტომაც გავუზარდეთ პენსია და 100 ლარი გავხადეთ და ამ ნათქვამში, არ ვიცი, წამოსცდა თუ როგორ იყო, მაგრამ ერთი ფაქტია – „ბიუჯეტი გადასახადებმა გაავსოო“, ბრძანა მიშამ და ძნელია, არ დაეთანხმო.

გაზრდილი გადასახადი კი ჩვენთან ერთად პენსიონერებმაც უნდა გადაიხადონ, ძვირფასებო!



ლტოლვილებმაც უნდა გადაიხადონ. და ეს მაშინ, როცა დევნილების დიდი ნაწილი მართლაც დენზეა დამოკიდებული და რადგან გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს სახელმწიფო უხდის მათ, (დაახლოებით, 100 კილოვატს სულზე) წარმოგიდგენიათ, ნაგვის გადასახადი რამდენი მიუვათ? აი, ჩემს მეზობლებს, სოხუმიდან დევნილ ჯღარკავების ოჯახს მაგალითად, 26 ლარი მოუვიდათ და ეს მაშინ, როცა შვილები არასრულწლოვანები ჰყავთ, ხოლო თვითონ მშობლები არ მუშაობენ. ოჯახის უფროსი ვეტერანია, ინვალიდია და არანაირი შემოსავალი რა აქვთ. ზამთარში სახლს ათბობენ დენით, ხოლო ეკონომიის მიზნით, ღუმელში ტყეში შეგროვილ გირჩებს წვავენ.

ასეთი ოჯახები ბევრია და თუ ასე გაგრძელდა, უფრო მეტი გახდება.

წინ ზამთარია... უკვე აცივდა, ჩვენთან ოქროყანაში ტყეში გირჩებს ველარ იპოვი, სანთლით რომ ეძებო. მთელი ზაფხული აგროვებდა ხალხი და დიდ ტომარებში ინახავენ ოდნავ რომ გაათბონ სახლები.

ეს პრობლემები „ნაც.მოძრაობას“ არა აქვს! ხომ ვნახეთ 2000 „ოპტომ წასული ნაცი“ კლაიპედაში, კალათბურთის „საბალეშჩიკოდ?“ როგორ ცხოვრობენ „ვარდები“, აქედანაც ჩანს, რადგან გარდა თვითმფრინავის ბილეთის საფასურისა, კარგი სასტუმრო, კვება და გართობაც ხომ უნდათ? რამდენიმე ათასი დოლარი რა მოსატანია, როცა ქვეყნის ბიუჯეტი მილიონობით ლარით იზრდება ჩვენი დამსახურებით, ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებით, რომლითაც ჩვენ კი რა, სწორედაც რომ „ნაცებმა“ უნდა იგულაონ“ მთელ მსოფლიოში?

მათთვის ჩვენ უსარგებლო, კომუნისტური ეპოქის ნარჩენები და ნაგავი ვართ! ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, თუ გონს მალე არ მოვეგებით, ერთ დიდ ნაგავსაყრელზე მიგვიჩენენ ადგილს და ათასი ძაღლისა და ვირთხების საძიძგნად გაგვიხდიან თავებს.

თუმცა რაღა მომავალში, განა უკვე დღეს ერთ დიდ ნაგავსაყრელზე არა ვყრივართ და არ ვიხრწნებით?

ფუი, ჩვენს პატრონს, ქართველებო, და ვაი, ჩვენს პატრონს, ამდენს რომ ვითმენთ და მაინც „მიშა მაგარიას“ რომ გავკივივართ მსოფლიოს გასაცინებლად.

ახია ჩვენზე, ახია.

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. ამ დღეებში ოქროყანის საგარაკო სახლების მოსახლეობა ქალაქის მერს გიგი უგულავას და საკრებულოს ოპოზიციურ პარტიებს წერილს ვუგზავნით და მოვითხოვთ, როგორც წყალზე, ისე ნაგვის გადასახადზე განმარტებები გააკეთონ.**

**აღნიშნულ წერილს ხელს მოაწერს უკლებლივ ყველა ოჯახი, რადგან აღნიშნულ დასახლებაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმუშევარია და გაზრდილი, თანაც დაუსაბუთებელი გადასახადის გადახდის არც საშუალება გააჩნია და არც სურვილი! აგრეთვე ოქროყანაში ამოსვლას ვაიძულებთ „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერის“ ხელმძღვანელობას და სწორედ იმ დაგუბებული აშმორებული წყლის დალევასაც ვაიძულებთ, რომლითაც მთელი ამ წლების განმავლობაში გვწამლავდა და თანაც ამოდენა ფულს გვახდევინებდა.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# facebook

# xa l xis az r iT



## შემოგვიერთდი facebook-ზე „საერთო გაზეთი“

არ ვიცი სად შეიძლება იმღეროს მსოფლიოში ერთმა დედაკაცმა რამოდენიმე ქალაქზე...სიმღერა თბილისზე-ბათუმსა და ქუთაისზე...უბრალოდ ამ დედაკაცს თვითონ უნდა შერცხვეს...აფხაზეთზეც ხალხნო...აფხაზეთზეც ეს დედაკაცი მღერის...რა ნიჭი დაატყდა ასეთი საქართველოს! ამოვიდა ყელში...კრავის სამოსში გამოწყობილი მგლების ყურება...გულის ამრევია ყველაფერი...თან არჩევანის საშუალებაც არა გაქ! ვინუჟდენი ხარ ამ ნაციანალურ გოიმობას უყურო...

**ნაციონალებში უნდა შევიდე, იდეალიზმი საქართველოში არაპრაგმატულია, სამაგიეროდ პრაგმატიზმი საქართველოში იდეალურია! ჰაილ ფული! ფულს ვაზელინის სუნი არ ასდის! ფული დამჭირდა და.... საკმარისი არაა ამდენი ძალით მარტვილობა? ხალხი აშენდა, ლექსუსებით დადიან. გავნაციონალდები და მეგობრებიც ბევრი მეყოლება, ნათესავებიც იტყვიან — როგორც იქნა ჭკუაზე მოვიდაო! ეხლა პიტნის ჩაის ვსვამ, მერე მილკშეიკს დავლევ, შარდენზე მერვე კოქტეილის დაცლას მორიდებული ბოყინით ავღნიშნავ, თქვენ ვაბშე გამარჯობას არ გეტყვით, ახალ ფეისბუკს შევქმნი, კირკიტაძეს, წურწუმიას და ბიჭოლას დავიმეგობრებ... ეჰ, ცხოვრება მოდის თუხთუხა! აბა, ლექსუსი,შარდენი, ზონტიკი კოქტეილში და პერო ტრაკში? რა აზრი აქვს ცხორებას წარმატებულობის ამ ნიშნების გარეშე?**

შვილს საბჭოთა კავშირზე მოვუყევი. გაიკვირვა, რა არ მოგწონდათო?—ტოტალიტარიზმი იყო და სიტყვის თავისუფლება არ იყო-მეთქი, და,—ახლა ხომ იცი, თავისუფლებაში ცხოვრობო. ... მონობის ერთი ფორმა მეორე, უარესი ფორმით შეიცვალა...ახლა ზოგს ჰგონია, არჩევნებით მიშას გავუშვებ და გრიშას დავსვამ, — მეშველებაო. ისე არაა ჩემი მტერი, არჩევნების შემდეგ ნახონ დედის ტ... და შიმშილი!

ბალახვანი არის კარგი ადგილი... ჰავაც კარგია და მწვანილიც ევროპელებს რომ უყვართ, ისეთი მოდის. ალმაშენებელიც იქ დაასვენეს, დროებით, ალბათ... სადგურია და თან ქუთეისის შუაშია! ე.ი. პირველი ევროპელების პირველი ქოხიც ალბათ ბალახვანში იყო... სადგურიდან უცებ რომ მიესწროთ ამსტერდამის და ბარსელონას მატარებლებზე.

იუნესკო ითხოვს ადგილს ევროპის ჭიპის ძეგლის დასადგმელად და საფიჩხია უნდა იყოს თუ ოლასკურა?როგორ გეტყობათ, რომ პრეზიდენტს არ უსმენთ. წალენჯიხა - განვლილი ეტაპია! ახლა იმერეთზე გოუსკდა სიყვარულის ბუშტი. მაგი ვნახეთ ბუშტგამსკდარი საღორიის ტყეში!

ქართველი ხალხი იაფფასიან აქსესუარებს მიაჩვიეს.ზოგი ტაშს რაზე უკრავს არ იცის, ზოგი კაბით ზღვაში შევარდება,ზოგი ქალი ფულისთვის ყველაფერს ყიდის და და ხასებით აივსო საქართველო. —გვიჭირს და რა ვქნათო, მაგალითად მოიყვანენ. ხასად დადგომას ყველაფერი სჯობია, ხელი უნდა დაიკაპიწო და არ უნდა შეგეზაროს დალაგება, გათოხნა, გარეცხვა, მოვლა—პატრონობა, მაგრამ არა, იოლად ფულის შოვნას ვართ მიჩვეული,ჩვენი მამაკაცებიც, ბოდიშს ვიხდი ზოგიერთთან, ერთი კათხა ლუდი და სიგარეტი მიეცი, საკმარისია, ხელს არ გაანძრევს.დღეს საქართველოს ბევრი პრობლემის უმეტესობა ქართველი კაცების სიზარმაცეზე, უკადრისობაზე და უგულობაზე მოდის.ჩემო ძვირფასებო, ქალების იმედად ოჯახში იყავით, გარეთ ნუ იქნებით და ცოტა ფხაც გამოიღეთ, თორემ დაგვექცა საქართველო თავზე.

ქობალიას თქმით, წელს საქართველოს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ მ ა ზრდამ 6,5% შეადგინა, რაც მეტწილად ტურიზმის განვითარებით არის განპირობებული.....))) დაარბენინებენ ამ ხალხს ხან სვანეთში კონცერტზე, ხან **ბათუმში ოპერა "მეხუთე ელემენტზე"**, უკაცრავად "ქეთო და კოტეზე", ხან ანაკლიაში, ხან ქუთაისში, შიგადაშიგ მთავრობის სხდომას შეურევს ხან გამოქვაბულში, ხან ზღვის ფსკერზე, ხან მთის მწვერვალზე, მერე 1-2 უკრაინელი ნაშოჩკაც გაეძრობა ბაკურიანში და მათ სანახავად ჩავა სრულიად საქართველოს მთავრობა და უსაქმურობა და ფიქსირდებიან ტურისტებად! :)



მონური ფსიქოლოგიის ადამიანების გამო სამარცხვინო ქვეყანა ვართ დღემდე. ერთეულები პარსავენ ქვეყანას და ათასები ამ ტაკოგასქელებულებს უანგაროდ ემონებიან. ფეხებს ულოკავენ დაჩოქილები... და მათ გამო ნორმალურ ხალხსაც თავზე წაგვასხდნენ : ) არაუშავს მგლებო, სწორი კურსი უნდა დავიჭიროთ და სააკაშვილის ალტერნატივად მასზე უარესი ბურჯანაძე და მსგავსი მოღალატეები არ უნდა დავაყენოთ. მხოლოდ ეს არის საჭირო და ამ ომს მოვიგებთ.

ზნეობრივ იდეოლოგიაზე უფრო ძლიერი იდეოლოგია მსოფლიოში არ არსებობს, რომელსაც ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში მტრის მიერ არის მოკლებული და არც არავინ სერიოზულად ფიქრობს და იბრძვის ამისთვის, ალბათ იმიტომ რომ არ იცის ამ იდეოლოგიის ფასი და ძალა. იდეოლოგიის გარეშე კი ქვეყანა ქვეყანა არაა, ასეთი ქვეყანა ურემზე მობმულ სათრეველას გავს.

სააკაშვილმა იმდენი ჰქნა, რომ ამ ხელისუფლების მიმართ უკანასკნელ იდიოტს და ნაძირალასაც მორალური უპირატესობის განცდა გაუჩნდა. ამასაც ნიჭი უნდა და მოხერხება.

ზოგმა ამ ბოლო დროს დაინახა მისი ც რ უ პ ე ნ ტ ე ლ ო ბ ა , ზოგმა უფრო ადრე, ზოგიც გაურკვეველ პერსპექტივაში მიეცემა გამორკვევას, მაგრამ ქვეყანას და დაკარგულ წლებს ამით არაფერი ეშველება!!! ხალხისგან დაიცალა ქვეყანა და უფრო მეტი ემზადება გასასვლელად, აქ ვერანაირ პერსპექტივას ნახულობენ და ეს არის საგანგაშო, თორემ მაგას, რომ მოსწონს რამდენიმე ჭკუასუსტთან ერთად, ისეთი ვასიუკი-საქართველო უკვე „აშენებულია„:(((((((((((((

სვანეთში დაცული საგანძური, მესამე თვეა მუზეუმის ეზოში, კონტეინერებშია ჩაწყობილი. გავრცელებული, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ხელისუფლებას სიწმინდეების ზუგდიდის მუზეუმში გადატანა უნდა. სვანები ამბობენ, "დაფიცებული გვაქვს და ერთი სვანიც რომ დარჩეს, საგანძური აქედან არ გავა, მკერდით გადავეფარებით, მთელი სვანეთი აღდგება. სიწმინდეების აქედან გატანა სვანეთის ამოწყვეტას ნიშნავსო!!!

იმიტირებული ხიდი ანუ "ამაზე გრძელიიიიიიიიიიი, ამაზე დიდიიიიიიიიი...." ჯერ არ ყოლია ..... ევროპა ფლიდი ... :) :) :)

სატანაშვილის და მისი პირადი უსაფრთხოება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართველი ერი გაიხლიჩოს და დააბეჩაოს, საქართველოში რეალური ოპოზიცია აღარ არსებობდეს, რომ ხალხი არ გაერთიანდეს და სატანაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კონსოლიდაცია არ შედგეს. როგორ უნდა აღვუდგეთ საქართველოს მტრის ამ ჩანაფიქრს? როგორ უნდა დავიბრუნოთ ზემოთ აღნიშნული ყოველივე?

ინტელექტუალური და ეკონომიკური წარმატების ზენიტში იყო ბერტრან რასელი, როცა თქვა: ორი რამ მაწვალებს და მტანჯავს დღემდე: განცდა, რომ რაღაც არ ვიცი და სიღარიბე, რომელიც მსოფლიოში არსებობს!

ესენი თუ აგენტობას დამაბრალებენ, ეს არ უნდა იყოს ცუდი... მოვა დრო, ამათ დროში მინისტრობა ბოზობის და ჩათლახობის ექვივალენტად რომ იქნება აღიარებული

მაშასადამე, გავარკვიეთ! მტრის ძირითადი საყრდენია "ოპოზიცია"! გამოვაცლით და მიშიკაც დაასკდება!



# ცა მიწიდან იწყება

*დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე ამ ჩანაწერებს წლების განმავლობაში აკეთებ-და. ზაფხულში თამაზ ჭილაძემ ძმის გარდაცვალების შემდეგ ამ ჩანაწერებს თავი მოუყარა და ერთ წიგნად შეკრა.*

*გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნიდან.*

მთვარესაც მოვბეზრდით — ყოველდღე არ ამოდის.

ჯობს, სულ არ გააჩინო ბავშვი, ვიდრე ცუდად გაზარდო, არც ერთი ცხოველი არ არის უზრდელ ადამიანზე საზიზღარი.

ან მწერლობა, ან ოჯახი. მე, ალბათ, ათ პროცენტსაც არ ვაკეთებ იმისას, რასაც გავაკეთებდი, „თავისუფალი" რომ ვყოფილიყავი (1968 წ.)

ცა მიწიდან იწყება.

მამებზე არ უნდა გაბრაზდე, ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან: ახალგაზრდობაში თავიანთ სიცოცხლეს უფრთხილდებოდნენ, სიბერეში კი საკუთასაც და შვილებისასაც.

საქართველო იმ გემს ჰგავს, საჭე რომ გაფუჭებია, ანძები რომ დამტვრევია, კურსი რომ დაკარგვია, ეკიპაჟს რომ მიუტოვებია, მაგრამ ტრიუმი სასმელ-საჭმელის დიდი მარაგით აქვს ამოვსებული.

სამშობლოზე უნდა ილაპარაკო მოკლედ და გასაგებად, როგორც მომაკვდავზე ლაპარაკობენ.

სიკვდილი სხვაა, დაღუპვა კი სხვა, დაღუპვაა საშინელება და არა სიკვდილი.

როცა გაიგებ, როგორ ჩნდებიან ბავშვები, თავს დავალებულად ნუ ჩათვლი მაინც, სანამ იმასაც არ გაიგებ, როგორ არ ჩნდებიან ისინი.

სიკვდილი არა მარტო საზარელია, არამედ ძნელიცაა.

ნიჭიერი ხარ, როგორც უკანონობა და არავითარ კანონს არ ემორჩილება, როგორც ნიჭიერება.

ჩვენი უბედურება ისაა, რომ ევროპელებისთვის აზიელები ვართ, ხოლო აზიელებისთვის ევროპელები, სინამდვილეში კი რა ვართ, ეშმაკმა იცის.

ვისაც ებრძვი, იმას ემსგავსები.

ბრძენს გული მარჯვნივ აქვს.

ქართული სუფრა აკადემიააო, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, აკადემიაც ქართულ სუფრად ვაქციოთ.

რაც მარტო შენ იცი, დამარხული განძია-გაზიარებული ცოდნა-მოძრაობაა!

ბებერ ცოლს კი არ გაურბის კაცი, არამედ საკუთარ სიბერეს, ცოლის თვალებში დანახულს.

ბედნიერება უნდა მოითმინო!

თუ დანარჩენ კაცობრიობას ძმის მკვლელობა ადევს ცოდვად, ჩვენ, ქართველებს ჩვენი განსაკუთრებული ცოდვა გვაქვს — მამის მკვლელობა! ბევრი რამ ამ ცოდვის გამო მოგვდის კიდევ დიდხანს ვერ ამოვალთ, ალბათ, ამ ცოდვისაგან, თუკი საერთოდ ამოვალთ როდესმე.

ვაზის მოვლა ესთეტიკურად განვითარებულ ადამიანს ზრდის.

სინათლეში კაცი იმას ხედავს, რაც არის, ხოლო სიბნელეში იმასაც წარმოიდგენს, რაც უნდა.

სხვა ენაზე ლაპარაკი კი არ არის უბედურება, არამედ შენი ენა რომ არ იცი.

ახალი რუსული მოწოდება: დაჰკა ურიას, მაგრამ ნურც ქართველს დაივიწყებ (1990 წელი).

ბავშვობაში საითაც არ უნდა გაიხედო, დედის საკინძის დიდი ღილი დიდი ციმციმებს ყველგან!!! დედის საკინძის ღილითაა შეკრული ქვეყნის უბე!!! უფრო სწორად, უნდა იყოს შეკრული. დღევანდელ ცხოვრებას დედის საკინძის ღილი აკლია სწორედ.

მწერალიც, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი ადამიანია და არც მისთვისაა უცხო ადამიანური მანკიერებანი. ასე რომ, რ მარტო გარდასულ ეპოქებში, დღესაც მრავლად არიან ხელისუფლების მიერ „არჩეული" და „დანიშნული" მწერლები, რომლებმაც კოლეგებზე უკეთ იციან, როგორ მოიქცენ, ვის შეასხან ხოტბა, რას დაუკრან ტაში, რა დააბრალონ სხვებს და რა დაიბრალონ თავად.

პოლიტიკოსი მომენტის, სიტუაციის თავადია, მწერალი კი — მარადისობის მსახური.

პოლიტიკა ქალივით ვერაგია და ცვედანივით ცინიკოსი — შეიძლება ურჩხულის ფიტულით შეგაშინოს და, შეშინებული, შენი ნებით ჩაუვვარდე ურჩხულს ხახაში.




რაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ჰონორარი ამიღია, იმდენი პარიზში ერთხელ ჩაფრენასა და გამოფრენას სჭირდება.

შეიძლება გძულდეს, მაგრამ გესმოდეს ადამიანის, ასევე შეიძლება გიყვარდეს და არაფერი გაგეგებოდეს მისი.

ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თავადაც გარეწარია. გარეწრობა გადამდებია, შეხებითაც გადადის.

როგორც კი გაგვიჩნდა სახელმწიფოს აღდგენის შანსი, სამშობლოს ბედს ანაბარა ვტოვებთ და გავრბივართ... უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების მოსაპოვებლად, რის გამოც სამშობლოსთან ერთად, ვკარგავთ ღირსებასაც.

თუ მართლა შემგტკივა გული ნუკი მომატყუებ — ბედნიერი — ხარო გამარკვიე, რატომ ვარ უბედური.

რაც არ უნდა ცუდი ჯანმრთელობა გქონდეს, სიკვდილამდე მაინც გეყოფა.

გუშინ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და, ამიტომაც თქმას აზრი ჰქონდა, დღეს კი ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ თქმას აზრი არა აქვს.

თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს შენს ნებაზე ცხოვრებას-პირიქით, თავისუფალ კაცს მეტი თავშეკავება მოეთხოვება, ვიდრე მონას. ძალიან არ მინდა, რომ მონა ვიყო.

ჩვენი ყველაზე დიდი მტერი, რომელთანაც ვერაფერს გავაწყობთ, ჩვენივე უთავობაა!!!

... მაგრამ მე მაინც ჩემს უთავო ხალხთან ერთად დავიღუპები!!! სხვა გზა არ არსებობს და ესეც თავისებური ბედნიერებაა.

ნიჭს თრგუნავს მხოლოდ უვიცობა!

ჩვენ თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის. საკმარისია — დავმშვიდდეთ, დავლაგდეთ — ისე გავითქვიფებით დრო-ჟამის დინებაში, ვერც კი შევამჩნევთ.

ნელ-ნელა ვეჩვევით იმ აზრს, რომ ქართველი ერი საქართველოშიც კი არ არის საჭირო, რომ ქართვლის სმენა „ბიგ-ბენის" ხმას უკეთ აღიქვამს, ვიდრე, ვთქვათ, სიონის ზარისას.

დამპატიჟეს გერმანიის საელჩოში, გერმანიის გაერთიანების დღესთან დაკავშირებით — 3 ოქტომბერს! რა გინდა რომ ჩაიცვა?! არა თქვა ახლა, მღვდელს ჭილობში იცნობენო. კოსტუმი თუ არა, ერთი გამოსასვლელი შარვალი და პიჯაკი მაინც უნდა ჰქონდეს 62 წლის მწერალს... მართლა უნდა ჰქონდეს?! (1995 წელი).

რა არის მთავარი-ეკლესიების აღდგენა-აშენება, თუ ღვთისნიერების გამოჩენა მოყვასის მიმართ, რომელიც უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას ქუჩაში გამოუგდია... ლოცვა ცისქვეშაც შეიძლება, მაგრამ ობლისა და უპოვარის ცის ქვეშ დატოვება-დანაშაულია.

თოვს... ბნელში ვზივარ, მაგრამ ზამთარს მაინც ეტირება დედა. ვამბობ „ზამთარს" და ვგულისხმობ „ხელისუფლებას". საქართველოს ვინც ყიდის, ნებისმიერი თვალსაზრისით, ყველას დედა ეტირება, ისე მე ვიხარო! როგორ? რანაირად? — არ ვიცი, მაგრამ არა მწამს! უფრო ზუსტად ძალიან მინდა, ასე მოხდეს. გინდა ბოროტად ჩამთვალეთ, გინდა ანტიდემოკრატად. 12 თებერვალი, 1996 წ.

მე მგონი, თურქეთი და რუსეთი ერთიდაიგივე მოვლენაა, ორად გაყოფილი, თხილის სატეხის ორი ყბაა — თხილი კი საქართველოა.

...საქართველოს ჭირს პროგრესული დამბლა-ფსიქიკის თანდათანობითი დაქვეითება-ერთგვარი ნერვიულ-ფსიქიკური დაავადება, რომელსაც სიფილისი იწვევს, ხოლო ვინ შეყარა საქართველოს სიფილისი, ალბათ, უთქმელადაც იცით ყველამ.

ნებისმიერი თითი დაიზიანე შეგნებულად, თუ გინდა, რომ მიხვდე, რამდენად აუცილებელია ის თითი შენთვის.

კინტო ულოცავს საქართველოს აღდგომის დღესასწაულს. ჩემი აზრით, ქვეყნის უკეთესად გაბითურება, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია. კინტოების რესპუბლიკა! საწყალი გრიშაშვილი გამწარებული გვაფრთხილებდა, კინტო საგინებელი სიტყვააო, მაგრამ ჩვენ მაინც ჯიუტად მივისწრაფით კინტოობისკენ, გაკინტოება დაგვისახავს მიზნად. ეს გვგონია, გვირგვინი ჩვენიეროვნულობისა და, ადვილი შესაძლებელია, მართლაც ასეა?

ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ერთნაირი ბოროტებაა თურქული უნივერსიტეტისა თუ ფრანგული კოლეჯის გახსნა-ერთიცა და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ სიბნელეს ამკვიდრებს ისევ.

ადამიანი კი ქმნის საკუთარ თავს, მაგრამ ღმერთი წარმართავს მის „ბედს". ადამიანი თავად კი არ ქმნის, სხვის დაკვეთას ასრულებს. შეიძლება, თავად არ მოსწონს, როგორიც არის, მაგრამ ღმერთს სწორედ ასეთი სჭირდება. ის ღმერთი ყველა ჩვენგანს აკვირდება და ჩვენთვის მიუწვდომელ, გაუგებარ შენიშვნებს თავისი უბის წიგნაკში იწერს.

დიახაც რომ გვიჭირს მონობიდან გამოსვლა. უფრო სწორად, მონობიდან გამოსვლაა ძნელი, ამას თუ მოახერხებ, გინდა თუ არა, თავისუფალი იქნები, როგორც დღეს აუცილებლად ღამე მოსდევს, გაზაფხულს — ზაფხული, მონობაც ყოველთვის თავისუფლებით მთავრდება.

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# metismeti Semwynarebloba xelaxali Zaladobis safrTxes qmnis saqarTveloSi

## Tu amerikis SeerTebuli Statebi xels Seuwyobs ruseTis msoflio savaWro organizaciasTan mierTebas, SeuZlia moskovs aiZulebs kidec, rom molbes

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთს ადანაშაულებს, რომ იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე სასტიკ თავდასხმებს აწყობს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად (რომელმაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი შეაჩერა), მათ შორის ურთიერთობა კვლავაც დაძაბულია და შეიძლება ითქვას, რომ იგი უარესდება კიდეც.**

ძალადობის განახლება საფრთხეს უქმნის რუსეთ-ამერიკის გადატვირთვას; იგი ძირს უთხრის თანამშრომლობას, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსთვის და რომელმაც არ უნდა დაუშვას ირანსა და სხვა ცხელ წერტილებში – ავღანეთსა და ლიბიაში ბირთვული იარაღის გავრცელება.

გავიხსენოთ, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში: 7 აგვისტოს რუსეთის არმიის 58-ე ბატალიონი შევიდა სამხრეთ ოსეთში, ხოლო რუსეთის საბრძოლო ავიაციამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამიზნეებს დაარტყა. რუსები თბილისიდან 40 კილომეტრში შეჩერდნენ. ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს დასუსტებასა და სააკაშვილის თავიდან მოცილებას ისახავს მიზნად.

რუსეთმა დამატებით საქართველოს ტერიტორიების – ახალგორისა და კოდორის ხეობის ოკუპაცია მოახდინა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის გარშემო უკანონო ბუფერული ზონები შექმნა. რუსეთმა დაბლოკა და სამხრეთ ოსეთში არ შეუშვა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), აუკრძალა საქართველოში მყოფ გაეროს დამკვირვებლებს აფხაზეთში მუშაობა, ახლა კი ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის კონფლიქტის ზონაში შესვლას ეწინააღმდეგება.

რუსეთი აგრეთვე ბარიერებს უქმნის ჰუმანიტარული და უფლებადამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით მათთან გააფორმა შეთანხმება – 49-წლიანი ვადით იჯარით აიღო ეს ტერიტორიები და მასზე განათავსა: რუსეთის არმიის 10-ათასიანი შემადგენლობა, მოიერიშე ვერტმფრენები, ტანკები და რაკეტები; თანაც ეს ხდება იქ, სადაც



ადრე, ანუ ომამდე მსგავსი რამ არ ყოფილა.

რატომ უნდა ანაღვლებდეს ეს ყოველივე ამერიკის შეერთებულ შტატებს? იმიტომ, რომ საქართველო ამერიკის მეგობარი და მოკავშირეა. ომის შემდგომ პერიოდში, ამერიკამ საქართველოს ერთ მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გამოუყო. 2009 წელს ამერიკასა და საქართველოს შორის დადებული სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის დებულებები, რომლის თანახმადაც საქართველომ ავღანეთში ნატოს დაჯგუფებებში თავისი 1000 სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა. საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ენერგორესურსების ევროპაში ტრანზიტისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ხელს უწყობს ენერგომატარებლების დასავლეთში მიწოდების ზრდას. თუკი ვერ მოხერხდება რუსეთის შეჩერება, მისი ნეოიმპერიული მისწრაფებანი სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, იგი ჩაითრევს საქართველოს და დაანგრევს დასავლეთის ენერგოუსაფრთხოებას.

ახლა უმთავრესი პრიორიტეტია კონფლიქტის განახლების თავიდან აცილება. ობამას ადმინისტრაციამ უნდა მოსთხოვოს რუსეთს, გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან. უნა მოითხოვოს აგრეთვე უფრო გამჭვირვალე გახდეს რუსეთელთა მოქმედება კონფლიქტების ზონაში და იქ ევროპელ დამკვირვებლებს შესვლის საშუალება მიეცეს.

ამასთანავე, ამერიკამ და ევროკავშირმა, საქართველოსთან ერთად, უნდა მიიღოს „მათრახისა და თაფლაკვერის" სტრატეგია რუსეთის მიმართ, რათა მან შეცვალოს თავისი ზრახვები და ტაქტიკა. აუცილებელია ეკონომიკური წახალისების ბერკეტების ამუშავება, ნდობის გაღვივება და ქართველებთან ურთიერთხელსაყრელი კომერციული კონტრაქტების სანაცვლოდ აფხაზებისა და სამხრეთოსეთელების რუსეთის კონტროლისგან გამოხსნა.

ამერიკამ ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან რუსეთის მიერთებას წლეულსვე. თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობაში უფრო დამყოლი იქნება, აშშ ზეგავლენას მოახდენს კერძო კაპიტალის ბაზარზე – ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რუსეთის ეკონომიკური განვითარებისა და პრივატიზაციის გეგმების განხორციელებისას, რაც საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევას ისახავს მიზნად.

დისკუსიები აშკარად სჯობს პროვოკაციებს. ჟენევის მოლაპარაკებები მართალია რთული, მაგრამ აუცილებელი ფორუმია რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა ურთიერთობისთვის. ეს მოლაპარაკებები სამშვიდობო შეთანხმებას ვერ მოიტანს, მაგრამ სასარგებლო ინსტრუმენტია ცალკეული ინციდენტების გასაკონტროლებლად.

ნდობის აღდგენას ხელს შეუწყობს დეკლარაციის გაფორმება, რომელიც დაავალდებულებს საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აუღიარებელ ხელისუფალთ, არ გამოიყენონ ძალა ერთმანეთის წინააღმდეგ. დეკლარაცია არ არის შეთანხმება სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, ამიტომაც იგი არ გულისხმობს საქართველოს მიერ თვითაღიარებული რესპუბლიკების ცნობას. ამ დეკლარაციამ უნდა გაამყაროს საქართველოს მოთხოვნა, რუსეთმა გაიყვანოს თავისი ჯარები. იგი იმასაც აშკარად წარმოაჩენს, რომ საქართველო სერიოზულად არის განწყობილი ურთიერთობისთვის.

ურთიერთქმედება და აუღიარებლობა არ არის ურთიერთგამომრიცხავი ცნებები. მიმოსვლის რეჟიმის გაიოლება ხელს შეუწყობს ხალხებს შორის ურთიერთობას. ადმინისტრაციულ საზღვართან ჩაისა და ციტრუსის აგროსამრეწველო წარმოების აღდგენა საერთო ინტერესებს გააჩენს. შავიზღვისპირეთის ტურიზმი და სოჭის 2014 წლის ოლიმპიადა სავაჭრო თანამშრომლობის შესაძლებლობასაც გააჩენს. სასურველი იქნებოდა აფხაზეთთან საზღვაო და საჰაერო საერთაშორისო მიმოსვლაზე არსებული შეზღუდვის შეცვლა, განსაკუთრებით კი თურქეთთან საბორნე მიმოსვლაზე. გასაფართოებელია ჰუმანიტარული, ჯანდაცვისა და განათლების დარგებში ურთიერთგაცვლის პოლიტიკა.

თავის დროზე გადატვირთვის ღილაკის ამუშავებამ ამერიკასა და რუსეთს შესაძლებლობა მისცა, უფრო ეფექტიანად ეთანამშრომლათ, მაგრამ მათ ურთიერთობაში დაძაბულობა კვლავ შენარჩუნებულია. რუსეთელების ერთი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოწინააღმდეგედ აფასებს. რუსეთის ოფიციალურ სამხედრო დოქტრინაში ნატო ადრინდელივით რუსეთის სახელმწიფოს მთავარი გარეშე საფრთხეა. ეს ფაქტორი განაპირობებს სამხედრო დანახარჯებს და რუსული ბირთვული ძალების არსებობასაც. ობამას ადმინისტარცია აღიარებს, რომ რუსეთს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია ყოფილი საბჭოთა ტერიტორიის მიმართ, თუმცა უარყოფს რუსეთისთვის გავლენის სფეროს არსებობის იდეას.

რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმების სრულად შესრულება სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალებაა. სტარტეგიული დათმენა – ვითარების გაუარესების დაუშვებლობის ერთი საშუალებაა, მაგრამ ამით პრობლემების მოგვარება ვერ ხერხდება; პირიქით, ისინი გაღრმავდება, თუკი ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მეტ ინიციატივას არ გამოიჩენს მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

***დევიდ ფილიპსი*** – *კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ადამიანის უფლებების კვლევის ინსტიტუტის პროგრამის დირექტორი; ჰარვარდის უნივერსიტეტის მომავლის დიპლომატიის პროექტის მეცნიერი თანამშრომელი*

**The Washington Times**

# ruseTi arad agdebs saqarTvelos da Sveicariis imedzea

***შვეიცარიის ნეიტრალური სტატუსი რუსეთს იმის დიდ იმედს აძლევს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების 18-წლიან უპრეცედენტო მოლოდინს ბოლო მოეღება, წერს Business Week.***

„რუსეთი ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლას 1993 წლიდან ცდილობს. მან ჩინეთსაც კი „აჯობა", რომელიც 15 წელიწადი ელოდა მსო-ში შესვლას. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მხარს უჭერენ რუსეთს, მაგრამ მისი სამხრეთელი მეზობელი – საქართველო უკვე 5 წელია სარგებლობს უფლებით და ეწინააღმდეგება რუსეთის სურვილს, გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი და ამ ბერკეტს ხელსაყრელად იყენებს. 2008 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ხუთდღიანი ომი იყო გაჩაღებული", – გვახსენებს გამოცემა.

„შვეიცარია 1815 წლიდან ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებს. ეს არის ქვეყანა, სადაც თავს აფარებდა როგორც რუსული რევოლუციის მამა ვლადიმირ ლენინი, აგრეთვე საბჭოთა დისიდენტი ალექსანდრ სოლჟენიცინი. ეს არის ასევე ის სახელმწიფო, რომელიც შუამავალია რუსეთსა და საქართველოს შორის მსო-ში გაწევრიანების საკითხზე გამართულ მოლაპარაკებებზე. ასეთი შეხვედრა მარტიდან მოყოლებული უკვე ოთხჯერ გაიმართა და მორიგი რაუნდი ჟენევაში 12 სექტემბრისთვის არის ნავარაუდევი", – ვკითხულობთ წერილში. შვეიცარია დამოუკიდებელია ისეთი ბლოკებისგან, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი და ამიტომაც ეს ქვეყანა რუსეთისთვის უფრო მეტად ლეგიტიმურია.

„შვეიცარიის ნეიტრალიტეტი, ნატოს და ევროკავშირისგან განზე დგომა უდიდესი უპირატესობაა, რადგან მას არ გააჩნია საიდუმლო პროგრამა, – აღნიშნავს შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის წარმომადგენელი დენიელ უორენი. – არ არსებობს არანაირი დაინტერესება, გარდა პრესტიჟისა".



საქართველო საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან, ხოლო 2006 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აკრძალა ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და ხილის იმპორტი და გაზის მიწოდების შეწყვეტითაც იმუქრებოდა, საქართველო ეწინააღმდეგება რუსეთის შესვლას ამ სავაჭრო ორგანიზაციაში. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ოკუპაციის" შემდეგ კი საქართველო საბაჟო და სასაზღვრო ადმინისტრირებაშიც ითხოვს დათმობას.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა 4 აგვისტოს საქართველოს და რუსეთის საინფორმაციო საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის სანაცვლოდ, არანაირ პოლიტიკურ დათმობას არ აპირებს საქართველოსთან. „სავაჭრო ორგანიზაციაც კი არ არის ის საფასური, რომლის გამოც რამე დათმობა ღირს", – განაცხადა მან.

რუსეთი და საქართველო ერთმანეთთან ურთიერთობს შვეიცარიელი დიპლომატების მეშვეობით, რომლებმაც შეიმუშავეს დოკუმენტი სასაზღვრო კონტროლის გამჭვირვალობის ასამაღლებლად. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის განცხადებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის საზღვარზე ვაჭრობისა გამჭვირვალობა სავსებით შესაძლებელია და ეს პროგრესის მაჩვენებელიც იქნება.

**Business Week**

მსოფლიო პრესის მიხედვით

# afxazeTis yvela prezidenti kremlis erTgulebis politikis momxrea

***თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული იყო, აღნიშნავენ დამკვირვებლები. გაიმარჯვა პოლიციის ყოფილმა შეფმა, 59 წლის ალექსანდრ ანქვაბმა, რომელსაც ხუთჯერ მოუწყვეს ტერაქტი, მაგრამ გადარჩა. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ერთი რამ აერთიანებდა — თითოეული საქართველოსთან რამე კავშირს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გარანტი კვლავ რუსეთია, წერს უცხოური მასმედია.***

## visac ar unda gaemarjva, TiToeuls moskovis winaSe valdebuleba ekisreba



აფხაზეთის პრეზიდენტობას ერთმანეთს ეცილებოდა სამი კანდიდატი — ისინი 1990-იანი წლების აფხაზურ-ქართული სეპარატისტული ომის ვეტერანები არიან, წერს თჰე ჭასჰინგტონ პოსტ. მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა თვითაღიარებული აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო, ეს იყო პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. წინა პრეზიდენტმა, აწ გარდაცვლილმა სერგეი ბაღაფშმა „განამტკიცა ქვეყნის კრემლის ერთგულების კურსი, რომელიც მოსკოვის გულუხვ ფინანსურ მხარდაჭერას ეფუძნებოდა“, — ვკითხულობთ წერილში.

„არჩევნებში მონაწილეობის მსურველთაა რიგები იდგა ომის დროს დაზიანებულ და გაპარტახებულ შენობებთან — ისინი იმ კონფლიქტს ახსენებდა ხალხს, რომლის შედეგადაც ასეულობით ადამიანი დაიღუპა და ათეულათასობით კი დევნილი გახდა. საარჩევნო პროცესის პარალელურად, ათასობით ტურისტი კი პალმებით გარშემორტყმულ შავი ზღვის სანაპიროზე ნებივრობდა“, — გვიამბობს გამოცემის კორესპონდენტი.

ყველა კანდიდატი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდა; ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის უთანხმოება კვლავაც შენარჩუნდება. საქართველომ არაერთხელ მოუწოდა რუსეთს, გადაეტანა ოლიმპიადა-2014 სხვა ადგილას, რადგან სოჭი მეტისმეტად ახლოს არის „ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიასთან“ და ბოიკოტითაც იმუქრებოდა. აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი საქართველოსთან მიერთების კატეგორიული წინააღმდეგია. გამარჯვებულ ალექსანდრ ანქვაბზე თავდასხმები ადგილობრივ დამნაშავეებს ჰბრალდებათ, თუმცა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ანქვაბის საარჩევნო შტაბზე თავდასხმა არა კრიმინალურ, არამედ წმინდა წყლის პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ჰგავს.

აფხაზეთში ახლახან გამართული არჩევნები საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა საბჭოთა კავშირის ყოფილ რეგიონებში: მისი შედეგი წინასწარ არავინ იცოდა, დემოკრატიის პრინციპების დაცვა კი, როგორც ჩანს, სცადეს, წერს თჰე ნეწ ყორკ თიმეს. ალექსანდრ ანქვაბის გამარჯვება ბევრს არაფერს შეცვლის აფხაზეთის პოლიტიკაში. რუსეთი მის მიერ აღიარებული რესპუბლიკების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უპირველესი გარანტი იქნება კვლავაც: დღემდე არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ უღიარებია მათი დამოუკიდებლობა.

ადრინდელთან შედარებით, რუსეთი არც ერთი კანდიდატის სასარგებლო აგიტაციას არ ეწეოდა. „ეს გვაფიქრებინებს, რომ ვისაც არ უნდა გაემარჯვა, თითოეულს მოსკოვის წინაშე ვალდებულება ეკისრება.“, — ვკითხულობთ კომენტარებში.

ბევრ აფხაზს აწუხებს რუსეთის დაუფარავი გავლენა, ხოლო ამომრჩევლების უმრავლესობა ახლანდელი ვითარებით აშკარად კმაყოფილია. „ახლა აფხაზებს აღარ აქვთ იმის შეგრძნება, რომ მათ ტყვიამფრქვევებს უმიზნებენ და ეს რუსეთის დამსახურებაა. ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ ვერ შეძლო ამის გაკეთება“, — აცხადებს ადგილობრივი მკვიდრი გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას.

დიე თაგესზეიტუნგ-ის კორესპონდენტი აფხაზეთის შედეგების შესახებ აცხადებს — მოსკოვი მხარს უჭერდა არა ანქვაბს, არამედ მოქმედ პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას. მას ეხმარებოდნენ რუსეთელი პოლიტტექნოლოგიის სპეციალიტები, იგი აგრესიულ წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდა და ამით განსხვავდებოდა თავისი მოწინააღმდეგეებისგან. როგორც ჩანს, რუსი ექპერტები შეცდნენ: აფხაზები კონსერვატიული ხალხია და არ უყვართ, როცა ვინმე მეტისმეტად დაწინაურებას ცდილობს“, — წერს მიმომხილველი.

ანქვაბმა ხმათა 55 პროცენტით გაიმარჯვა. ერთადერთი, ვინც მას არჩევნებში გამარჯვება და ქვეყნის პრეზიდენტად არჩევა მიულოცა, რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევია. ევროკავშირს არ შეუძლია, აღიაროს საქართველოსგან გამოყოფილ რესპუბლიკაში გამართული არჩევნების შედეგები, რადგან საერთაშორისო საზოგადოებრიობას ოფიციალურად არ უღიარებია აფხაზეთის სუვერენიტეტი.

**ინოპრესსა**

# imedis sasmisi

***ქართული ოპოზიცია, რუსეთის სანიტარიულ ექიმ გენადი ონიშჩენკოსთან შეხვედრის შემდეგ, ამტკიცებს: ღვინის ქართველ მეწარმეებს რუსეთის ბაზარზე დაბრუნება წელსვე შეეძლებათ. საამისოდ კი აუცილებელია ამით უფრო მაღალ დონეზე დაინტერესდნენ, აცხადებენ პოლიტოლოგები.***

საქართველოდან ალკოჰოლური პროდუქციის ექსპორტი რუსეთში მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც „როსპოტრებნადზორი“ მათ სერტიფიცირებას მოახდენს, აღნიშნავს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა გენადი ონიშჩენკოსთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

„როსპოტრებნადზორის“ სამსახურმა რამდენიმე დღის წინ დაასახელა აუცილებელი პირობები: საექსპერტო შეხვედრები, საინსპექციო ვიზიტები და შესაბამისი დოკუმენტური და ლაბორატორიული კონტროლი.

ქართული მხარის მტკიცებით, 10-15 კომპანია მზად არის, უახლოეს ხანში, სექტემბრის ბოლომდე, „როსპოტრებნადზორს“ პროდუქციის ნიმუშები წარუდგინოს, ხოლო ქართული ღვინის პირველ პარტიას რუსეთში წლის დასასრულამდე შეიტანენ. ჯერჯერობით არ სახელდება ის კომპანიები, რომლებიც რუსეთის ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციით დაბრუნდებიან.

„ტექნიკურად ეს შესაძლებელია“, — განუცხადა **Âåäîìîñòè**-ს რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა. „საამისოდ აუცილებელია, ქართველმა მეღვინეებმა მიმართონ „როსპოტრებნადზორს“, წარუდგინონ ღვინის ნიმუშები და სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. ეს უკვე მეორე შეხვედრაა. პირველი ორი თვის წინ გაიმართა და მას შემდეგ წინსვლა არ იგრძნობოდა. თუკი პროდუქციას წარმოადგენენ, შესაძლოა, ეს საქმე ახალ წლამდეც მოესწროს“, — დასძინა ონიშჩენკომ. მისივე თქმით, დღემდე, მინერალური წყლის „ბორჯომის“ მომწოდებლების გარდა, ჩვენი უწყებისთვის არც ერთი მეწარმეს არ მოუმართავს.

2006 წლის მარტში „როსპოტრებნადზორმა“ შეაჩერა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნების მოქმედება ღვინოსა და ღვინომასალებზე, რომლებიც საქართველოსა და მოლდავეთში იყო დამზადებული, აკრძალა მათი შეტანა რუსეთში იმ მიზეზით, რომ მასში პესტიციდები აღმოაჩინა. „როსპოტრებნადზორის“ მაშინდე-



ლი მონაცემებით, ქართული პროდუქციის 59,2 პროცენტი არ შეესაბამებოდა ჰიგიენურ ნორმებს, აგრეთვე ორგანოლეპტიკურ და ფიზიკურ და ქიმიურ მოთხოვნებს.

2007 წელს „როსპოტრებნადზორმა“ 17 მოლდავურ საწარმოს ნება დართო, განეახლებინა პროდუქციის შეტანა რუსეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც ხარისხის სტანდარტი გააუმჯობესა და რუსეთთან შესაბამისი მოლაპარაკებებიც გამართა.

ქართველ პოლიტოლოგებს ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანა ბიზნესისთვის დიდად მომგებიანად არ მიაჩნიათ: საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა, ეს ნაბიჯი (პროდუქციის ექსპორტი) მის საწინააღმდეგო ქმედებად შეაფასოს. ქვეყნებს შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენას პოლიტიკური ნების მაღალ დონეზე გამოვლენა ესაჭიროება.

რუსეთის მთავარი სტატისტიკური უწყების მონაცემებით, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი 80 პროცენტს შეადგენდა. მაქსიმუმი იყო 2005 წელს: იმ წელიწადს საქართველომ სულ 5 მილიონ დკლ-ზე მეტი ღვინო აწარმოა და აქედან 3,75 მილიონი დკლ ღვინო რუსეთში გაგზავნა. ახლა საქართველო მხოლოდ 2,5 მილიონ დკლ ღვინოს აწარმოებს.

ევროპაში ქართული ღვინის ფასი ბოთლზე 10-20 დოლარია. რუსეთის მოსახლეობას, აკრძალვის მიუხედავად, ახსოვს ქართული ღვინის გემო, აღნიშნავს პროექტ ვინოტეკა.რუ-ს კურატორი: ნატურალური ნახევრად ტკბილი წითელი ღვინის კატეგორიაში საუკეთესო ქართულ ღვინოს „ხვანჭკარას“, „ქინძმარაულსა“ და „ოჯალეშს“ ანალოგი არ გააჩნია. იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული მსგავსი ტიპის ღვინო, ქართულთან შედარებით, 2-2,5-ჯერ ძვირია. რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისას, ქართველმა მეღვინეებმა უპირველესად ხარისხზე უნდა იზრუნონ და მაშინ მაღაზიაში ერთ ბოთლ ქართულ ღვინოში 15-20 ევროს გადახდა არავის დაენანება.

**vedomosti.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გულბაათ ჭავჭავაძემ.**



## ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da Tanamedrove TvalsazriiT ganxiluli

### ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი.

დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთი სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარი უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. მისაბჯერ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა“. ამ ციხეს „ფრიად მაგარი მდებარეობა“ ჰქონდა * ეხლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს. მისი სიტყვით, თერგს „გველეთს ქვეით ერთვის... ხევი“ რომელიც „სამხრეთ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა... ამ ხევს ქვევით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა არს დარიელა“, თერგის „აღმოსავლეთით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ“ აგებული. მან „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერაღარა ვიდოდნენ“, ხოლო „ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა; ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგინ“-ო (გეოგრაფია 228).

სახელოვანი ქართველი გეოგრაფის აღწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ თვითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის. მასში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვშველის. გველეთის ჩრდილოეთით თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც ქისტურა ეწოდება. აქ ვიწრო ხეობაში, ყოფილა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ციხე. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს-სამხედრო გზაზე რუსებმა სად. დარიალისა უწოდეს. აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია „ციხის ნანგრევიო“. ამის ჩრდილოეთით მირვან მეფის აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად ლარსია. ამაზე უფრო ჩდილოეთით-კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოებით ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო. აქაც, თვით ბატონიშვილ ვახუშტის დაწვრილებითს რუკაზე (იხ. ბროსსეს გამოც.) „ნასახლევი მეფეთა“ მართლაც „ჯარიეხის“ (ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა (იხ. იგივე რუკა).

ზემოაღნიშნულის მოსაზღვრე ადგილთაგან მოყოლებული, სამზღვარი მდ. ქისტურის ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა, ხოლო შემდეგ საქართველოს საზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე, როგორც მე-19 საუკუნეშიაც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული.

### II თავი.
### აღმოსავლეთის სამზღვარი.
### §2 აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ჯერ ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. რომლის სამზღვრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანის მთები იყო, სახელდობრ, კავკასიონის მთავარი უღელტეხილის ალაზნის შემდინარების გამყოფი ქედი. ჩრდილოეთით მას არიშის წყალი, სამხრეთით კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი შესაზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადგილამდის, საცა გიშის წყალი ალაზანს ერთვის. მერმე მოსამზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო (ქართველი ერის ისტ. მე-2, 309 და ვახუშტი. გეოგრაფია 304). რომ სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 რუკითაც მტკიცდება (იხ. რუკა).

მაგრამ სამხრეთის ამ ხაზის მდებარეობა ჩვენთვის მხოლოდ მაშინ გახდება ცხადი. თუკი გიშის წყლის მდებარეობა გარკვეული გვექმნება. თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული. მაგრამ ძველს ქართულს გიშს 5-ვერსიანი რუკის მდ. კიშა უდრის. ხოლო გიშის ციხე დაახლოებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა კიშ-კიშლაღი არის აღნიშული. ამჟამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე.წ. აგრი-ჩაის შემდინარეა. ცხადია, რომ ძველ დროს თვით ეხლანდელს აგრიჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში ერთვის, გიშის წყალი რქმევია. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გიშის წყალი მართლაც ალაზნის შემდინარედ გამოვა და ამ ადგილას საქართველოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება.

საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივ გავლენას დაღესტანზე და შაქზე. მაშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-13 ს-ის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი ქადაგება ლეკეთშიც-კი გადაიტანა. „ნათესავი ლეკთა წარმავლობისაგან მოაქცივნა“ და გააქრისტიანა (ჟამთააღ. 889, გვ. 731). წერილობითი მოწმობის გარდა ქართველთა დაღესტანში განმანათლებელი მოღვაწეობის ძეგლებიც, ეკლესიის ნანგრევები სახით არის შენახული და თვით ხუნზახშიაც-კი იყო შერჩენილი იქაური ეკლესიის ნანგრევის ქვა, ქართული ასომთავრული წარწერით შემკული (იხ. ე. თაყაიშვილი).

ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს, საქართველოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა. პირველად ჯერ კიდევ მე-13 ს.ში მოღოლთა ბატონობის წყალობით, სხვათა შორის, ჰერეთიც ძალზე დაზიანდა (ჟამთააღ. 875. გვ. 789), მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-17-ე ს.-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტანელთა შემოსევის და დაშენების გამო, მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობას დაძლევა დაუწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფიო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით. ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის-სასულთნო“, მეორეს — „ელისენი“, მესამეს —„ჭარი“. უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით, ამ ხეობას არჩილ მეფის „შემდგომად იწოდა ჭარი“ (გეოგრაფია 306).

რუსულ 5-ვერსიან რუკაზე, ფიფინეთის მაგიერ მთა ფიფანი (დიდი და პატარა) არის აღნიშნული, ჭარის მაგიერ კი „ჯარი“-ა დაბეჭდილი. მეფე ლევანმა, ვახუშტის სიტყვით, აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველწლიურ გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, „რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული“ (აქვე 306). მაშასადამე, ფიფინეთის ხეობა ანუ ჭარი დაღესტნის მოსამზღვრე ნაწილია. ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქის „წყალსა და გიშისწყალს შორისი ალაზნამდე და კავკასამდე“ (ვახუშტი, გეოგრაფია 306), მაგრამ ნამდვილად კი ელისენსა და კავკასიონის ქედს შუა, შუაგულში მაინც, ჭარი იდგა. ამიტომ ცხადია, რომ ამ ადგილას ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა.

ალისულთნის სამფლობელოს სამზღვრები ვახუშტს გარკვევით არა აქვს აღნიშნული (გეოგრაფია გვ. 304, შეად. 306). ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ. დაწერილ თხზულებაში ნათქვამი აქვს, ალისულტანი თავდაპირველად „კახის სულტნად სახელდებული“ ყოფილა (იხ. მ.ჯანაშვილის საინგილო, ძველი საქართველო, მე-2, 14), მაგრამ სამზღვრები არც მას აქვს დასახელებული.

ე.წ. თათრებისა და დაღესტნითგან ლეკების ჩამოსახლებამ საქართველოს მტრებს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრითგან შემოსევა გაუადვილა, რადგან სარწმუნოებრივი ერთობის წყალობით სპარსეთის შაჰის ჯარს ადვილად ემხრობოდნენ ხოლმე. საქართველოს მეფეებსა და იმ დროინდელს მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ამ კუთხის უაღრესი მნიშვნელობა, რომ რაკი „არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ-წყლიანი და მაგარი“ (კათალიკოსი ანტონი. იხ. მ.ჯანაშვილის საინგილოში გვ. 15), ამიტომ საქართველოსთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საუცხოო საფარს წარმოადგენდა. თუმცა ლეკები, რომელნიც ჭარში იყვნენ ჩასალებულნი, დრო-გამოშვებით არამც თუ ურჩობდნენ, არამედ ცარცვა-გლეჯასაც-კი მისდევდნენ კახეთში, მაგრამ მაინც ერეკლე მეფის დროს, რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულობის დადების დროსაც, ეს კუთხე, როგორც საქართველოში მყოფ რუსეთის იმდროინდელი ელჩის ბურნაშევის რუკაზეც აღნიშნულია, საქართველოს სამზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა.

როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და შეიერთა, ჭარი და ბელაქნის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდნენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიდო საინგილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოოდ-კი 1830 წ. იყო შემოერთებული.




იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ იბეჭდება უცვლელი სახით.**




1886 წლს ზაქათალის ოლქში სულ 74449 მცხოვრები ითვლებოდა, აქეთგან 40225 ლეკი იყო, 21090 მუღანლო და 12430 ქართველი. 521 სომეხი (მ.ჯანაშვილი, საინგილო 6).

1916 წელს ზაქათალის ოლქში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 76000 იყო: აქეთგან 19000 ქართველი და 45000 ლეკი. ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები 12000 ითვლებოდა.

## III თავი
## სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი
## ჰერეთი: ქიზიყი, ყარაია

ზაქათალის ოლქის შემდგომ საქართველოს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი ეწყობა. ძველ დროს მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც მტკვრამდე და დებედას წყალთ-გამყოფელ მთებამდე ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ ეკვრის, კამბეჩოანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. ძველი ქიზიყის, რომელიც ეხლა სიღნაღის მაზრად იწოდება, სამზღვრად იყო „სამხრით უფდარი და წინამინდორი ხორანთამდე“ (ვახუშტი, გეოგრაფია 310). წინამინდორად ხორნთამდე“ (ვახუშტი, გეოგრაფია 310). წინამინდორად იწოდებოდა ის ველი, რომელიც სამხრეთით იორისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა (იხ. ვახუშტის რუკა №4). იგი დაახლოებით ის სამხრეთით მდებარე ადგილი იყო, რომელსაც ეხლა ჯეირანჩელი ეწოდება. მაშასადამე, სამზღაური იწყება ჯერ იქ, სადაც გიში ლაზანს ერთვის, შემდეგ სამხრეთისაკენ მიდის ალაზნის გასწვრივ მისი და იორის შესართავამდე. აქეთგან დაწყებული, სამზღვარი პირდაპირ მტკვარზე გადადიოდა (ვახუშტი. გეოგ. 310-312 და ბურნაშევის 1784 წ.რუკა) და მერმე საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთი მიმარულებით მისდვდა დაახლოებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. ალსტაფურა მტკვარს ერთვის. ძველად საქართველოს ეს სამხრეთის კუთხეც, როგორც აღნიშნული იყო, ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა.

საქართველოს სამხრეთის მოსამზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთის კიდეს იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც სამზღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავითგან მტკვარზე გადმოდიოდა ყარაიამდე, ჯეირანჩულურეთის ველის სახელი ერქვა. შემდეგ-კი ყარაია იწყებოდა. ამ ყარაიას ველის მდებარეობის შესახებ ვახუშტის ნათქვამი აქვს, რომ მთა „იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი. რომელი არს რუსთავი. ხოლო აწ ნაგებიო“. ამ ნაგებისა და, მაშასადამე, იალღლუჯის „აღმოსავლეთით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა“. (ვახუშტი. გეოგრ. 180). აი, სწორედ ეს ველიც ძველად ჰერეთს ეკუთვნოდა, და შემდეგში-კი, და უკვე ვახუშტის დროს, მას თურმე „ყარიას“ უწოდებდენ (იქვე 182). ეს სახელი მას ეხლაც შერჩენილი აქვს.

ჰერეთის ამ ნაწილს სამზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გერეჯია მწარე-წყლამდე,ხოლო სამხრეთით მწარე წყალი (იქვე 180), ე.ი. დაახლოებით იმ ადგილამდის, სადაც ალსტაფურას წყლის შესართავია.

ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო (იქვე 182), საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძელი და ქართული მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარეჯის უდაბნოში შენახული არიან და რვა საუკუნის განმავლობაში ყოვეგვარი მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადაურჩნენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა, რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე.

სამხედრო ბედის ულმობელმა ტრიალმა მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით ეს ქვეყანაც გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია. შემდეგში, სპარსთა შაჰების გეგმისამებრ აქ უბინადრო ველი დემურჩიასანლუ შემოვიდა. რომელიც თარაქამათა ტომს ეკუთვნოდა და მესაქონლობას მისდევდა (ვახუშტი გეოგრ. 182).

ჰერეთის იმ ნაწილს, რომელიც ბოლო დროს ყარაიად იწოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე ქვემო ქართლი ეკვროდა და, ამ ადგლითგან მოყოლებული, სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე დროს საქართველოს აღმოსავლთ-სამხრეთის სამზღვარი და მონაპირე კუთხე.

## საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და სამზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და სამზღვარი იყო და მას ჰსაზღვრავდა „აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ (ვახუშტი. გეოგრ. 178). მაშასადამე, ქვემო ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის სამზღვრად ვერ მდ. მტკვარია დაახლოებით ყიზყალას ციხის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთ-სამხრეთით, ხოლო შემდეგ ქურდვაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკური სისუსტის დროსაც, თუნდაც მე-18-შიც, იქ-კი არ თავდებოდა, სადაც ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი. ყაზახი, შამშადილი და შამქორი ხომ საქართველოსთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველთა ერთგულობას იჩენდნენ. ამ ოთხივე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქართველოს საუკეთესო, 6000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე (იქვე 6.16), განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქართველოსთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, და ქართველობის უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა, რომ ერევნისა და ყარაბაღის ხანები სპარსეთის შაჰს აღამამედხანს კი არ მიემხრენ, არამედ ერეკლე მეფესთან შაჰის საწინააღმდეგოდ საგანგებოდ ხელშეკრულება დასდეს და ფულიც მიაშველეს ამ საქმის განსახორციელებლად. ამიტომაც არის, რომ ბურნაშევის მიერ 1784 წ.-ს შედგენილს საქართველოს რუკაზე ყაზახი. შამშადილი, შამქორი განჯითურთ ქართლის სამზღვრებივით წითელი ფერით არის შემოხაზული.



(გაგრძელება იქნება)

## ტელეწამყვანის რეპლიკაზე გაგულისებულმა ჟირინოვსკიმ მიკროფონი ძირს დაანარცხა



რუსეთში ერთ-ერთ წინასაარჩევნო მიმდინარეობისას ტელეკომპანია „ენ-ტე-ვე“-ს წამყვანის რეპლიკაზე გაგულისებულმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მიკროფონი ძირს დანარცხა და წამყვანი უშვერი სიტყვებით მოიხსენია.

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გაბრაზება გადაცემის წამყვანის რეპლიკამ გამოიწვია, რომლის თანხმადაც, ჟირინოვსკის პარტია რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში (დუმა) ადგილებით ვაჭრობს.

ჟირინოვსკის კითხვაზე თუ ვის მიჰყიდა მან დუმაში ადგილი, გადაცემის წამყვანმა მხოლოდ ერთი ადამიანი, აშოტ ეგიაზარიანი დაასახელა, რამაც ჟირინოვსკი კიდევ უფრო გააბრაზა და წამყვანს სახეში შეფურთხებით დაემუქრა.

ამერიკული მედიასაშუალებების ინფორმაციით, ჟირინოვსკის თანამებრძოლი ეგიაზარიანი თაღლითობისთვის ინტერპოლის მიერ იძებნება.

## ირაკლი ალასანია დაუსაქმებელთა ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოდის

„თავისუფალი დემოკრატები" დაუსაქმებელთა ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოდიან და ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიისაკენ მოუწოდებენ.

როგორც დღეს შრომის, ჯანმრთელეობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, დღეს ქვეყანაში მთავარ პრობლემას დაუსაქმებლობა წარმოადგენს და მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები დაუსაქმებლობასთან დაკავშირებით დამახინჯებულია.

„ხელისუფლების მონაცემებით, შარშან დაუსაქმებელთა პროცენტული რაოდენობა ცოტათი აღემატებოდა 16 პროცენტს. ეს არის დამახინჯებული ციფრები. მე თავად შევხვდი რეგიონებში უამრავ მოქალაქეს და დავინახე, რომ დაუსაქმებელთა დაოდენობა გაცილებით მეტია. საააკაშვილმა თვითონ აღიარა, რომ თბილისში დაუსაქმებელთა რაოდენობა 30 პროცენტზე მეტია. ეს ციფრი რეალურად უფრო დიდია, განსაკუთრებით რეგიონებში", — განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ დასაქმებულთა 2/3-ს თვითდასაქმებულები შეადგენენ.



როგორც ალასანია აცხადებს, უნდა შეიქმნას დაუსაქმებელთა ცენტრი, სადაც ყველა დარეგისტრირდება და გაირკვევა, რა პროფესიის ადამიანები არიან დაუსაქმებელნი და რა პროფესიებს სჭირდებათ ხელშეწყობა.

ალასანიას თქმით, „თავისუფალი დემოკრატებისათვის" პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მეურნების განვითარება. ასევე, საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფონდი.

„მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი არის დღეს დაუსაქმებელი, რადგან სახელმწიფო არ ეხმარება, რომ საკუთარი მიწა დაამუშაოს და საკუთარი შრომით ირჩინოს თავი. მეორე პრიორიტეტი არის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ამ სფეროს განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებს დისკუსიაში ვიწვევ", — აღნიშნა ალასანიამ და დასძინა: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამი რამით დამახსოვრა თავი მოსახლებას: უმუშევრობა, სიღატაკე და სიძვირე. ამის დაძლევა ჩვენ შეგვიძლია.

„მედიანიუსი“



# mane da misi `olimpia~

„პარიზში არ ყოფილა მოსეირნე, ვისთვისაც სეირნობა ამდენი სარგებლობა მოეტანოს“. – წერდა იმპრესიონისტების მამაზე ედუარდ მანეზე მისი მეგობარი ანტონ პრუსტი. მაგრამ მანე სულაც არ ფიქრობდა მაშინ ამგავრ „მამობაზე“, უბრალოდ უნდოდა ეხატა ისე როგორც სეირნობისას ხედავდა. დადიოდა პარიზის ქუჩებში წყნარი, დინჯი ნაბიჯებით და აკვირდებოდა როგორ ციმციმებდა მზეზე გარემო. მაშინდელი მხატვრისთვის არც თუ ისე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. როგორც წესი, ისინი სახელოსნოში ისხდნენ და ესკიზების მიხედვით ქმნიდნენ სურათებს. ამ დროს ყველაზე პოპულარული მიმდინარეობა ჯერ კიდევ კლასიციზმია, რომელიც საფრანგეთის სამეფო კარის განდიდებას ემსახურება. სურათში ყველა ნიუანსი მკაცრადაა განსაზღვრული; დადგენილი ნორმების მიხედვით იხატება პოეზია, ჟესტები, რეგლამენტირებულია ემოციის გამოხატვაც. კლასიცისტებს უპირისპირდებიან რომანტიკოსები. მათი შემოქმედება გამოხატავს იმ პერიოდის დაბალი ფენების მღელვარებას. ისინი მუშაობენ ნახატის კოლორიტზე. ფერადოვნების მხრივ ნამუშევრების გადაწყვეტა ძალიან თავისუფალია, მაგრამ გვაძლევენ არა რეალურ სურათებს, არამედ მათ სიმბოლურ გადაწყვეტას. იქვე ჩნდება რეალიზმი. იგი ფაქტების გაშიშვლებასა და დაბალი ფენების ღირსების წარმოჩენას აყენებს წინა პლანზე და არა მხატვრულ ამოცანებს . . .

ასე ერთბაშად თანაარსებობს ამდენი სხვადასხვა მიმდინარეობა, რომელთაც არც თუ ისე ძალიან მოსწონთ ერთმანეთი, მაგრამ არც ძალიან სძულთ, რადგან აქვთ ერთი საერთო: მხატვრული ხერხების სხვაობის მიუხედავად ისინი კონკრეტულ იდეებს ემსახურებიან და მათ შემოქმედებაში მთავარი ამ იდეის ხორცშესხმაა.

XIX საუკუნის II ნახევარში კი ხალხი იმპრესიონისტების ხელოვნებას ეცნობა, რომლებიც ათავისუფლებენ სურათებს ყოველგვარი იდეისგან, ხოლო ფორმას სიმკაფიოვეს აკარგვინებენ. აქ გამოსახვის მთავარი საშუალება ფერია. ''ფერის ზეიმია'' ყველა კომპოზიციაში. უხვად შემოდის ისეთი აქტიური, მჟღერი მონასმები, რომელიც XIX სს-მდე არ იცოდა მხატვრობამ.

პარიზი პირველ იმპრესიონისტულ სურათს ასე გაეცნო:

1878 წელს, პარიზის სამხატვრო სალონში გამოფენა მოეწყო. მაშინ ნაპოლეონ III შეიწყალა ყველა განკიცხული მხატვარი და დართო ნება დამატებით ექსპოზიციაში მიეღოთ მონაწილეობა. ამ ოთახს პარიზელებმა ''განკიცხულთა სალონი'' უწოდეს.

განკიცხულ სურათებს შორის მოხვდა ე. მანეს ''საუზმე ბალახზე'' და ''ოლიმპია''. პირველ სურათს საზოგადოებამ ''უწესო'' უწოდა, რამაც ისინი ჩაცმულ მამაკაცებს შორის მოქცეულ შიშველ ქალს გულისხმობდნენ. მაგრამ აქამდე, მსოფლიოში არცერთ სურათს არ გამოუწვევია ისეთი სკანდალი, როგორც ''ოლიმპიამ'' გამოიწვია. ფრანგებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო პაროდია ჯორჯონესა და ტიციანის ''ვენერებზე'', მიბაძვა გოიას მშვენიერ ''შიშველ მახაზე''. მანემ აიღო ''ვენერას'' ტიპაჟი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქალის იდეალად ითვლებოდა. დაამახინჯა, ურცხვი გამომეტყველება და თანამედროვე ქალის იერი მისცა მას. ფრანგები თვლიდნენ, რომ ეს იყო წარსული კულტურა და მათი დაცინვა, რადგან თხრობით სიუჟეტებს მიჩვეულმა ფრანგებმა, სხვა ვერაფერი ამოიკითხეს ამ ტილოში, გარდა აქცენტისა ქალის ''სიურცხვეზე''. სურათს არ ეყო ერთი და მეორე მცველი მიუჩინეს. ფრანგები ტროსტებითა და ქოლგებით ემუქრებოდნენ მას. მანეს ფოლანდიაში მოუწია წასვლა, რომ სკანდალისთვის თავი აეცილებინა. როცა სალონის დირექციამ დამთვალიერებლები ვერაფრით დააწყნარა, სურათი ჩამოხსნა და სადღაც ბოლო ოთახის



კარის თავზე დაკიდა, საიდანაც ის ძნელად აღიქმებოდა.

მანე კი ვერაფრით ხვდებოდა რამ გააცოფა ასე ხალხი. მას მართლაც არანაირი კონკრეტული იდეა არ ჩაუდია ამ სურათში. მითუმეტეს წარსულის შეურაცყოფა აზრადაც არ მოსვლია. უბრალოდ დახატა თავისი ნატურა ვიქტორინა მერანი, ისეთი როგორიც იყო ის. მას აინტერესებდა გამოესახა ამ ქალის ტიპაჟი და შეექმნა კარგი ფერწერა. ამიტომაც წერს მხატვარი უფრო ცხოველხატულად და ეშხით თაიგულს, რომელიც ზანგ მოსამსახურეს უჭირავს ხელში, ვიდრე სხვა უფრო მთავარს. მოახლის კანის სიმუქეც შემთხვევითია, ვოდლერმა ურჩია ხატვისას, ისე გამოესახა მოახლე ქალი, რომ მაყურებელს ნაკლებად მოხვედროდა თვალში და წინა პლანზე ყოფილიყო აქცენტი. სახელი ''ოლიმპიაც'' შემთხვევით აურჩევია მხატვარს (როგორც ამას კრიტიკოსი ლ. ვენტური წერს). მთავარი აქ მისთვის ფერწერული ვირტუოზობა და სახასიათო, რეალური ტიპაჟის შექმნა იყო. რამ აღაშფოთა მაშინ ასე საზოგადოება: სურათის უშინაარსობამ? მჟღერმა ფერებმა? თუ მანამდე არ ენახათ ქალი თამამი და ურცხვი გამომეტყველებით? ალბათ ცოტ-ცოტა ყველაფერმა. მთავარი პრობლემა აქ მაინც იდეალების შებღალვაში იყო, მისი ნგრევა და რეალობის ცხვირთან მიტანა.

საუკუნეების განმავლობაში ამ ტიპის კომპოზიციების შექმნა, ხომ ეპოქის ქალის იდეალის შექმნას გულისხმობდა ჯორჯონესთან, ველასკესტან და სხვა მხატვრებთან. მანემ ისაზრდოვა ამ წარსულით, ოღონდ უფრო მოგვიანებით: ქალი არა როგორც ნაზი, უმანკო და მშვენიერები ამარა დარჩენილი არსება, არამედ ძლიერი, თავში დაჯერებული, საქმიანი, ფუფუნების მოყვარე... როგორც ჩანს, გენიოსები იბადებიან იმისთვის, რომ წინასწარ შექმნან სამომავლო და მერე სამარადისო ფასეულობები. რას იფიქრებდნენ პარიზელები, რომ ''ოლიმპია'' ძველი ''ვენერების'' შეურაწყოფისთვის კი არა, მათ ლოგიკურ გაგრძელებად, მათ გვერდში სადგომად იყო შექმნილი.

მხოლოდ მანეს გარდაცვალების შემდეგ, როცა 1889 წელს, ''საფრანგეთის დიდი რევოლუციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა'' მოეწყო, ვიღაც ამერიკელმა მოისურვა ''ოლიმპიას'' შეძენა. კლოდ მონემ არ დაანება იგი მყიდველს და სთხოვა მანეს ქვრივს, რომ სახელმწიფოსთვის მიეყიდა სურათი. საფრანგეთს ეს სიამოვნება 20 000 ფრანკი დაუჯდა. სხვათაშორის ამავე წელს გაიხსნა პარიზში ''ეიფელის კოშკი''. ფრანგები ვერ იტანდნენ ამ 312მ ლითონის კონსტრუქციას და სატრიუმფო თაღის კარიკატურად მიიჩნევდნენ მას. თუ კი რემარკი ყოველ დღე ''ეიფელის კოშკზე'' სადილობდა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს ერთადერთი ადგილი იყო საიდანაც იგი არ ჩანდა, დღეს ყველა ესწრაფვის მის ხილვას და აღფრთოვანებულია ''ეიფელის კოშკით''. სხვათაშორის ''ოლიმპიაც'' ეკიდა ''ლუქსემბურგის სასახლის'' ერთ ბნელ და ნესტიან ოთახში, მხოლოდ 1907 წელს გადაიტანეს იგი ლუვრში და დღემდე სიამაყით უყურებენ მას პარიზელები, ისე, რომ სულაც აღარ სურთ მათ ბებიებისა და ბაბუების განწყობის გახსენება ამ სურათის მიმართ.

ასეთი რამ შეიძლება ყველა ხალხს, ქვეყანას და ეპოქას დაემართოს. არსებობს რაღაც ფასეულობა რომლის დანახვასაც დროის დისტანცია სჭირდება. იქნებ არ ღირდეს ყველაფრის ასე ხელაღებით ლანძღვა. ''ვერ გავიგე'' - არ ნიშნავს რომ ცუდია.



## gaxseneba

ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, ორმოცი დღე სრულდება მიმოზა მჟავიას გარდაცვალებიდან მიმოზა მჟავია? – სულით, მოწოდებით, გაგებით – პედაგოგი, ფილოლოგი, აღმზრდელი, პატრიოტი, თავის ქვეყანაზე, ხალხზე (ერზე) სიგიჟემდე შეყვარებული ქალი. ყველა უყვარდა არავინ სძულდა, მაგრამ მაინც, სიგიჟემდე უყვარდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც 33 წლის ასაკში შეეძინა, უკვე 30 წლისაა, მაგრამ აქამდე ცალუღელა დადის. 10 თუ 11 წლის შვილისთვის „სიბრძნის სიმფონია“ უჩუქებია წარწერით –„თამთუნა, შვილო! იყავი ბედნიერი, მშობლების გამხარებელი და სამშობლოსთვის საამაყო შვილი...“ ძალიან განიცდიდა საქართველოში რომ საქმე ისე ვერ მიდიოდა, ქართველს რომ გაუხარდებოდა. ყველაფერი ჩვენი ბრალია, უცხოს ნურავის ნუ ვაბრალებთო, იტყოდა ხოლმე დანანებით და მუხრანის სიტყვებს მოიშველიებდა –„სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის...“ ხშირად, როცა შევხვედრივათ, გვიწევდა სჯა-ბაასი ამ საკითხებზე, მაგიდაზე (დაბადების დღეები, დღესასწაულები და ა.შ.) უამისოდ არ ჩაივლიდა... მაგრამ ბოლოს მაინც იმედიან სიტყვას იტყოდა– ღვთისმშობელი არ გაგვწირავს, „გადარჩება საქართველო თავის შვილებთანადო“ იტყოდა და, ამ შვილებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ქართველ ერს გულისხმობდა და არა საქართველოს მოქალაქეებს. დიდმა ილიამ მარიამ ღვთისმშობელს რომ შეავედრა საქართველო, ასე მიმართა: „მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული...“ სამწუხაროდ, ეს ვერ გავითავისეთ, თორემ ასეთ დღეში არ ჩავცვივდებოდითო, იტყოდა გულდაწყვეტილი და დაღონებული, მაგრამ მაინც რწმენით სავსე მისმა მეგობრებმა (პედაგოგებმა) მითხრეს, თუ ბავშვი (მოსამზადებელი) ნაღდ, ქართულ გარემოში (ოჯახში) არ იზრდებოდა, არ აიყვანდა მოსამზადებლადო.

გულდასაწყვეტია, ასე ნაუცბათევად (სულ 35 დღე ივადმყოფა) რომ დამთავრდა მისი სიცოცხლე და ბევრი აუხდენელი ოცნება წაიღო თან.

მჯერა ის, იქედან ილოცებს თავის ერთადერთ შვილზე, ჩვენს სამშობლოზე, ქართველ ერზე...

**ნათესავებისა და მეგობრების სახელით თამაზ შათირიშვილი**

ჯილდა ასათიანის ოჯახი ღრმა მწუხარებით

იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მზევინარ გაბუნია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## rogor davZlioT kompleqsebi

ფსიქოლოგები კომპლექსს ასე განმარტავენ: კომპლექსი ეს არის, ნახევრად ან სრულად გაუცნობიერებელი მოგონება ისეთი მომენტისა, რომელმაც ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა ადამიანზე. საბოლოო ჯამში კი, საკუთარი თავით, გარეგნობით ან ცხოვრებით უკაყოფილების ანარეკლია.

კომპლექსი შეიძლება ისეთი მცირე ასაკიდან მომდინარეობდეს, რომ, ადამიანი ვერ აცნობიერებს და იმახსოვრებს კონკრეტულ ფაქტსა და მოვლენებს, რამაც მძაფრი კვალი დატოვა მის ფსიქოლოგიაზე. ის ქვეცნობიერში რჩება და დიდხანს გაჰყვება მას.



ფიზიკური კომპლექსი, განსაკუთრებით ქალებს ახასიათებს. ეს კი გარეგნობით უკმაყოფილებით ან სიმსუქნის კომპლექსით გამოვლინდება. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ქალების 30 პროცენტს არ მოსწონს საკუთარი გარეგნობა.

ფსიქოლოგიური კომპლექსი ვლინდება საკუთარი ინტელექტით, აღზრდით ან გონიერებით უკმაკოფილებაში. ესეც არასრულფასოვნების კომპლექსია და იმ შემთხვევაშიაც შეიძლება სჭირდეს ადამიანს, როდესაც განათლებასა და გონიერებაზე წესით საწუწუნო წესით არ უნდა ჰქონდეს.

სოციალურ კომპლექსებს იწვევს ფინანსური პრობლემები, ასევე, წარმოშობის ან პროფესიის გამო სირცხვილის გრძნობა, რაც საბოლოო ჯამში ძლიერ კომპლექსში გადაიზრდება.

საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილების კომპლექსი შეიძლება დაიძლიოს პლასტიკური ქირურგიით. თუმცა, თუ კომპლექსის თავიდან მოდის და არა გარეგნობიდან, შეიძლება ადამიანმა გადაამლაშოს და უამრავი ოპერაცია გაიკეთოს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი მახინჯი ჰგონია. ამას კი სავალალო შედეგები მოსდევს ხოლმე.

ფსიქოლოგები გვირჩევენ, კომპლექსების დაძლევის საუკეთესო საშუალება, საკუთარ თავთან დაზავებაა. თუკი ადამიანი ისეთს მიიღებს საკუთარ თავს, როგორიც არის, კომპლექსისგანაც განიკურნება.

# aTi yvelaze Zvirfasi saCuqari kacobriobis istoriaSi

**10 ადგილი:**



70 კარატიანი ბრილიანტი, რომელიც მსახიობმა რიჩარდ ბარტონმა მიუძღვნა მაშინ ჯერ კიდევ მის შეყვარებულს, ელიზაბეტ ტეილორს. საერთოდ, 70 კარატი არცთუ ძალიან ბევრია, მაგრამ ალმასი საოცრად იყო გამოთლილი და უზარმაზარი ფასი ჰქონდა. შესაძლოა, ამან ითამაშა დიდი როლი იმაში, რომ ბარტონი – ერთადერთი კაცი იყო, ვისაც ტეილორი ორჯერ გაჰყვა ცოლად.

**9 ადგილი:**

წითელი ვარდები, რომლებიც ერთერთი ყველაზე ცნობილი სპორტსმენი 60-იან წლებში ჯო დი მაჯიო, ყოველთვის ჩუქნიდა თავის საყვარელ მერლინ მონროს. ყოველდღე უზარმაზარი თაიგული, მას შემდეგაც კი, რაც ისინი დაშორდნენ. როცა მერლინი გარდაიცვალა, დი მაჯიო აგრძელებდა ბუკეტების მიტანას მის საფლავზე.



**8 ადგილი:**



ბანკების ცნობილი მძარცველი, ქლაიდი: ამბობენ, რომ თავის საყვარელ ბონის აჩუქა დოკუმენტები კაქტუსის პლანტაციებზე, რომლისგანაც ტეკილას ამზადებენ – ბონიმ ის სრულ საკუთრებაში მიიღო. თუმცა, ეს ქაღალდები თვალით არავის უნახავს, და ამ პლანტაციის მუშებმა აქამდე არ იციან, რომ მათი პლანტაცია ერთ-ერთ, ისტორიაში ყველაზე ცნობილი ქალს ეკუთვნის.

**7 ადგილი:**



პარიზის საროსკიპოში ერთერთმა გოგონამ კლიენტისაგან მიიღო პატარა შეკვრა და თხოვნა, შეენახა იგი მთელი ცხოვრების მანძილზე. გოგონას ვალერიანის სმა მოუწია, რადგან კლიენტს ვან გოგი ერქვა, ხოლო შეკვრაში მისი მოჭრილი ყური იდო.

**6 ადგილი:**



ფაუსტი, რომელმაც მარგარეტს საკუთარი სული აჩუქა. ეს ისტორია სევდიანად დამთავრდა, მაგრამ სამაგიეროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა, როცა სული ნამდვილად აჩუქეს და არა გაყიდეს.



**5 ადგილი:**

ამის შემდეგ წვრილმანად მოგეჩვენებათ ძვირფასეულობით სავსე სამი სკივრი, რომელიც ადრიატიკის ზღვიდან ამოიტანეს. ასე გაახარა საკუთარი ცოლი თავმდაბალმა ამერიკელმა განძის მაძიებელმა.

**4 ადგილი:**

კილომეტრნახევარი სიგრძის სიასამურის მანტო, რომელიც მეფე ლუი მეთოთხმეტემ აჩუქა თავის დედოფალს, რათა მას დილიდანვე შესძლებოდა ფეხშიშველს გაესეირნა საწოლიდან ბაღამდე.

**3 ადგილი:**



მარგალიტი ღვინოში, რომელიც ანტონიუსმა მიართვა კლეოპატრას. ეს საჩუქარი ამ დრომდე ითვლება ყველაზე ნატიფ საჩუქრად მსოფლიოში. ანტონიუსმა შესთავაზა კლეოპატრას, თუ საჩუქარი არ მოეწონებოდა, გადაეგდო მარგალიტი (ყველაზე დიდი და მშვენიერი მათ შორის, რაც ოდესმე მიწაზე ამოუტანიათ) ზღვაში.

**2 ადგილი:**

მორიელების პატარა კუნძული, რომელიც ბერძენმა მილიარდერმა არისტოტელე ონასისმა აჩუქა თავის საყვარელ მეუღლეს ჟაკლინ კენედის. ამ კუნძულზე შედგა მათი ქორწილი.



**1 ადგილი:**

მავზოლეუმი ტაჯ მაჰალი. ეს ყველაზე ლამაზი ნაგებობა მსოფლიოში აშენდა შაჰმა ჯაჰანმა, როცა მისი უსაყვარლესი მეუღლე გადაჰყვა მშობიარობას მე-14 შვილზე. კედლების ზედაპირის ყოველი სანტიმეტრი ტაჯ მაჰალში მოპირკეთებულია ულამაზესად თლილი ქვებით, ხოლო თვით მავზოლეუმი ორიენტირებულია დღის შუქზე ისეთნაირად, რომ ყოველდღე თითქოს იბადება მზის ამოსვლასთან ერთად,



ხოლო კვდება შებინდებისას. ამბობენ, დამპყრობელმა სპარსელებმა, რომლებმაც გაანადგურეს და თითქმის მიწასთან გაასწორეს ინდოეთის დედაქალაქი – დელი, ტაჯ მაჰალთან მიახლოება ვერც კი გაბედეს, და იგი ხელუხლებელი გადარჩა.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91; 8 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**– განქორწინდი მეუღლესთან, განქორწინებიდან 6 თვის შემდეგ ჩემი ყოფილი მეუღლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გახდა შრომისუუნარო, რამდენიმე დღის წინ მომაკითხა ყოფილმა სიდედრმა და მომთხოვა ყოფილი მეუღლის მიმართ ალიმენტის გადახდა. ამასთან მითხრა, რომ ჩემი უარის შემთხვევაში, შეიტანს სარჩელს სასამართლოში, რამდენად საფუძვლიანია სიდედრის მოთხოვნა?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, სიდედრის მოთხოვნა საფუძვლიანია.

შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ინარჩუნებს სარჩოს (ალიმენტს) მიღების უფლებას განქორწინების შემდეგაც, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან, გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 1183-ე მუხლის მოთხოვნიდან.

* * *

**– მსურს ვიშვილო ბავშვი ოღონდ ისე, რომ მე არსად დავფიქსირდე. შეიძლება თუ არა ეს ყველაფერი გააკეთოს ჩემმა წარმომადგენელმა?**

– თქვენ შეგიძლიათ გყავდეთ წარმომადგენელი, მაგრამ თქვენს გარეშე შვილება არ მოხდება. განცხადება მშვილებლად დარეგისტრირების შესახებ პირადად უნდა შეიტანოთ სააგენტოში. უნდა მოხდეს თქვენი შესწავლა. სასამართლოში თქვენი გამოცხადება სავალდებულოა. შვილად აყვანას წარმომადგენლის მეშვეობით კრძალავს სამოქალაქო კოდექსის 1243-ე მუხლი.

* * *

**– ცოლად გავყევი ქვრივ მამაკაცს, რომელსაც ჰყავს 5 წლის შვილი. შემიძლია თუ არა მისი შვილება?**

– შეგიძლიათ მეუღლის სავალდებულო თანხმობით. გაითვალისწინეთ, რომ შვილად აყვანის შემთხვევაში თქვენ გერის კანონიერი დედა ხდებით, ხოლო გარდაცვლილი დედა აღარსად დაფიქსირდება. ამ ფაქტორის გამო, შეიძლება, მეუღლეს არ სურდეს, რომ მისი შვილი თქვენ იშვილოთ. ამიტომ მოითხოვს კანონი იმპერატიულად მსგავს შემთხვევებში მეუღლის თანხმობას.

* * *

**– რა ვადაში შეგიძლია სამკვიდროს მიღება?**

– სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

* * *

**– გარდაიცვალა პაპაჩემი, რომლის ერთადერთი მემკვიდრე იყო მამაჩემი. სამკვიდროს მიღებამდე მეხუთე თვეს, მოულოდნელად, უბედური შემთხვევის გამო, მამაჩემიც გარდაიცვალა. შემიძლია თუ არა მე მივიღო სამკვიდრო და როგორ იქნება ვადის საკითხი?**

– შეგიძლიათ.

თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ამას სამოქალაქო სამართალში მემკვიდრეობითი ტრანსმისია ეწოდება. გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს.



* * *

**– მამაჩემმა ქონება ანდერძით ჩემს ძმას დაუტოვა. მეკუთვნის თუ არა მე ქონებიდან რამე?**

– გეკუთვნით, როგორც I რიგის მემკვიდრეს, სავალდებულო წილი, რომ არ ყოფილიყო ანდერძი, თქვენ და თქვენი ძმა, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეები, ქონებას მიიღებდით თანაბარი წილის უფლებით. მაგრამ რადგან არსებობს ანდერძი, თქვენ მიიღებთ არა ქონების ნახევარს, არამედ ნახევრის ნახევარს. ამას სამოქალაქო სამართალში სავალდებულო წილი ეწოდება და მისი მიღების უფლება აქვთ მხოლოდ I რიგის მემკვიდრეებს (მეუღლეს, მშობლებს, შვილებს).

* * *

**– განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით მსურს შევიტანო სარჩელი სასამართლოში. უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი?**

– არა.

ბაჟის გადახდა არ ეკისრებათ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე, როდესაც დავა ეხება ფიზიკური პირის საქმეს ხელფასის გადახდასთან დაკავშირებით ან დავებს, რომლებიც გამომდინარეობს შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან.

* * *

**– შეიძლება თუ არა დამსაქმებელთან დადოს ზეპირი შრომითი ხელშეკრულება?**



– შეიძლება, მაგრამ არ გირჩევთ.

უმჯობესია, დამსაქმებელთან გააფორმოთ წერილობითი ხელშეკრულება, რადგან ზეპირი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში თქვენ ფაქტობრივად, გერთმევათ საშუალება ამტკიცოთ, თუ რა პირობებზე შეუთანხმდით დამსაქმებელს, მის მიერ ასეთი პირობების დარღვევის შემთხვევაში.

* * *

**– მუშაობის დაწყებიდან რამდენი ხნის შემდეგ მეკუთვნის შვებულება?**

– შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ. თუმცა, შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მოგეცეთ აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

დამატებით განვიმარტავთ, რომ მუშაობის მეორე წლიდან, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება პირს შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს, ასევე, შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება, მთელი წლის განმავლობაში.

* * *

**– შეიძლება თუ არა ორსულმა ქალმა იმუშაოს ღამის სამუშაოზე?**

– ღამის სამუშაოდ ითვლება მუშაობა 22.00 საათიდან 06.00 საათამდე.

კანონი კატეგორიულად კრძალავს ღამის სამუშაოზე არასრულწლოვანის, ორსულის, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმებას.

* * *

**– შეიძლება თუ არა მემკვიდრე იყოს ჩასახული ბავშვი?**

– ჩასახული ბავშვი შეიძლება იყოს როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე. მთავარია, ბავშვი ცოცხალი დაიბადოს. მკვდრად შობილი ბავშვი მემკვიდრეობის უფლებას ვერ შეიძენს.

აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: სამკვიდროს გაყოფა დაუშვებელია მანამ, სანამ არ დაიბადება ჩასახული მემკვიდრე და არ გამოეყოფა სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილი. ამ პროცესში, ახალშობილის ინტერესების დასაცავად, მოწვეული უნდა იქნან მისი წარმომადგენლები – მშობლები ან მეურვეები.

## მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რას ერჩიან უცხოპლანეტელები დედამიწას



ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, თუ ადამიანები არ შეამცირებენ ჰაერში ნახშირწყალბადის გაზის გაშვებას, უცხოპლანეტელები პირდაპირ დაგვესხმებიან თავს. სპეციალისტების შეხედულებით, სხვა პლანეტების მაცხოვრებლები უკვე გრძნობენ საშიშროებას და საკუთარი უსაფრთხოებისთვის ისინი გაანადგურებენ მოსალოდნელი საშიშროების წყაროს.

მეცნერები და მკვლევარები მიიჩნევენ, რომ დედამიწაზე ტემპერატურის ცვალებადობა მოსალოდნელია უცხოპლანეტელებისგან შეფასდეს ისე, თითქოს ჩვენ, დედამიწელებმა კონტროლი დავკარგეთ ბუნებაზე, რაც საფრთხეს უქმნის მთელ მზის სისტემას.

არსებობს სხვა მოსაზრებაც. ადვილი შესაძლებელია, უცხოპლანეტელებთან შეხვედრისას მოხდეს ტექნოლოგიების ურთიერთგაცნობა და ურთიერთგაცვლა, რაც ადამიანებს მისცემს იმის საშუალებას, რომ გადარჩნენ.

## ბერლინის ვირუსოლოგიის ინსტიტუტმა მიაგნო ნაწლავური ინფექციის წყაროს



მწვავე ნაწლავური ინფექციის წყარო, რომელმაც გერმანიაში უკვე 29 ადამიანი იმსხვერპლა, საკვები ყოფილა. ამ დასკვნამდე მივიდნენ ბერლინის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის პროფესორები. რობერტ კოხის სახელობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი რეინჰარდ ბურგერი აცხადებს, რომ კვლევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

იტარ-ტასის ხელმძღვანელი, ფედერალური ინსტიტუტის რისკების შეფასების მთავარი სპეციალისტი ანდრეას ჰენზელი აცხადებს, რომ კიტრი, პომიდორი და სალათი არ მიიჩნევა ინფექციის მაპროვოცირებელ ფაქტორებად.

ამასთანავე, გერმანიის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სთხოვენ სრულიად გერმანიის ფერმერთა კავშირს დაეხმარონ სოფლის მეურნეობას ინფექციის კერების მოსპობაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელი გერდ ზონლაიტნერი მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობისთვის გადარიცხული 210 მილიონი ევრო გონივრული და სწორი ნაბიჯი იყო.

2011 წლის 2 ივნისს რუსეთში აკრძალეს ევროპის ქვეყნიდან პროდუქტის შემოტანა ნაწლავური ინფექციის გავრცელების საშიშროების თავიდან ასაცილებლად. რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო აცხადებს, რომ აკრძალვა მაშინვე მოიხსნება, რაც ევროკომისია გარანტიას მისცემს რუსეთს, რომ შემოტანილი ბოსტნეული უვნებელი იქნება.

რუსეთის მხარე აცხადებს, რომ მიუხედავად ამისა, რუსეთში მაინც იმუშავებს სპეციალური კომისიები, რომლებიც ადგილებზე შეამოწმებენ იმპორტირებული ბოსტნეულის ხარისხს.

## ინგლისში ზღვის ურჩხული აღმოაჩინეს



20 ივლისს ცოლ-ქმარმა, რომლებიც პლაჟზე სეირნობდნენ, ზღვაში ნამდვილი ურჩხული შეამჩნიეს, – წერს „დეილი-მეილი“. მარგარეტ და ნიკ ფლიპენსები თავიანთ ძაღლს ასეირნებდნენ ზღვის პირას გაერთიანებული სამეფოს ქლაქ აბერდინში.

59 წლის ნიკ ფლიპენსი, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობს, აცხადებს: „თვალებს არ ვუჯერებდით, ვფიქრობდით, რა შეიძლება ეს იყოს-თქო. მერე პოლიცია გამოვიძახე. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა“.

## წლის სხეულის მფლობელი... 66 წლის ქალბატონია



ჰელენ მილერი 66 წლისაა. იგი წლის საუკეთესო სხეულის ტიტულის მფლობელი გახდა. შოუ ბიზნესში საუკეთესო სხეულის მფლობელად წელს სწორედ ეს ოსკაროსანი ქალბატონი დაასახელეს.

66 წლის ჰელენ მილერმა იოლად დაამარცხა ელ მაკფერსონი და კელი ბრუკი. ელ მაკფერსონმა ხმათა 10 პროცენტი მიიღო, კელი ბრუკს 7 პროცენტზე ცოტა მეტი აღმოაჩნდა.

მამაკაცის საუკეთესო სხეულის ტიტული ხმათა უმრავლესობით (21 პროცენტი) დევიდ ბეკჰემმა მოიპოვა. მას მოჰყვება ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი მსახიობი დენიელ კრეიგი. კრეიგს გულშემატკივართა 16 პროცენტმა დაუჭირა მხარი. III ადგილზე 10 პროცენტზე მეტით ჯონი დეპი გავიდა, მას მოსდევს ბრედ პიტი (9,35 პროცენტი) და პიტერ ანდრე (7 პროცენტი).

## დაავადების განმსაზღვრელი თითების სიგრძეა



თითების სიგრძე მიუთითებს თუ რომელი დაავადებისკენ არის მიდრეკილი ადამიანის ორგანიზმი.

ამერიკელმა და ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არათითის სიგრძე მიუთითებს იმაზე, რომ მისი მფლობელი ადვილად შეიძლება დაავადდეს გაციებით, ოსტეოართროზით, აუტიზმით, ანორექსიით.

მამაკაცებს კი პროსტატის კიბო ემუქრებათ.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მეშვიდე-მერვე ნომერი, რომელიც ჩვეულ ტრადიციას აგრძელებს და ამჯერადაც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

რუბრიკა „ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“ ამ ნომერში შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან“ გთავაზობთ „ლოცვა ავთანდილისას“.

რუბრიკაში „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები“ მკითხველი ლადო ასათიანის ლექსს –„დედას“ გაეცნობა, რომელიც არცერთ ჭეშმარიტ ქართველს გულგრილს არ დატოვებს.

ჟურნალში საპატიო ადგილს იკავებს ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“.

რუბრიკა „პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი“ ვახტანგ ჯავახაძის და მანანა ჩიტიშვილის შესანიშნავ პოეზიას მასპინძლობს.

ჟურნალი „ცისკარი“ თითოეული ქართველის გულში ღრმად ჩაბუდებულ სატკივარსაც არ ივიწყებს და რუბრიკაში „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ ლევან მალაზონიას დოკუმენტურ მოთხრობას –„სოხუმთან ახლოს, მაშინ...“ გთავაზობთ.

რუბრიკა „უჯრაში ჩაკეტილი რომანი“ ამჯერად ჟურნალის ფურცლებს ავთანდილ კვასხვაძის „სიკვდილ-სიცოცხლის როკვას“ უთმობს.

რუბრიკა „რუსი მწერალი ქართველების შესახებ“ ვასილ ველიჩკოს –„ძმები ქართველებს“ შესთავაზებს მკითხველს.

„ცისკარი“ ამ ნომერში ახალ რუბრიკას – „ახალგაზრდა „ვერტერის“ ახალი ვნებანი“-ს გთავაზობთ, სადაც გაეცნობით ზაზა ბურჭულაძის, სოფია კენჭიაშვილის, მირიან ტორონჯაძის და ეკა ქევანიშვილის „შემოქმედებიდან“ ფრაგმენტებს. აქვე, რუბრკაში „უხამსი მწერლობის გამო“ ლევან ბრეგაძისა და ბესიკ ხარანაულის შეფასებებს იხილავთ.

ჟურნალში ბეჭდავს ზაირა არსენიშვილის, რევაზ მიშველაძის, ლალი ბრეგვაძე-კახიანის და ვანო შატბერაშვილის პროზას.

რუბრიკაში „ასი სამარცხვინო ლექსი“, კი მკითხველი კალე ბობოხიძის ლექსს „ბოლშევიკურ განთიადს“ გაეცნობა. ეჭვგარეშეა „ცისკრის“ (რედაქტორ-გამომცემელი სერგი კაკალაშვილი, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი) ახალ ნომერს მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – ბევრ დროს დაუთმობთ დისკუსიას. ეს კვირა თქვენგან სრულ მობილიზებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.


**კურო** – მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მართლება მოგიწევთ.


**ტყუპები** – ფრთხილად იყავით, უადგილო ადგილას წუწუნით კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.


**კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, სიამოვნებას აღარ განიჭებთ და ახალი რომანი გააბით.


**ლომი** – საუკეთესო კვირაა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოსავლენად. ძვირად ღირებული ნივთების შეძენისას თავშეკავება გმართებთ.


**ქალწული** – წარმატება გელით ყველა იმ საქმეში, რაც შემოქმედებით მოღვაწეობასთან, ლიტერატურასა ან ვაჭრობასთან იქნება დაკავშირებული.


**სასწორი** – სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ და შეიძლება, ინტრიგაშიც გაეხვითო. პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს ნუ მისცემთ. გამოიჩინეთ წინდახედულობა და ემოციებს არ აჰყვეთ.


**მორიელი** – თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა, წინ სიურპრიზებით სავსე კვირა გელით. ეცადეთ, მაქსიმალურად იაქტიუროთ და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალოთ.


**მშვილდოსანი** – დროა, იმიჯის შეცვლაზე იზრუნოთ და ახალი ტანისამოსი შეიძინოთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

უქმე დღეებში ქალაქგარეთ წადით და დაისვენეთ.


**თხის რქა** – ეს კვირა იდეალურია კარიერაში წინსვლისთვის. საშუალება მოგეცემათ, ახალი, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოთ. კარგი კვირაა შოპინგებისათვის და გარდერობის გაასახლებლად.


**მერწყული** – სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. თუ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ სასიკეთოდ კვირის მეორე ნახევარი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.


**თევზები** – ამ კვირაში თავგადასავლებს, ფულს და საჩუქრებს ელოდეთ. ახალი ნაცნობობა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ურთიერთობაში ნადაიზრდება, ამიტომ შეეცადეთ, ეს კვირა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.